CMYK

# საქართველოს რესპუბლიკა

ამისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



კვირა, 25 ივლისი, 2004 წელი. №171 (4900) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ სადაურსა სად წაიყვან...

# ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებსაც აღმოუჩენიათ




1492 წლის 3 აგვისტოს დილა ბედ-იღბალ ამოჩახჩახებული მზით გაუთენდა ანდალუზიას. 90 რჩეული ვაჟკაცით დაკომპლექტებული სამი კარაველათი გაუყვა ნავსადგურ პალოსიდან ლეგენდარული ქრისტეფორე კოლუმბის ფლოტილია სიმდიდრით განთქმული ინდოეთის ნაპირებისაკენ „უმოკლეს“ გზას. თავად ადმირალის კარაველა „სანტა მარიას“ კაპიტან მარტინ ალონსის „პინტა“ და კაპიტან ვისენტე იანესის „ნინია“ მიჰყვა. ანდალუზიურ, ესპანურ, იტალიურ საბრძოლო და საზღვაოსნო ჰიმნებში უთუოდ გამოარჩევდნენ მეწინავე ხომალდიდან ორი კოლხის, იმჟამად თანამოძმე ბასკეთს თავშეფარებული ძმები მოლაშხიების მჭექარე „ოდოიას“.

მიაღწიეს... მიაღწიეს არა ნანატრ ინდოეთს უმოკლესი გზით სვლაში დარწმუნებულებმა, არამედ, იმდროინდელი მსოფლიოსთვის სრულიად უცნობ კუნძულებს და შემდგომ კონტინენტს – ამჟამინდელ ამერიკას. შუა საუკუნეების გეოგრაფიულ მსოფლმხედველობათა გადასინჯვასა და კოლონიური იმპერიების წარმოქმნაში ჩვენს თანამემამულეებსაც მიუძღვით წვლილი.

იქნებ ლეგენდაა, იქნებ მონაგონი, მაგრამ არგონავტებისა და პრომეთეს უძველესი მითების მუზა-სამშობლოს შვილებს ამგვარი მითის შექმნა არად უღირთ – უფრო საამაყოც მეტი აქვთ. ეს უბრალოდ ჭეშმარიტებაა.

ჭეშმარიტებაა, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ყოფილმა თანამშრომელმა ბატონმა რამაზ შოთაძემ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ აუწყა თანამემამულეებს, მაგრამ მის ვარაუდსა და სენსაციურ ისტორიას გამოხმაურება არ მოჰყოლია.

სულ ახლახან ჩემმა მეგობარმა ნოშრევან (კუსა) მოლაშხიამ გაყვითლებულფურცლებიანი ექვსი წლის წინათ გამოცემული მეტად საინტერესო ალმანახ „აიას“ ნომერი მომაწოდა და მითხრა, იქნებ რამაზ შოთაძის მიერ გამოქვეყნებული აწგარდაცვლილი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სამედიცინო აკადემიის ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორის, მრავალი ქვეყნის აკადემიების წევრის იური მოლაშხიას მოგონებებს გადაავლო თვალიო.

სენსაციებითა და მითებშეზავებული ვარაუდების სამყაროში და ათასგვარი ფანტაზიებით გაჯერებულ ჰიპოთეზებს თანამედროვე პრესაში გამოქვეყნებულ მასალათა შორის ბატონი იური მოლაშხიას მიერ დასაბუთებული, ფოტომასალით გამდიდრებული სტატია ეჭვს არ იწვევდა და სწორედ ამიტომაც თავს უფლება მივეცი, ჩვენი მკითხველებისთვის წარმომედგინა სწორედ ეს სენსაციური მასალა, რადგან, როგორც იტყვიან, კარგად მივიწყებული ძველი ყოველთვის ახალიაო. ვგონებ, მკითხველებში დიდ ინტერესს გამოიწვევს ეს მცირე მონათხრობი, მით უმეტეს, რომ ჩვენს გაზეთში ეს ინფორმაცია თავად ბატონმა იურიმ ოციოდ წლის წინათ მოიტანა თურმე, მაგრამ ყველასათვის ცნობილ ვითარებათა გამო მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. მაშ, დავუბრუნდეთ ამ სენსაციურ განცხადებას – რისი დაბეჭდვაც მაშინ ვერ შევძელით.

**მამუკა ვაშაკიძე.**

იხ. მე-10 გვ.

◎ კვირის თვალსაწიერი

# არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი...

## თეატრალი ქართველი პოლიტიკოსები

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც პირველ სესიაზე 20 ივლისს შეიკრიბნენ, კოჭებშივე ეტყობათ, თავს მოიკლავენ და, ეცდებიან, მისხალითაც არ ჩამორჩნენ თავიანთ თბილისელ კოლეგებს... სკანდალურობაში.**

– შენ თეატრალური ინსტიტუტი ხომ არ დაგიმთავრებია, ასე კარგად რომ თამაშობო, – შეუძახეს კობა ხაბაზს, როდესაც მის ბაგეთაგან მათთვის არასასურველი რამ მოისმინეს.

არც ამ უკანასკნელს ჩაუყვია ხელი ჯიბეში „ხურდა ფულის“ საძებნელად და...

მართალია, იმჯერად საქმე საფერფლეებისა თუ სხვა მძიმე საგნების ტყორცნა-ჩაცხებამდე არ მისულა, მაგრამ პრელუდია „იმედის მომცემია“.

იქნებ, სიტყვიერ „პინგ-პონგს“ ამთავითვე ძირითადი საქმის კეთება – აქტიური კანონშემოქმედებითი მუშაობა ვამჯობინოთ, უფალო დეპუტატებო, ანუ ის, რისთვისაც აგირჩიეს?

და კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს პარლამენტი დეპუტატის ეთიკური კოდექსის შემუშავებაზე ფიქრობს, რომელსაც ალბათ საშემოდგომო სესიაზე განიხილავენ.

უცნაურია პირდაპირ. პირველკლასელს რომ მასწავლებელი დაამუნათებს, სახალხოდ ცხვირში თითით „არქეოლოგიური ძიების“ ჩატარება სირცხვილიაო, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთათვის თუ ქცევის ნორმების სწავლება იქნებოდა საჭირო, ნამდვილად არ მეგონა.

თუმცა, სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია. ვნახოთ, იქნებ გაგვიმართლოს!

იხ. მე-2 გვ.

◎ პრეზიდენტი

# ბავშვთა მეგობრობა ურთიერთგაგების საწინდარია

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 1 აგვისტოდან აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა ამოქმედდება, რომელიც ქართველი და აფხაზი ბავშვების სულიერ და ფიზიკურ ერთობლივ გაჯანსაღება-დასვენებას ითვალისწინებს.**

აფხაზეთის ტერიტორიაზე და აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების შესახებ განკარგულების შესრულება მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაავალა და აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად 102 ათას 700 ლარი გამოჰყო.

სამინისტრო საქართველოს სახელმწიფოს სახელით თხოვნით მიმართავს სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და აფხაზეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამოეხმაურონ ქართული მხარის ინიციატივას ქართველი და აფხაზი ბავშვების ერთობლივი დასვენების შესახებ.

ასტემიროვა იმედოვნებს, რომ აფხაზური მხარე გაგებით მოეკიდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას და დევნილ ბავშვებთან ერთად საქართველოს კურორტებზე 50-მდე აფხაზი ბავშვიც დაისვენებს.

**ინტერ-პრესი.**

◎ ინფორმაცია

### დიალოგი

### საქმეს წაადგება

**თბილისის საკრებულოს ინიციატივით, დღეს დედაქალაქში მცხოვრებ ოსი ეროვნების მოქალაქეებთან შეხვედრა გაიმართება.**

**მოწვეულთა შორის ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები იქნებიან. შეხვედრა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს დაეთმობა და სპეციალური განცხადებაც გაკეთდება.**

**როგორც ცნობილია, საკრებულოს ინიციატივით დაგეგმილია გაზეთ „ნერგების“ სპეციალური, ქართულ-ოსური და ინგლისურენოვანი ნომრების გამოცემა, რაც უფასოდ დაურიგდება ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას და ასევე უცხოეთში მცხოვრებ ოსური დიასპორის წარმომადგენლებს.**

**გაზეთი სავარაუდოდ მომავალი კვირის ბოლოს გამოვა და ვებ-საიტზეც განთავსდება.**

### შეიქმნება სპეციალური კომისია

**საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს შეისწავლის.**

**კომისიის მუშაობაში სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ის მხარს უჭერს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, თუმცა, „არა ქვეყნის ძირეული დეცენტრალიზაციის ხარჯზე“.**

**სააკაშვილის თქმით, მაშინ, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ არ დგას მყარად ფეხზე, საჭიროა ძლიერი ცენტრის არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე.**

**ინტერ-პრესი.**

## ინტერპანორამა

**დაზარალებული ტურისტების თქმით, თურქული ოტელის Valeri Beach-ის ეზოში მომხდარი აფეთქება, შესაძლოა, ტერორისტული აქტიც ყოფილიყო. აფეთქებისას დაიჭრა 9 უკრაინელი, 6 გერმანელი, 4 ავსტრიელი ტურისტი და ორი თურქეთის მოქალაქე.**



**ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ჩრდილოეთ კორეას, მიიღოს ბირთვული პროგრამის „გაყინვისათვის კომპენსაციის“ და ამ ქვეყნისთვის ენერგეტიკული დახმარების გაწევის წინადადება, მაგრამ ფხენიანმა ამას „ნაყალბევი“ უწოდა.**



საქართველოს რესპუბლიკა
№ 171, კვირა, 25 ივლისი, 2004 წელი.

კვირის თვალსაწიერი

# არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი...

(პირველი გვერდიდან)

## „ფურთხის წვიმა“ მზიან ამინდში

– ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ, – წამოიძახა გასულ საუკუნეში გამწარებულმა მგოსანმა. ჰქონდა მას, ამ გულანთებულ მამულიშვილს, ამის თქმის მორალური უფლებაც და სამწუხარო სერიოზული საფუძველიც.

მაგრამ ცხელ გულზე წამოძახებულისთვის მას პრაქტიკული საქმე არ მიუყოლებია.



თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტი ინტელიგენტი იყო და ამას, უწინარესად, საკუთარ თავს არ აკადრებდა...

ახლა კადრულობენ.

რაც ამ სამიოდ დღის წინათ ეკონომიკის სამინისტროს წინ, მზით გადასარკული ცის ქვეშ, „ფურთხის წვიმა“ მოდიოდა, მსგავსისგან აწი ოდესმე ღმერთმა დაგვიფაროს! პაპუასებს ოდნავ მაინც ხომ უნდა ვაჯობოთ ზოგიერთებმა!

კი თქვა ბატონმა კახა ბენდუქიძემ, საქმე ისე უნდა ავაწყოთ, რომ სამი წლის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო საერთოდ არ იყოს საჭიროო, მაგრამ ჯერ ხომ ხეირიანად სამი თვეც არ გასულა მისი გამინისტრებიდან? ამიტომაც, ვაცალოთ მუშაობა, ბატონებო და ქალბატონებო.

თუმცა ერთიც არის: გასაგები (მაგრამ მძიმედ ასახსნელი) მიზეზების გამო სინდისთან საკმაოდ მწყრალ დღევანდელ საზოგადოებაში იმის პირდაპირი განცხადება – სინდისის გარდა ყველაფერი უნდა გაიყიდოსო, – ჩვენი ხალხის დიდი ნაწილისთვის საკმაოდ ძნელად მისაღები და აღსაქმელია.

ძნელია, რადგან საზოგადოება ბოლო წლების მწარე გამოცდილებით კარგად ხედავს, რა დღეშიც ჩააგდო საქართველო სათანადოდ გაუაზრებელმა, მოუმზადებელმა და არცთუ ანგარებას მოკლებულმა პრი(ხ)ვატიზაციამ.

საკუთარ გულში მომღერალ ამირანს ბანს ვერავინ ეტყვის იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ მისი არ ესმით.

ამიტომაც, მრავალგზის იმედგაცრუებულ საზოგადოებას პირდაპირ კი არ უნდა „ვაჯახოთ“ პირადად ჩვენთვის კარგად გააზრებული თუნდაც ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც მან, შესაძლოა, დაცინვადაც აღიქვას, არამედ ყველაფერი გულდასმით ავუხსნათ, რეფორმების სიკეთესა და აუცილებლობაში დავარწმუნოთ, თანამოაზრედ გავიხადოთ იგი.

ამ მხრივ, ვფიქრობ, ხალხისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც ძალიან საყურადღებო და საგულისხმოა „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული პროფესორ გიორგი ბალათურიას წერილი.

სხვანაირად გაგვიჭირდება თვით ყველაზე დარიან ამინდშიც კი „ფურთხის წვიმის“ აცილება, რაც თავისთავად, ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელი და მიუღებელია ნებისმიერი მეტ-ნაკლებად კულტურული ქართველისთვის.

## გიჟი გენერლების ენაზე...

ჩვეულებრივი ამბავია: მოძველებულ, უვარგის ნივთს მოისვრიან ან გამოცვლიან ხოლმე. თუმცა სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებზე ეს ასე იოლად არ ითქმის, მას განსაკუთრებული ყურადღებით სჭირდება მოპყრობა.

მაგრამ საერთაშორისო ნორმებით, თუ ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის ინტერესებს ბღალავს, იგი შეიძლება შეიცვალოს ან მასზე საერთოდ უარიც ითქვას, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ცალმხრივადაც კი.

– არაო, – თავს იკლავენ რუსი პოლიტიკოსები და დიპლომატები, – აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების დენონსირება შეუძლებელიაო.

ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის პოზიციასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებამ ისეთი განცხადება გააკეთა, ქართველ პოლიტოლოგთა სამართლიანი შეფასებით, დიპლომატებს კი არა, თვით ყველაზე გიჟ გენერლებსაც რომ არ ეკადრებოდათ.

ვერ გამოსულან იმპერიული ტყვეობიდან. მართლაც ჰგონიათ, რომ საქართველოს ეს ძირძველი მხარე მთლიანად რუსეთის მოქალაქეებით (კიდევ კარგი, არა რუსებით) არის დასახლებული.

უფრო მეტიც – ისეთი სერიოზული გამოცემა, როგორიც არის „ლიტერატურნაია გაზეტა“, თავის ბოლო, 14-20 ივლისის ნომერში მთელი სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ოსებს ახლახან რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით გაერთიანების 230 წლისთავი უზეიმიათ (თუ ამაში ჩრდილოეთ ოსეთს გულისხმობენ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, ცხინვალში კი გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისამდე ერთი ოსური ოჯახიც არ ცხოვრობდა) და ამიტომაც სამხრეთოსეთელები უნდა დავიცვათო.

აბა, რა უნდა მოსთხოვო გენერალ ნაბდზოროვის ენაზე მოლაპარაკე რუს დიპლომატებს!

## „კჩორტუ კაპრატივ“...

„კჩორტუ კაპრატივ, ჯაყოს არ გინდა კაპრატივი“, – ხიშტებით ხვდებოდა თავისი ყოფილი ბატონის, უნიათო ქართველი თავადისთვის წაგლეჯილი ქონებით გაბღენძილი ნამოურავალი ჯაყო სიახლეს.

– ჩვენი ბედი და ბედნიერება რუსეთია, არ გვინდა საქართველო და მის შემადგენლობაში ყოფნა, – იხიშტება ჯაყოს შთამომავალი კოკოითი (ადრე რომ კოკოევი იყო, „ითი“ კი თავისი თითქოსდა თავადური წარმომავლობის დასადასტურებლად მიუმატებია).



ფრთხილად, საქართველოში დღეს მაშინდელი ბრინკები არ არიან, ჯაყო კოკოითო! სანამ იქნები რუსთა იმედად? ვაითუ, მალე როკის გვირაბითაც ვერ გაასწრო!

## სამშობლოს



## გრძნობა გასაკვირველი...

– რა უნდოდა, ამ არეულ ქვეყანაში რამ ჩამოიყვანა ეს მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანიო, – გულწრფელად გაუკვირდა ზოგიერთს ჩვენი სახელოვანი პრიმა-ბალერინას ნინო ანანიაშვილის გადაწყვეტილება თბილისის საბალეტო დასის ხელმძღვანელად ჩამოსვლის შესახებ.

რამ და, იმ ერთი რამის სიყვარულმა, მწერლისა არ იყოს, დამალვა რომ სჭირდება, იმან, რასაც სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი ჰქვია, სისხლის ყივილმა, გენმა, ჯიშმა და მშობელი ქვეყნისთვის თანადგომის, საკუთარი მდიდარი შესაძლებლობების მის სასარგებლოდ სწორედ მაშინ მიშველების სურვილმა, როცა ეს მას ყველაზე მეტად სჭირდება.

სწორედ ეს არის მთავარი – შეჭირვებისა და საჭიროების დროს ამოუდგე მხარში შენს მშობელ ქვეყანასა და ხალხს, თორემ დალხინებისას, გაშლილ სუფრაზე, ლამის ყოველ მეორე ქართველს შეუძლია გამართულად თამადობა.

დიდი მადლობა, ქალბატონო ნინო, ამ კეთილშობილური გადაწყვეტილებისთვის, გადამდები და სრულიად საქართველოსთვის ბედნიერების მომასწავებელი გამომდგარიყოს თქვენი ეს ნაბიჯი!

[illegible]ია.

თანამშრომლობა

# „რწმენა“ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი ცენტრი

## მიზნის სიმძაფრე ბოლოს გაცხადდა

დიასპორების ხელშეწყობის ფონდი „კრედო“, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მყარად დამკვიდრდა საქართველოში. 21 ივლისს სწორედ „კრედოს“ ძალისხმევით მოეწყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამაერთიანებელი ცენტრის პრეზენტაცია. ცენტრს „რწმენა“ ჰქვია. ბუნებრივია, „რწმენა“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობების დიდი თანადგომით დაფუძნდა.

მკითხველმა თავად განსაჯოს – საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებდა!

მათი უმრავლესობა, გასაგები მიზეზების გამო (უსახსრობა, „ზემოდან“ უყურადღებობა, მშობლიურ კერაზე დაბრუნების მრავალწლიანი ამაო ლოდინი, ფუჭი დაპირებები და ა.შ.) მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მათი გაერთიანება ფრიად საშური, მართლაც შესანატრი საქმე გახლდათ. ეს იქნებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი ერთიანი და მთლიანი საქართველოსთვის ბრძოლის ურთულეს გზაზე, ჩვენი უმთავრესი მტერი ხომ ეროვნულ ძალთა დაქუცმაცება-გათითოკაცებაა...

„რწმენის“ დამფუძნებელი კონფერენციის ბოლოს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასმა „თეთრმა ტალღამ“ (ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი რატიანი) წარმოადგინა საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორის ნიმუშები, ქორეოგრაფიული ჩანახატი – „ხერხი სჯობია ღონესა“ და ნაწყვეტი სპექტაკლიდან „გამარჯობა, სოხუმო!“ (ნოდარ დუმბაძის და გურამ ოდიშარიას ნაწარმოებების მიხედვით). დარბაზში ვერ იპოვიდით ვერავის, კაცსა თუ ქალს, რომელიც ცრემლს არ იმშრალებდა. თურმე, როგორ მოგვენატრებია მშობლიური აფხაზეთი, რუსების და აფხაზი სეპარატისტების მიერ დროებით წართმეული ქართული წალკოტი, ქართველებისა და აფხაზების მშობლიური ადგილის დედა, მშობლიური ოდაბადე... არადა, ერთმორწმუნე, იმპერიული ამბიციებით დღესაც აღსავსე რუსეთი, მსოფლიოს თვალის ასახვევად, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ოფიციალურად აღიარებს...

„რწმენის“ – იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამაერთიანებელი ცენტრის მთავარი მიზანი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ამ წარმოდგენებითაც გაცხადდა – რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავერთიანდეთ, ღონე-ძალის, ომის ნაცვლად ხერხს მივმართოთ და აფხაზეთი მშვიდობიანად დავიბრუნოთ.

იხ. მე–3 გვ.

ინფორმაცია

საწარმო

### მარტო დისკომფორტი კი არა, სოლიდური ზარალი

სს „აზოტის“ ხელმძღვანელობის მტკიცებით, 17,18 და 22 ივლისს ქარხნის ელექტროენერგიის გარეშე დატოვებამ მას სოლიდური ზარალი მიაყენა.

ქარხნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოსთვის ელექტროენერგიის თუნდაც მცირე ხნით შეწყვეტაც კი კოლოსალურ მატერიალურ ზარალთანაა დაკავშირებული. ავარიული გამორთვებით ირღვევა ტექნოლოგიური ციკლი, მწყობრიდან გამოდის ძვირადღირებული დანადგარები და მოსალოდნელია ეკოლოგიური კატაკლიზმები.

– საწარმოს ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა ქვეყნისა და ენერგობაზრის მესვეურებს თხოვნით, რათა ქარხანა სტაბილურად მომარაგდეს ელექტროენერგიით და ანაზღაურდეს ის მატერიალური ზარალი, რაც ავარიულმა გამორთვებმა მოგვაყენა, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა და ჩვენი მოთხოვნები დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი, – განაცხადა „აზოტის“ პრეს-სამსახურის უფროსმა თემურ ქლენტმა.

კონფლიქტის ზონა

### რუსეთს კონფისკებული იარაღი დაუბრუნდა

გუშინ საქართველო-რუსეთის საზღვარზე, „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, რუსეთს ამას წინათ ჩამორთმეული 300 ცალი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა გადაეცა.



რუსებს ამ იარაღის მიღება ცხინვალის რეგიონში სურდათ, მაგრამ ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნით და მისი უკომპრომისო პოზიციის გათვალისწინებით, ეს სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე გაკეთდა.

„გატაცება“

### ნაბდზოროვს სოკო მონატრებია?

გუშინ მძიმე ტექნიკაზე „ამხედრებული“ გენერალი ნაბდზოროვი რუსი ჟურნალისტების თანხლებით შეეცადა დაეზვერა ცხინვალის ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ერთადერთი შემოვლითი გზა, მაგრამ მას ამის გაკეთების საშუალება „არასტუმართმოყვარე“ ქართულმა ძალოვანებმა და პირადად შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა არ მისცეს.



არადა, სინამდვილეში ნაბდზოროვს თურმე, მისივე სიტყვებით, მხოლოდ სოკოს შეგროვება ნდომებია.

ამას იგი თავის სამშობლოში, არყის ხეთა ტყეში, უკეთ მოახერხებსო, – ამტკიცებს ირაკლი ოქრუაშვილი.

ინტერ-პრესი.

◎ თანამშრომლობა

# „რწმენა“ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი ცენტრი

(მეორე გვერდიდან)

## პრინციპულად, დამაჯერებლად

„რწმენის“ დამფუძნებელ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა დიასპორების ხელშემწყობი ფონდის „კრედოს“ პრეზიდენტი ბესარიონ ხვინთელიანი. წლების განმავლობაში მოსკოვში მოღვაწე, აფხაზეთში გაზრდილმა კაცმა კარგად იცის, რა როლი ეკისრება რუსეთს საქართველოს მოუშუშებელი ჭრილობების შეხორცების პროცესში. ამიტომაც, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ათეულ ათასობით დევნილთა, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის (ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის) მოუგვარებელ პრობლემებზე საუბრისას,

მომხსენებელმა პრინციპულად, დამაჯერებლად ისაუბრა ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გააქტიურების აუცილებლობაზე, ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სწორ, პრინციპულ, უშეღავათო და უშიშარ ნაბიჯებზე, დიასპორების როლზე ქვეყნის გაერთიანება-გამთლიანების საქმეში. „რწმენა“ პრაქტიკული მოქმედების ცენტრად, იძულებით გადაადგილებულთა მონოლითური ერთობის კავშირად უნდა იქცეს, რადგანაც მხოლოდ ერთობა, ერთ მუშტად შეკვრა გადაგვარჩენს. ფონდი „კრედო“ კონკრეტულად დაეხმარება (ადრეც ეხმარებოდა) იძულებით გადაადგილებულთა ორგანიზაციებს და საქართველოს ისტორიაში პირველად, ოფიციალურ ხელშეკრულებას გააფორმებს აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, – თქვა ბესარიონ ხვინთელიანმა.

„რწმენის“ ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე კონფერენციის მონაწილეებს თავიანთი მოსაზრებები მოახსენეს აფხაზეთის ინვალიდ-ვეტერანთა კავშირის პრეზიდენტმა, „რწმენის“ გამგეობის წევრმა გრიგოლ ნასარიძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თეიმურაზ მჟავიამ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ, პროფესორებმა ვახტანგ გოგუაძემ და ზურაბ პაპასკირმა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო თოდუამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მურმან კვარაცხელიამ, საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე თვალჭრელიძემ, „რწმენის“ გამგეობის წევრმა, სხდომის წამყვანმა მერაბ მისაბიშვილმა და სხვებმა.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა თითოეული დევნილისა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობისადმი.

## პირველი მემორანდუმი

როგორც ვთქვით, კონფერენციაზე მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს და დიასპორების ხელშემწყობი ფონდის „კრედოს ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება-მემორანდუმი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბესარიონ ხვინთელიანმა, თეიმურაზ მჟავიამ და ლონდერ ცაავამ. ასე გაფორმდა პირველი მემორანდუმი სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის.

გთავაზობთ რამდენიმე პუნქტს ცენტრ „რწმენის“ მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალიდან, რომელიც ფონდ „კრედოს დახმარებით აღსრულდება:

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა უფასო იურიდიული კონსულტაცია; მათი სოციალური საკითხების გადაწყვეტა (შრომითი მოწყობა, სამედიცინო დახმარება, განათლებისთვის ხელშეწყობა); განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების და შემოქმედებითი ახალგაზრდობის გამოვლენა და ფინანსური დახმარება; დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (რედაქციების, გამომცემლობების შექმნა); ეროვნული კულტურის ფესტივალების, გამოფენების, სპორტული ღონისძიებების გამართვა; ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შემსწავლელი კურსების შექმნა; კომპიუტერული ტექნიკის შემსწავლელი კურსების დაფინანსება; ადგილობრივ და უცხოურ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან (გრანტების მფლობელ ფონდებთან კავშირის დამყარება); ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და სხვა კონფერენციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; მოზარდთა საზაფხულო და საზამთრო დასვენების ორგანიზება; სახალხო დიპლომატიის პოტენციალის გამოყენება და სხვ.

* * *

როგორც იტყვიან, გეგმა, მართლაც, შთამბეჭდავი და საშვილიშვილოა.

ახლა მთავარია მისი პრაქტიკული განხორციელება. ჯერჯერობით, ისე ჩანს, რომ ფონდ „კრედოს“ ძალიც შესწევს ქადილისა!

სპარტაკ ქოზულია.

◎ ეგებ, გამოგვადგეს!

# აბა, რა მიგაქვთ საიქიოში?

## ლამაზი ქალი სახრჩობელადაც ღირს

**ფაქტია, ამერიკას დემოკრატიაში ვერავინ შეედრება. ადამინის უფლებების დასაცავად ტანსაცმელს იხევენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ უცხოეთის სახელმწიფოებშიც. სწორედ ამის გამო ატეხეს ომი იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყში... რიგში დგანან ირანი, ჩრდილო კორეა...**

და ამ დროს ეს ნამეტანი დემოკრატიის სახელმწიფო კრიმინალურ ჭაობში იხრჩობა. ყოველწლიურად იქ 40 მილიონამდე დანაშაული აღირიცხება, რომელთაგან 4-5 მილიონი „სე-



რიოზულის“ კატეგორიას მიეკუთვნება. მას პირველი ადგილი უკავია პატიმართა რაოდენობის მხრივაც. ყოველ 100 ათას კაცზე აქ 710 მსჯავრდებულია. სამაგიეროდ...

სინგაპურში ჩასვლისთანავე თვალში მოგხვდებათ არნახული წესრიგი და სისუფთავე. ადგილობრივ მაცხოვრებლებს ღიმილი არ შორდებათ სახიდან, არ კამათობენ, ერთმანეთს არ ლანძღავენ და თუ დახმარებას სთხოვ, თან გადაგყვებიან. რაც მთავარია, პოლიციელებს თვალებში შესციცინებენ და ყოველ მათ მოთხოვნას უყოყმანოდ ასრულებენ.

ბევრმა არ იცის, რის ფასად ხდება ამ ქალაქ-სახელმწიფოში დისციპლინის დამყარება. სინგაპურში ყველაზე მცირე ჯარიმა (მაგალითად, ქუჩაში ნამწვის გადაგდებისთვის) ათას დოლარს შეადგენს. უფრო სერიოზულ დარღვევაზე ფული ვეღარ გიშველის და გასაროზგად უნდა მოემზადო. მანქანის აკრძალულ ადგილას გაჩერებისთვის მძღოლს ბამბუკის ჯოხის ხუთი დარტყმა ელის. ვინც გამვლელ ქალს აეტორღიალება და ზედმეტი კითხვებით შეაწუხებს, მას 50-ჯერ ისეთი ძალით დასცხებენ ზურგზე, რომ სამი თვე საწოლიდან ვერ წამოდგება.

სინგაპურში 4 მილიონი ადამიანი (ჩვენც ამდენი არა ვართ?) კანონებით ცხოვრობს და დანაშაულის ჩადენა ფიქრადაც არავის მოსდის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქურდებს და ნარკოტიკებით მოვაჭრეებს სასტიკი სასჯელი ელით, – მათ გაუსამართლებლად ჰკიდებენ სახრჩობელაზე. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 13 წელიწადში ბაწარში თავი გააყოფინეს 400-ს კაცს, რაც სინგაპურს სიკვდილით დასჯილთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე აყენებს.

დანდობა არც უცხოელებს ელით და კრიმინალ სტუმრებს ადგილობრივ დამნაშავეებთან ერთად ცემით აძრობენ სულს...

წლევანდელ 6 თვეში, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, საქართველოში დანაშაულის საერთო რაოდენობა გაიზარდა 2.921 ერთეულით (33,1 პროცენტით). 11.736 ბოროტმოქმედებიდან 4.697 განსაკუთრებით მძიმე კატეგორიისაა. რა ვქნათ, დემოკრატიას გამოვეკიდოთ თუ სახრჩობელას?

## ჩვენი დავივიწყოთ, სხვისი შევიყვაროთ

**რუსული ენა, რომელიც დიად საბჭოეთში მთავარი ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა გახლდათ, ცხადია, ძველებური ეშხით ვეღარ ფოფინობს დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნებში. ეს გულზე ეკალივით ესობათ „დერჟავნიკებს“. მათ ე. წ. ინსპექციაც კი მოაწყვეს ყოფილ მოძმე რესპუბლიკებში რუსული ენის მდგომარეობის შესასწავლად. მოაწყვეს ახლა. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარ ქვეყანაში შავად მიუდით საქმე. იხურება სკოლებიც, მცირდება მოსწავლეებიც. 2004 წელს, მაგალითად, იქ სკოლა დაამთავრა 2,2 მილიონმა მოსწავლემ. 2010 წელს, ვარაუდით, ეს ციფრი 1,4 მილიონზე ჩამოვა.**

სულ ცრემლად იღვრებიან, – ლატვიაში, ესტონეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და უკრაინაში (გესმით?) რუსული ენა ჯოხით იდევნებაო. ლატვიის ქალბატონი პრეზიდენტი, რომელიც კანადიდან მოგვევლინა, რუსულ სკოლებს ლატვიურად აქცევს, რუსებს კი – ლატვიელებადო. 5 წელიწადია, რაც ამ ქვეყნის პრეზიდენტია და „ჩებურაშკაც“ არ წაუკითხიაო (ყოჩაღ!); თურქმენეთის პრეზიდენტს არა მარტო რუსული სკოლები დაუხურია პირწმინდად, არამედ პოსტზე არც ერთი რუსი ეროვნების მოხელეც კი არ გაუჩერებია; ტაჯიკეთის პრეზიდენტს იგივე გაუმეორებია; უზბეკეთის პრეზიდენტს ცოლი რუსი ჰყოლია და რუსული ენა მაინც ფეხებზე დაუკიდებია; უკრაინაში თუ რუსი ხარ, მაგრამ ბავშვს უკრაინულ სკოლაში არ მიიყვან, მწარედ განანებენ; ესტონეთში თუ რესტორანსა და სასტუმროშიც კი რუსულად დაილაპარაკებ, ზედაც არ შეგხედავენ...

საქართველო? სამხრეთ კავკასია ერთ ჯამში მოგვაქციეს. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები რუსულს მშვენივრად ლაპარაკობენ, ჩვენი ენისადმი დიდ მოკრძალებას იჩენენო. აქ საქართველო მაინც გამოსარჩევია, – მარტო შარშან აქ 3 ახალი რუსული სკოლა გაიხსნა და ამის გამო გაკვირვებისგან ლამის ენა მუცელში ჩაგვივარდაო. მართლებიც არიან, – აგერ, ნინოწმინდაში (აღარ ვლაპარაკობ, ვთქვათ, სოხუმსა და ცხინვალში) ქართული სკოლა იხურება, ლტოლვილებით გამოტენილ ჩვენს ქალაქებში კი თურმე რუსული სკოლები იხსნება.

რა ვქნათ, თუ რუსები კარდაკარ დასდევენ თავიანთ სკოლებს, თავიანთ ენას, ჩვენ თბილისიდან ვუყუროთ ჩვენი სულიერების გაჩანაგებას?

იმპერიის ინსპექტორები დიდ მადლობას უხდიან ბელორუსს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს რუსული ენის სახელმწიფო დონეზე „შენახვისათვის“. შეიძლება მალე ჩვენც ამათ რანგში გაგვიყვანონ!

## მე, პური, წყალი, ჰაერი და...

**ადამიანის არსებობისთვის (ამქვეყნად) დღემდე ელემენტარულად საჭირო იყო მხოლოდ სამი რამ: პური, წყალი და ჰაერი. თურმე, ნურას უკაცრავად, ადამიანის არსებობისთვის (ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც!) საჭირო ყოფილა პური, წყალი, ჰაერი და... პრეზერვატივი! სხვაგვარად, დაღუპულა ჩვენი საქმე. არა გჯერათ?**



ამერიკაში, ჰოლანდიაში, შვედეთში (და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში) პრეზერვატივი ადამიანის განუყოფელი ატრიბუტია. ლამის დაბადებიდანვე. მაღაზიებში, აფთიაქებში, სკოლებშიც კი, ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ შეიძინონ პრეზერვატივები და მერე პატნიორთან კოტრიალში გაატარონ დღეებიც და ღამეებიც. მთავარია არ დაფეხმძიმდნენ, თორემ გათხოვებამდე ბარე 50 ბოიფრენდის გამოცვლა სირცხვილი არაა ნებისმიერი მარწყვივით გოგონასთვის. შვეციაში, მაგალითად, 21 წლამდე ასაკის ქალიშვილს (პირობითად) არავინ მიჰყიდის ერთ ბოთლ ლუდს პირადობის მოწმობის გარეშე, რომელშიც აღნიშნულია ასაკი. პრეზერვატივი? წაიღე „პაჩკა-პაჩკა“, – ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

ააა, გრცხვენიათ საჯაროდ ყიდვა როგორც პრეზერვატივების, ისე სხვა სექსსაშუალებების? გულს ვინ დაგწყვეტთ, ამაზე ფიქრობენ, ზრუნავენ. აგერ, ჰოლანდიელმა ბიზნესმენმა ფრანს ბერკერმა შექმნა სექსის ყველაზე პოპულარული ატრიბუტებით მოვაჭრე ავტომატები. ჩაუშვებ გარკვეული ღირებულების მონეტას და წამში მიიღებ პრეზერვატივს, ვიბრატორს, ლუბრიკატს... ინტიმური პროდუქცია იყიდება 24 საათის განმავლობაში. შენ მარტო ჯანი თქვი!

პრეზერვატივი მოსწავლისა და სტუდენტის პარალელურად მართლაც პურივით, წყალივით და ჰაერივით სჭირდება ჭარმაგსაც. ბრაზილიაში, ყოველი საახალწლო კარნავალის დროს, რომელიც ორი კვირის მანძილზე გრძელდება და იქაურთა გამოთქმით, ბობოქარი სექსით ჯერდება, უფასოდ არიგებენ 10 მილიონ პრეზერვატივს. არა ჰყოფნით. მოკლედ, ბდღვნიან ერთმანეთს!

ახლა ცოტა ხანს დაწყნარდით, გაოცებისგან პირი არ დააღოთ: ბოლო დროს ჩინელები დიდი სერიოზულობით ეკიდებიან იმქვეყნიურ ცხოვრებას. ადგილობრივი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც ნამდვილად გრძელდება. ამიტომაც ჩვეულებრივი ჭირისუფლები გარდაცვლილებს, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებთან (მაგალითად, სარკესთან და სავარცხელთან) ერთად ბლომად ატანენ ვიაგრასა და პრეზერვატივებს.

ზოგი იტყვის, ჩინეთი აზიაა და იქაური ხალხი ცოტა ჩამორჩენილიაო. საფრანგეთი ხომ ევროპაა და იქაური ხალხი ცივილიზებულია? მერე? სულ ახლახან ნიცელმა ქალბატონმა კრიტეი დე მიშელმა, პრეზიდენტის სპეციალური ნებართვით, ჯვარი დაიწერა 2002 წლის სექტემბერში დაღუპულ საქმროზე. ყველაფერი ჩატარდა ჩვეულებრივ, ოღონდ პატარძალს შავი კაბა ემოსა...

მოკლედ, ამ ცხოვრებას ყველა ზედ მოაჯდა რაშივით და მიჰქრის, მიჰქრის, მიჰქრის... მეღა მივჩანჩალებ ფეხით. ვის დავეწევი და როდის, თავადაც არ ვიცი...

ბონდო გულიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 171, კვირა, 25 ივლისი, 2004 წელი.

სტუმარი

# „კავალერებიდან“ გალაკტიონამდე

## ერთი დღე მწერალ ირაკლი ჯავახაძესთან

**თუმცა ამ დღეებში საგრძნობლად აგრილდა, აგერ, ხუთშაბათს, ცა ჩამოიქცა, თითქმის 14 საათის განმავლობაში თბილისში ისეთი თქეში მოდიოდა, მთელი ქალაქი დატბორა, ოთხშაბათს შუადღისას მაინც ძალიან ჩამოცხა და ჩვენც ვერის ბაღს შევაფარეთ თავი.**

შეხვედრაზე ადრევე შევთანხმდით, ოღონდ დრო არ დაგვიკონკრეტებია. წინა დღით კი ვერ დავიჭირე, ჯერ იყო და, დღისით ეძინა, მერე სადღაც დამეკარგა.

– რა ვქნა, ასე იცის უმუშევრობამ, რეჟიმიდან ამოვვარდი, ჩემთვის დღე ხან დილით იწყება, ხან შუადღის 3-4 საათზე. საღამოს უფრო ხშირად მეგობრების წრეში ვარ, ხანაც დილამდე შემიძლია ტელევიზორს ვუყურო.

***– ესე იგი, რეჟიმი საჭიროა.***

– რა თქმა უნდა, გეხმარება, უფრო მოწესრიგებული ხარ. სამსახური რეჟიმში ყოფნას უწყობს ხელს, – მიპასუხა ირაკლი ჯავახაძემ და უფრო სერიოზული საუბრისთვის მოემზადა.

**– ამ საკითხზე ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ შენგან მაინტერესებს გავიგო – მწერლის ოჯახში გაზრდილი ბიჭი რაიმეთი თუ გამოირჩევა სხვებისგან – დავუშვათ, მეტი სიბეჯითით, ან წიგნის სიყვარულით, უფრო ადრეულ ასაკში სწორი ლიტერატურის შერჩევით?**

– არა მგონია. უფრო სწორად, არაფრით გამოირჩევა. რამდენი არ არის მწერლის შვილი, მაგრამ ჩემზე ნაკითხი და ერუდირებულია. ეს ხომ ინდივიდუალურია. მამამ რაც არ უნდა გირჩიოს, სურვილი თუ არა გაქვს, იმას მაინც არ წაიკითხავ. ბავშვი თუ წიგნის კითხვისკენაა მიდრეკილი, ის თვითონ იპოვის წასაკითხს, შეიძლება, არც დასჭირდეს მშობლის რჩევა. კი, ბატონო, ბავშვობაში, შეიძლება, რაღაცაში დაგეხმაროს, აი, ვთქვათ, ლიტერატურის სწორად შერჩევაში, მაგრამ თუ წიგნის კითხვა სისხლში არა გაქვს გამჯდარი, ვერაფერსაც ვერ დაგეხმარება.

***– ბავშვობით დავიწყეთ და ბირჟაზე დგომა თუ გიყვარდა?***

– როგორ არა, საათობითაც ვმდგარვარ, მაგრამ, ასე ვთქვათ, ლიბერალურ ბირჟაზე. არ გვიძველბიჭია. ჩვენი ბირჟა გვქონდა. მე-9, მე-10 კლასებში რეპეტიტორებთან რომ დავდიოდი, ხანდახან ვაცდენდი გაკვეთილებს და ბიჭებს ვუერთდებოდი.

***– სპორტს არ მისდევდი?***

– ორი-სამი წელი ცურვაზე დავდიოდი, რაღაც თანრიგიც კი მაქვს, მაგრამ სერიოზული არაფერი, მაინც მოყვარული ვიყავი. არც შინ მივარჯიშია, ბავშვობიდან გვიან გაღვიძება მიყვარდა, დილის ძილი...

**– მოდი, ახლა შენს ბოლო წიგნზე ვილაპარაკოთ, „კავალერები“ რომ დაგირქმევია. პირველ მოთხრობაში – „ადამიანი Zero“ – მე მგონი, არასწორი განაჩენი გამოგაქვს მთავარი გმირისთვის. არადა, ნამდვილად კაცურად მოიქცა, ოჯახი არ დაანგრია, ის ოჯახი, სადაც, პრინციპში, თავს ბედნიერად თუ არა, უბედურად არ თვლიდა. შენი ნებართვით, მკითხველს ამ მოთხრობის ფინალს გავაცნობ:**

**„გავედი შემოსასვლელში, ქურთუკი მოვიცვი და ჩემოდნის ასაღებად შევბრუნდი ოთახში...**

**მერე ერთი წამით შევყოყმანდი, ჩემოდანი დავდგი და საძინებელში შევედი...**

**მივედი საწოლთან, დავიხარე და ბავშვს ვაკოცე...**

**შეიშმუშნა და დედამისისკენ გადატრიალდა...**

**და, ამ დროს საბნიდან ტერფი გამოყო...**

**ვიდექი და შეპყრობილივით ვუყურებდი...**

**პატარა, თეთრი ფეხისგული შუქურასავით ანათებდა სიბნელეში...**

**მერე უცებ შემოვტრიალდი, ოთახში გამოვედი, ჩემოდანი გავხსენი და ნივთები ამოვალაგე...**

**ჩემოდანი რომ დაცარიელდა, შვებით ამოვისუნთქე და საათს დავხედე... თერთმეტს ოცი აკლდა...**

**სავარძელში ჩავჯექი, სახე მუხლებთან მივიტანე და მკლავები თავზე შემოვიჭდე...**

**ასე ვიყავი დიდხანს...**

**ბოლოს ავდექი, საძინებელში შევედი, ჩუმად გავიხადე და ჩუმად მივუწექი ცოლს გვერდით...**

**ზურგზე ვიწექი და ჭერს მივშტერებოდი...**

**ვერ მოვისვენე...**

**წამოვდექი, ოთახში გავედი, ფანჯარა გამოვაღე, ჩემოდანს ხელი დავავლე და შორს, ძალიან შორს მოვისროლე...**

**წამით თვალები დავხუჭე...**

**ჩემოდანი ხმაურით დაასკდა ასფალტს...**

**უცებ მივაჯახუნე ფანჯარა და საძინებელს დავუბრუნდი...**

**უკვე ვწვებოდი, ჩვენმა ბიჭუნამ თვალები გახსნა და მისუსტებული ხმით მკითხა:**

**– მამა, რა გააკეთე?**

**– არაფერი, ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. დაიძინე, – ვუთხარი ჩუმად და ფეხებთან საბანი შევუკეცე ბიჭს...“**

– რა ვიცი, ეს ხომ ინდივიდუალურია. ალბათ, ბევრი დაოჯახებული მამაკაცის ცხოვრებაში ხდება ასეთი რამ, რომ ვიღაც ქალი შეუყვარდება. მე მგონი, ამის რეცეპტი არ არსებობს, რა არის სწორი და რა – არა.

***– ამას არ გედავები, ამ კაცს Zero რატომ დაარქვი?***

– იმიტომ, რომ დღევანდელი საზოგადოებისთვის უბრალო მასწავლებელი, ასეთი ადამიანები ნულის ტოლია.

***– ესე იგი, ავტორს ამ კაცის აბუჩად აგდება არ სურს?***

– როგორ გეკადრებათ, აბუჩად აგდება რას მიქვიან, ჩვენმა საზოგადოებამ, დღევანდელმა ყოფამ აქცია ასეთები Zero-დ.

***– „შავი სიის კავალერებისგან“ მშვენიერი სცენარის გაკეთება შეიძლება. არ გიფიქრია? და, საერთოდ, შენი მოთხრობებისა და ნოველების შესაძლო ეკრანიზაციაზე რას ფიქრობ?***

– წინააღმდეგი რატომ ვიქნები. 2002 წელს ნუგზარ ლორთქიფანიძემ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დადგა ამ მოთხრობის მიხედვით სპექტაკლი, ერთი-ორი სხვა მოთხრობაც დაამატა. ბატონ გუგული მგელაძეს სურდა „ადამიანი Zero“-ს გადაღება, მაგრამ ფული ვერ იშოვა.

***– ასე მგონია, „კავალერების“ ავტორი სულ ამუნათებს თავის მამაკაც გმირებს, ძალიან ხშირად ხაზს უსვამს მათ ლოთობას, ნაბახუსეობას, ორჭოფობას...***

– კაცებს? პირველად ვსაუბრობ მამაკაც ჟურნალისტთან, აქამდე სულ ქალებს ვაძლევდი ხოლმე ინტერვიუს და ისინი თავიანთ სქესს იცავენ, სულ იმას მეჩხუბებიან, რას გვერჩი, ქალებს ასე აგდებულად რატომ გვიყურებო. ეტყობა, არც ქალებს ვუყურებ კარგი თვალით და არც მამაკაცებს. უფრო სერიოზულად კი, მე იმას ვწერ, რაც ვიცი, იმ ხასიათებს ვხატავ, რომელთაც ვიცნობ.

***– ირაკლი დოჩანაშვილთან მეგობრობდი? მართლაც დიდი მსგავსებაა შენს გმირსა და ირაკლის შორის. რამეს ხომ არ გაიხსენებდი თქვენი ურთიერთობიდან?***

– ძალიან მიჭირს კონკრეტული ამბის მოგონება, და იმიტომ კი არა, რომ ჩემი მეგობარი იყო, 20 წლისა რომ გარდაიცვალა. გულწრფელად ვამბობ, ირაკლი განსაკუთრებულად სუფთა ადამიანი იყო. ასეთი წესიერი კაცის მნახველი არა ვარ. ქეიფიც უყვარდა, გოგოებიც, მაგრამ ერთხელაც არაფერი შეშლია. ერთდროულად რამდენიმე შეყვარებული ჰყავდა და დარწმუნებული ვარ, ყველა გულწრფელად უყვარდა, არაჩვეულებრივი ბუნების ბიჭი იყო.

**– იმ ჩანგლის ამბავი მართალია? ვიდრე მიპასუხებდე, უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, როგორ ადამიანთან გვაქვს საქმე, შენი ნებართვით, კიდეც ერთ ციტატას მოვიტან შენი წიგნიდან:**



**„ერთხელ კი, ძალიან რომ დათვრა ეს ჩვენი გურამი, დიდხანს ჩუმად იყო და მერე თქვა:**

**– ერთი რაიმე ცუდი მეც ხომ უნდა ჩავიდინო?!**

**– მიდი მერე, გურამ-ჯან, – შეაგულიანეს ძმაკაცებმა.**

**– და რა ვქნა ისეთი, ცუდი? – სუფრასთან ისხდნენ.**

**– მოდი, შეგვაგინე, ვინც შენ ხელი დაგარტყას...**

**– არა, კაცო, ცოტა ცუდი მინდა ჩავიდინო, ეგ რა ამბავია!**

**– მაშინ, აგერ გივის თავში წაუთაქე, ან ოფიციანტს უთხარი, შენ ნაბიჭვარო-თქო, – ხელი მოჰხვია ერთერთმა ძმაკაცმა, – თუ გინდა, მე წამითაქე, თუ გინდა, ვიტრინის შუშა ჩავამტვრიოთ და თუ გინდა, რაც გინდა, ის გააკეთე...**

**– არა, არა. ეგენიც რა ამბავია!**

**– აბა, მაშინ რას იზამ?**

**და გურამმა ჩანგალი აიღო სუფრიდან, ორივე ხელი მაგრად მოუჭირა აქეთ-იქიდან და ოდნავ, სულ ოდნავ გაღუნა. მერე, ჩანგალი რომ დადო, მიმოიხედა და შვებით ამოისუნთქა.**

**– ჰა, ჰა, ჰა, – ახარხარდნენ ძმაკაცები, – ბიჭო, ეს რა ქნა, ეს რა ჩაიდინა. არ მოგვჭრა თავი?! ჰა-ჰა-ჰა....**

**და სად იყო გურამის კეთილი ღიმილი?! თავჩახრილი იჯდა და თავისი დანაშაულის ნაყოფს, სულ ოდნავ გაღუნულ ჩანგალს დასცქეროდა...“**

– არა, ეს ამბავი მე მოვიგონე, მაგრამ, პრინციპში, ასეთი იყო, ასეთი საქციელი მართლა დიდ დანაშაულად მიაჩნდა.

**– გეთანხმები, მე ირაკლი ბავშვი მახსოვს, ბუზს არ ააფრენდა, მართლაც საოცრად დახვეწილი ინტელიგენტი იყო ეს პატარა ბიჭი...**

**მოთხრობის – “ALEA JASTA EST” – სიუჟეტმა, უფრო სწორად, იმ ბებრუხანა მწერალმა ბალეარის კუნძულები და ძველი ბელგრადი მომაგონა. იქ მინახავს ზუსტად ასეთი მოხუცი, ბალეარზე – მეთევზე, იუგოსლაველის პროფესია კი არ ვიცი. ორივე ის ტიპაჟი ძალიან ჰგავს შენს უცხოელ გმირს. შენ სადღა მიაგენი?**

– თავიდან ბოლომდე მოგონილი სიუჟეტია. დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ჩეხეთში ვყოფილვარ, შეიძლება როდესღაც გამიგონია და ჩამრჩა მეხსიერებაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არსად მინახავს. ეტყობა, მოხუცები გვანან ერთმანეთს, ეროვნებისა და წეს-ჩვეულების მიუხედავად ერთნაირი მისწრაფება, ერთი დარდ-საფიქრალი და ერთნაირი გასახარი აქვთ.

***– „ნოკდაუნში“ მთავარი გმირი, ცოტა არ იყოს, გაუწონასწორებელი, შეუმდგარი კაცის, ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებს. მეთანხმები?***

– არა, რატომ არის გაუწონასწორებელი? თუმცა, მე ხომ კრიტიკოსი არა ვარ, რაც ვიცოდი, ის დავწერე. შენ ასე მიიღე? კი ბატონო, შენი ნებაა. წერისას იმას კი არ ვფიქრობ, გმირი როგორი იქნება. მე ამბავს ვყვები. ისე კი, ადამიანებს კარგ თვისებებთან ერთად, უარყოფითიც ბევრი აქვთ. მაგრამ გარედან რომ შევხედო, არა მგონია, გაუწონასწორებელი ტიპი იყოს, უბრალოდ, არ უნდოდა იმ ქალის ცოლად მოყვანა, მის „სასიმამროს“ კი ამის დიდი სურვილი ჰქონდა.

***– „ალაბამა“ ავტობიოგრაფიული მოთხრობაა?***

– მხოლოდ ერთი-ორი ამბავია ავტობიოგრაფიული.

***– მთლიანად ეს წიგნი?***

– ორმოცდაათი ორმოცდაათზე. რამდენიმე ამბავი მართლაც მომიხდა, დანარჩენი ფანტაზიის ნაყოფია.

***– შენ თავად როგორ გრძნობ თავს ნაბახუსევზე?***

– მე დიაბეტი მაქვს და ძალიან იშვიათად, რომ დავლიო. მაგრამ ნაბახუსევი ხალხი და მათი გასაჭირი ხომ ხშირად მინახავს.

***– ერთ მოთხრობაში რამდენჯერმე გაქვს გამეორებული ეს ფრაზა – „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“. მართლაც ასეა?***

– ესეც ერთგვარი ხერხია. თუმცა, რამდენად რეალურია ეს სამყარო, კაცმა არ იცის, ისეთი რაღაცეები ხდება ცხოვრებაში, მართლაც სიზმარი გგონია.

***– მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მართლა მიგიწვიეს?***

– დიახ. ბევრი მიწვევა მქონია, მაგრამ ნურავის ეწყინება, – ასეთი თბილი შეხვედრა არავის მოუწყია. ასეთი განათლებული ბავშვებიც არსად მინახავს, მშვენივრად ერკვეოდნენ ლიტერატურაში. ახლა ის გოგო-ბიჭები 20-22 წლისანები არიან და ძირითადად, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობენ.

მზემ მაინც არ მოგვასვენა და ადგილის შეცვლა მოგვთხოვა. საცოდაობაა, ფაქტობრივად, ამ მშვენიერ პარკში შემოიჭრნენ მაღალსართულიანი შენობები, ერთმანეთის მიჯრით რომ წამომართულან. ისე გადმოჰყურებენ წიწვოვან ბორცვს, თითქოს მის შთანთქმას ლამობენო, პარკის ინტიმი ცოტა ხანში ალბათ სულ გაქრება.

ჩვენც შევცვალეთ საუბრის თემა და ირაკლი ჯავახაძის შემოქმედებიდან ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაზე გადავედით.

***– ჩვენ ერთი, თუმცა მრავალწახნაგა გალაკტიონი ვიცოდით – პოეზიის ღმერთი. გალაკტიონი გვწამდა ისეთი, როგორსაც ვკითხულობდით და როგორსაც ყოველდღიურად ვხედავდით. იშვიათია, მაგრამ პოეტის გენიალობაში არც მის სიცოცხლეში ეპარებოდა ვინმეს ეჭვი. ბატონმა ვახტანგმა თავის „უცნობში“ მთლად „გააშიშვლა“ მეფე-პოეტი და უფრო ახლობელი და შინაური გახადა საზოგადოებისთვის.***

***ეს წიგნი პირველად 1988 წელს გამოიცა, როცა შენ 20 წლისა იყავი. იცოდი, როგორ იქმნებოდა ეს წიგნი? თუ იცოდი, რა გრძნობა გეუფლებოდა? მერე, სრულყოფილი სახით რომ წაიკითხე, როგორ შეაფასე შენთვის? მამას რა უთხარი? მანამდელი და წიგნში დახატული გალაკტიონი თუ შეადარე ერთმანეთს, თუ მიამსგავსე?***

– მთელი იმედები უნდა გაგიცრუოთ, არც ამ წიგნის შექმნის ისტორია ვიცოდი და მაშინ, საერთოდ, ნაკლებად მაინტერესებდა ლიტერატურა, არც კი ვფიქრობდი, როდესმე რამეს თუ დავწერდი.

მამა ჩუმად მუშაობდა, თავისთვის. გალაკტიონის ლექსები როგორ არ მქონდა წაკითხული, მაგრამ მამაჩემის ის წიგნი არ წამიკითხავს, მხოლოდ 1993 წლის მეორე გამოცემა წავიკითხე.

ჩემს აზრს მამა მხოლოდ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გაიგებს, რადგან ოჯახში წესად არ გვაქვს ლიტერატურაზე საუბარი. შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ძალიან სერიოზული გამოკვლევა. მე მგონი, მსგავსი წიგნი გალაკტიონზე არ შექმნილა.

რაც შეეხება ჩემთვის ადრინდელი და მერმინდელი გალაკტიონის შედარებას, ამასაც ვერ მოვახერხებ, ვინაიდან, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, გალაკტიონი ამ წიგნის მიხედვით ვიცი. ეს ბუმბერაზი პოეტი ხომ ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. ამიტომ იგი მხოლოდ თავისი ლექსებით და ამ წიგნის მიხედვით ვიცი.

***– ბატონი ვახტანგი გალაკტიონის სიცოცხლეში მომზადებული უკანასკნელი რჩეულის შემდგენელ-რედაქტორი იყო. და წიგნის პირველსავე აბზაცებში, თითქოს თავს იძლევსო, შენს თაობას მიმართავს:***

***„დიახ, მე ვიცნობდი (გალაკტიონს, – რედ.).***

***მაგრამ ფრთხილად, მკითხველო!***

***ნუ აჩქარდები, ნუ შეგშურდება ჩემი, განსაკუთრებით – ჩემზე ახალგაზრდა მკითხველო!***

***გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, – მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო“.***

***ეთანხმები მამას, რომელმაც ლამის ფოტოგრაფიული სიზუსტით გაშიფრა გალაკტიონი? ეგებ თავადაც არ სჯეროდა, რომ მის სულს ჩაწვდა, მიუახლოვდა მაინც.***

– ბატონ ნოდარ ტაბიძისა და ბა-

ტონ რეზო თვარაძის წიგნებიც წამიკითხავს გალაკტიონზე და ვეთანხმები მამას, გალაკტიონის შეცნობა წარმოუდგენელია.

აი, წიგნის ფინალური აბზაცი კი ცოტა საკამათოა: „მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!“ თუ მკითხველი ჯერ არ დაბადებულა, შენ როგორღა დაწერე ამხელა გამოკვლევა.

***— გასაგებია, რომ მწერლებს ოჯახში ლიტერატურაზე საუბარი მაინცდამაინც არ უყვართ, მაგრამ ნუთუ ბატონ ვახტანგს გალაკტიონზე არაფერი უთქვამს, ან მეგობრებთან მაინც?***

— ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ ჩემი დის ნათლია და მამას უახლოესი მეგობარი მურმან ლებანიძე, ტარიელ ჭანტურია, ბესიკ ხარანაული. ახლა რომ ვიგონებ, ამ სამ-ოთხკაციანი სუფრებიდან მსგავსი არაფერი მახსენდება, არც გალაკტიონზე, არც თავიანთ საქმიანობაზე. უფრო რაღაც ყოფით თემებზე საუბრობდნენ და მე მგონი, ეს ბუნებრივიც არის.

***— და ყველაფრის მიუხედავად, შენ და გალაკტიონი...***

— მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ — შოთა რუსთაველი ხომ ძალიან დიდია, ძალიან ღრმაა, მაგრამ ყოველდღიურ საკითხავად, რა თქმა უნდა, ძნელია. „ვეფხისტყაოსანს“ შეიძლება ორ-სამ წელიწადში ერთხელ ჩაუჯდე და უკვე მერამდენედ აღფრთოვანდე მისი ავტორის გენიალობით. გალაკტიონის კითხვა კი არასოდეს მოგწყინდება, ხან ძალიან მსუბუქია, უცებ ძალიან ღრმა არის, თითქოს ეთამაშება მკითხველს. და ეს არის გენიალობა. ისევ მკრეხელობას თუ არ ვამბობ, რუსთაველის შემდეგ ჩემი უსაყვარლესი და უძვირფასესი პოეტი გალაკტიონია.

***— ძალიან სასიამოვნო თემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ცოტა შევამსუბუქოთ სათქმელი. ქალაქგარეთ თუ გსიამოვნებს ხოლმე გასვლა და საით უფრო მიგიწევს გული?***

— ქვიშხეთში! საკუთარი სოფელი არა მქონია და ქვიშხეთის მწერალთა სახლი ისე მიყვარს, როგორც საკუთარი სოფელი. სამწუხაროდ, სამი წელიწადი აღარ ვყოფილვარ იქ. რაც შეეხება ახლო-მახლო „გასვლებს“, თუ ვინმეს აქვს აგარაკი, იმას ვესტუმრებით ხოლმე;

***— ნადირობა ან თევზაობა თუ გიყვარს?***

— არა, ერთხელ წავყევი ბიჭებს სანადიროდ და მომბეზრდა. საერთოდ, ცხოველის მოკვლაში არაფერ რომანტიკულს არ ვხედავ. იგივე ასოციაციას იწვევს, როგორც კაცის მოკვლა.

***— კომფორტს ხარ მიჩვეული თუ მწვადის შეწვა მდელოზე გირჩევნია?***

— ხანდახან მწვანეში ქეიფსაც აქვს თავისი ხიბლი, მაგრამ მე რესტორანში მირჩევნია. ეტყობა, უფრო ქალაქის ტიპაჟი ვარ. ისე, სხვათა შორის, გუშინ მე თვითონ ავიტეხე, ვაკის პარკში შევიდეთ-მეთქი. ახალ ნაწვიმარზე სასიამოვნოა ბალახის სუნი.

***— მწერლობას დავუბრუნდეთ. თუ ახერხებ შენი თაობის მწერლების წიგნების ყიდვას და წაკითხვას?***

— რა თქმა უნდა, ვერ ვახერხებ. ძალიან რაც მაინტერესებს, რაღაცას მოვიკლებ და ვიყიდი, მაგრამ წიგნი ისე გაძვირდა, ვერ მიეკარები. ავტორებსაც ვერ დაემდურები, თვითონ გამომცემელს უჯდება ძალიან ძვირი ქაღალდი, საღებავი, წებო...

***— ესე იგი, შეგიძლია თუ არა თქვა, რომ შენს თაობას იცნობ?***

— ინტერნეტი არსებობს და შეგიძლია იქიდან ამობეჭდო, მაგრამ მე ამ საქმისგან შორს ვარ. სამწუხაროდ, წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. ისე კი, რაღაც არხებით, ვცდილობ, თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს გავეცნო.

***— და შენი აზრით, რა დონეზეა დღევანდელი ჩვენი მწერლობა. 60-იანელებს, 80-იანელებს რომ შევადაროთ, რას მივიღებთ?***

— მე მგონი, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ძალიან სერიოზული თაობა გამოჩნდა, თუმცა 60-იანელებს ვინ შეედრება. ხომ ძალიან მაგრები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, მაგრამ გავიხსენოთ, ვინ გამოჩნდა 60-იანი წლებიდან: გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, რეზო ინანიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჭეიშვილი... XX საუკუნეში ამ თაობის მოსვლამდე ხომ მხოლოდ ჯავახიშვილის, ბარნოვისა და გამსახურდიას რომანებს ვიცნობდით. და მერე თითქოს უცებ მოაწყდა ერთმანეთზე უკეთესი რომანები.

80-იან წლებშიც ძალიან საინტერესო თაობა მოვიდა: ზალიკო სამადაშვილი, ქეთი ნიჟარაძე, ზურაბ სამადაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე...

90-იანელებიდან მშვენიერი მწერალი იყო გიგა თუთბერიძე, სამწუხაროდ, დაიღუპა. გიო ახვლედიანი, ლაშა ბუღაძე... ამ თაობის მწერლები ახლა 32-33 წლისანი არიან და ყველაფერი წინა აქვთ.

***— როგორ გგონია, შეძლებენ დღევანდელი თაობის პოლიტიკური ლიდერები, რომ მწერალი, პოეტი, საერთოდ, შემოქმედი დაიცვან?***

— მე მგონი, მთავრობამ შეღავათი უნდა გაუწიოს გამომცემელს და ამით ჩვენც მოგვეცემა შეღავათი.

ბიზნესმენების ხელშეწყობამ ბევრი სფერო უნდა ამოასუნთქოს, შემოქმედი ხალხი ხომ მათზე ბევრად ვართ დამოკიდებული. ჩვენს შემთხვევაში, გამომცემელი ხომ იგივე ბიზნესმენია.

***— გაზეთ „ახალ ეპოქაში“ მუშაობდი. რამდენად შეძელი საკუთარ თავის რეალიზება, რამდენად სასარგებლო და საინტერესო იყო შენთვის ჟურნალისტად მუშაობა?***

— რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, სულ გაზეთების რედაქციებში ვმუშაობდი, მაგრამ ეტყობა, გამიმართლა, რომ ჟურნალისტად არ მიმუშავია, თუმცა საგაზეთო საქმეს ვაკეთებდი. „ახალ ეპოქაში“ ინტერნეტიდან ვიღებდი მასალებს და დაიჯესტის გვერდს ვამზადებდი. პირდაპირ გეტყვი, და ეს არავისთვის არ უნდა იყოს საწყენი, ეს ჩემი პურის ფული იყო. თუმცა, საქმეს გულით ვეკიდებოდი. გაზეთის რედაქციაში იმიტომ არის სასარგებლო მუშაობა, რომ ურთიერთობა გაქვს თანამშრომლებთან, ავტორებთან, გაზეთში მუშაობამ მე გამართული წერა მასწავლა. მაგრამ მწერალს ნამდვილად ხელს უშლის საგაზეთო საქმიანობა.

***— ახლა რას აპირებ, სად ფიქრობ მუშაობის დაწყებას?***

— სამწუხაროდ, ისეთი დრო დადგა, კალთებს არავინ გახევს, სამსახურის შოვნა ძალიან გართულდა.

***— სხვათა შორის, მე კარგად მახსოვს, შენი თაობის უნივერსიტეტდამთავრებულები ერთად შეესიეთ ქართულ პრესას.***

— ჰო, მაგრამ ახლა იმდენი სამსახური დაიხურა, რომ ძალიან ბევრი ჩემი ნაცნობი უმუშევარი დარჩა.

***— სამწუხაროდ, ფაქტობრივად, გამომცემლობა „საქართველოც“ თითქმის გაჩერებულია, სადაც ბატონი ვახტანგი მუშაობს.***

— შენც ხომ კარგად იცი, ეს გამომცემლობა წელიწადში, სულ ცოტა 2000 წიგნს ბეჭდავდა. ახლა წელიწადში ხუთი-ექვსი წიგნი თუ გამოსცეს, ესეც დიდი საქმეა. მაგრამ რად გინდა — წიგნი არ იყიდება. ზუსტად ვიცი, მამაჩემს რამდენიმე თვეა ხელფასი არ აუღია, მაგრამ საქმე რომ უყვარს, შინ რა გააჩერებს. და დადიან სამსახურში, გულს აყოლებენ. ახლა, მაგალითად, „შედევრების“ მეორე ტომი მოამზადეს გამოსაცემად. ამ ტომში ხალხური პოეზიაა შესული. წიგნის თვითღირებულება 8 ლარი გამოდის, ესე იგი, 15 ლარი მაინც ეღირება, მაღაზიასაც ხომ უნდა თავისი პროცენტი. შემთხვევით თუ ჩაგივარდა ხელთ 15 ლარი, თორემ ისე რას იყიდი...

აი, ასეთ ნაღვლიან და მძიმე ნოტაზე დავამთავრეთ ჩვენი იმდღევანდელი საუბარი. ამინდმა კიდევ კარგი, გვაცალა, ღამით ისეთი წარღვნა მოვიდა, თავს ვერ გამოყოფდი გარეთ. მაინც იმედიანი მომავალი ვუსურვეთ ერთმანეთს და დავიშალეთ...

**დავით ჭელიძე.**

**პოეზია უპირველეს ყოვლისა**

# ციკლიდან „ჩემი მისამართი“



## ზაალ ებანოიძე

### ორმაგი სცენა

ცეცხლის ხორშაკით და ალის ქარით
დაყენებული ჭალები წუხან;
თანდათანობით დაწყლულდა თვალი
და საწიერზე აბოლდა მუხა.
და ბოლოს სვეტზე დანდობილ ციდან
ხორშაკი თოვლის იწყება ცვენა;
სხვა რა ჩარაა, შეეწყო გინდა
ზამთარ-ზაფხულის ამ ორმაგ სცენას.
სვენებ-სვენებით ატარო უნდა
ამ ორთა შორის დამღლელი ტვირთი:
„იქიდან" „აქეთ" — ყინულის გუნდა,
„აქედან" „იქით" — სიცხე და ხვითქი...

* * *

ერთად მონატრება ყველაფრის,
ერთად მოყირჭების ტოლია,
რა ვქნა, სახელი ვერ შევარქვი
ქვეყნად მიზეზ-მიზეზ ბორიალს.
მაინც რას დავეძებთ, ვიკითხე
ჩვენდა გასაგონად ისევე;
აქეთ შენ იმშრალებ, იქით მე
თვალზე მოჭარბებულ სისველეს.
წასვლის წამოდუღდა შიშები,
დღემდე ფარულად რო მღეროდა;
ადრე ცაში ხელებს იშვერდი,
შველას ვითხოვდი და მჯეროდა.
სახეს ირონია გიმოსავს,
უფრო დამთბობი და კეთილი,
და ჩემს სიზმარ-სიზმარ მიმოსვლას
მაინც ზამთრის ქარი შეტირის.
სხვა ვინ ამომხტარა თავიდან,
ჩვენ რომ ამოვხტეთ და ვიხაროთ,
მზერას ეფარება ნავი და
თვალში ბოლო შუქი ღიმღამობს.

### სიზმრის ნეგატივი

ზოგჯერ ცხადს ისე წააგავს
როგორც ასლი ჰგავს დედანს:
ხელს გაიშვერ და აღარ დგას,
ან დგას — და ვეღარ ხედავ.
ხანდახან კაი ჭირია,
კაი შიშების წყარო;
გულს რო ხრავს მახრის პირია,
მტერი ისმენს და ხარობს.
წუთისოფელო მტრიანო,
ეგ ორმაგობაც მესმის,
წუხს ქარი — ფორტეპიანო
და ქართან ერთად — ლექსი.
ამ წუხილს ეხმაურება
და სადაცაა მოვა,
აღზევანიდან ურმებად
ჩარიგებული გლოვა.
ცხადმაც რო მოსვლა ინება
და თითქმის უკვე სხვა ხარ, —
ხელახლა ჩაგეძინება
და ცხადს სიზმარში ვნახავ.
არც ბაღი სემირამიდას,
არც რო მაღალი მთები, —
იმ „ჯამე-სემინარიდან"
რაც მახსოვს იმას ვყვები:
„რა" და, „რატო" და „როგორ" და
ამ სამი კითხვის ირგვლივ,
შუქი თვალდათვალ მოგროვდა —
თუ სიბრძნე იდგამს გვირგვინს.
„რატო" რო მიზეზს დაეძებს,
და „რა" ამოხსნას ცდილობს,
რჩება „როგორ"-ის მხარეზე
მთავარი ტვირთი, — „შვილო".
მხოლოდ ხმა! — კაცი არ ჩანდა
ამ შეგონების მთქმელი.
და სწორედ ამ დროს აჩქამდა
ყურთან ჩალა და ლელი.
და სწორედ ამ დროს დაეშვა
ციდან უეცრად თქეში
და შევრჩი ჩვეულ კაეშანს,
როგორც აქამდე — ხელში.
და სოფელ-სოფელ მის მერე
დავალ და სიზმარს ვკერავ;
ზოგჯერ რო ეჭვით ისმენენ,
ზოგჯერ მგონია — ჯერათ.

### მარტის პირბადე

ვაი თუ მართლაც პირბადეა მარტის ატმობა
და უძლურების გვინდა შენიღბვა;
დაბადებიდან გაგვიმეტა ალბათ პატრონმა
და სამუდამოდ მიაჯაჭვა მიწას ჩვენი ხმა.
იქნება დღემდე სიზმრის კოშკის იყო სტუმარი
რასაც ჩვენ-ჩვენი ერქვა ცხოვრება;
აჰა, სიცხადე: ეკლის ჯირკი — თავსასთუმალი
და გამოგონილ სამოთხესთან გამოთხოვება.
ჩამოძაბული ღრუბელია მხრებს რომ ამძიმებს
თუ ჩვენი დარდი აზიდულა ცამდე აფრებად;
ფრთები რომ მოგვცა, კიდევ ერთხელ
გავიმანძილებთ
და უფლისმიერ სამყაროსკენ ვსინჯავთ აფრენას.
მაგრამ სად არის?! გზა რომ გაიხსნას
ბედი სჭირდება უვიცობით კარჩაკეტილებს,
ეს მაშინ, როცა წყვდიადიდან დედის ზარის ხმას
თავზესაყრელი იმედებით გამოვეტირეთ.
ერთადერთია საკუთარი ფესვის ფერება, —
მარადიულთან წილნაყარი შუქის ნათება,
მოდი, ვიკმაროთ, ამდაგვარი ბედნიერება
და უხილავთან უნებლიე შეკამათება.

### არაჩვეულებრივი ამბავი № 2

**რომელიც შეემთხვა ზაალ ებანოიძეს ზაფხულის ერთ დღეს სარკიათის ფერდობზე (ფერსათის მთიანეთი)**

**„შენ მეძახოდი?! — ჩაი დამისხი,**
**ჩემო პოეტო, მურაბა ჩქარა!“**
**ვლ. მაიაკოვსკი.**

სალბუნი სულთა
და მალამო იარათა, —
ხავსიან ტყეთა მდუმარება
წარსულს რო მიანათე,
შედედდა წამი
შეიძლება შეეხოს ხელიც
და ამ დროს ჩქამი
სადღაც ფიჩხი თუ გატყდა ხმელი.
ჩქამს ჩქამი რო მიემატა
დღისა და ღამის ტიხართან,
იგრძენი, რაც რო გემართა,
რაც რო გსურდა და გიყვარდა.
იყო თიბათვის პირველი,
სიცხეს დილიდან იჭერდა,
და ბოყირობდა ფრინველი
და ზეცას აგოჯიჯებდა.
არწივიც გამოერია,
ყელზე რო გველი შვენოდა
და დაყურებდი ლელიანს
მითების სამფლობელოდან.
გაგონილს ჯვარი ეწეროს, —
რაც ნახე იმას აჯამებ:
„ძირს შენ იწექი ეწერო,
გამოქცეული აჯამეთს".
თვლემდნენ აქა-იქ ბორცვები,
დაშენებული ჭალებზე;
სხივი გააბი ოცნებით
და ხათრად გაიარე ზედ.
ნახე ახლოდან „ფერსათი" —
კავკასიონი სამხრეთის;
მზესთან, ღრუბლებში შესვლამდის,
ცოტას ხო წაისამხრებდი.
მან მხოლოდ ჩაი ინება
დიდი პოეტის სუფრაზე,
დღეს წამღერ-წაღიღინებას
და წაღვინებას უფასებ.
ის რო თავისას იხსენებს,
შენ შენსას მიემორცხვები, —
სულგანაბული ისმენენ
მუხლზე დაყრილი ბორცვები.

**ქ. ქუთაისი.**

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აღიარება

**„ალ-ყაიდას“ საერთაშორისო ტერორისტული ქსელის მოთარეშეებს შორის არიან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, მაგრამ ამ ორგანიზაციის ლიდერის უსამა ბენ-ლადენის უახლოეს გარემომცველ პირებს შორის მას ინფორმატორები არ ჰყავს, წერდა გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.**



გაზეთისთვის ინფორმაციის მიმწოდებელი წყარო გახდა ამერიკის სადაზვერვო სამმართველოს მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები არიან არა მარტო „ალ-ყაიდას“ რიგით მოთარეშეებს შორის, არამედ იმ ტერორისტთა რიგებშიც, რომლებიც ამ ქსელის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული გახლავან. თუმცა, უსამა ბენ-ლადენის უახლოეს თანამებრძოლებს შორის ამერიკის დაზვერვას, ჯერჯერობით, არ ჰყავს ინფორმატორები. როგორც წყარომ აღნიშნა, „ალ-ყაიდას“ რიგებში მოქმედი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, უწინარეს ყოვლისა, არიან ავღანელები, პაკისტანელები და უზბეკები.

ამ აგენტების მიერ გადაცემული ინფორმაციისა და რადიო-ელექტრონული გადატაცების მონაცემების წყალობით, ამერიკელებმა გასული ორი წლის განმავლობაში შეძლეს მოეკლათ ან დაეკავებინათ უსამა ბენ-ლადენის უახლოეს თანამებრძოლთა თითქმის ორი მესამედი, აგრეთვე, აღეკვეთათ დასავლეთის ქვეყნების საელჩოებზე, ავიალაინერებსა და სამგზავრო გემებზე დაგეგმილი მთელი რიგი თავდასხმები, აღნიშნა გაზეთის წყარომ.

იმის მიუხედავად, რომ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, „ალ-ყაიდას“ სადღეისოდ არა აქვს 2001 წლის 11 სექტემბრის მსგავსი თავდასხმების განხორციელების შესაძლებლობა, საერთაშორისო ტერორისტები კვლავ აპირებენ მოაწყონ ანალოგიური ტერორისტული აქტები, განუცხადა „ვაშინგტონ პოსტს“ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კიდევ ერთმა წყარომ.

# უშიშროების ახალი ზომები ამერიკის ენერგეტიკაში

**ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ ეიბრაჰამმა გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ, ორშაბათიდან დაწყებული, მის უწყებაში შემავალმა ყველა დაწესებულებამ დროებით უნდა შეწყვიტოს ოპერაციები „ZIP“ ტიპის დისკისწამკითხველებთან.**




მინისტრის განკარგულება უკავშირდება საიდუმლო ინფორმაციის შემცველი ორი დისკის გაუჩინარებას ლოს-ალამოსის ეროვნული ლაბორატორიიდან, რომელშიც შეიქმნა პირველი ატომური ბომბი.

დისკების დაკარგვის ფაქტს, რომელიც 7 ივლისს გახდა ცნობილი, ხელისუფლება ძალზე სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს. ლაბორატორიის დირექტორმა ჯორჯ ნანიოსმა ხუთშაბათს სამუშაოს ჩამოაშორა (ხელფასის შენარჩუნებით) 19 კაცი, მათ შორის, მთელი რიგი უფროსი მეცნიერი-თანამშრომლებიც. მათ ჩამოართვეს საშვები და ამ ადამიანებს ახლა ლაბორატორიის ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ დაცვის მუშაკების თანხლებით შეუძლიათ.

ამ 19 პირთაგან 15 დასაჯეს საიდუმლოობის წესების დარღვევისათვის, ოთხი კი – უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა უგულებელყოფის გამო: ლაბორატორიაში მომუშავე პრაქტიკანტმა-სტუდენტმა თვალი დაიზიანა ლაზერის სხივით.

დროებით დათხოვნილ პირთაგან თერთმეტს მიუწვდებოდა ხელი სეიფზე, რომელშიც ინახებოდა დისკები. ისინი აცხადებენ, რომ არ იციან, თუ სად დაიკარგა საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დისკები. ნანიოსმა დაიმუქრა, რომ მათ საერთოდ გაათავისუფლებს სამუშაოდან, თუ ვერ მოხერხდება დისკების პოვნა.

ლოს-ალამოსის ლაბორატორიის თანამშრომლები დისკებს ეძებენ ლაბორატორიაში არსებულ ორი ათას სეიფში. უკვე ერთი კვირაა, რაც ლაბორატორიაში მუშაობა პრაქტიკულად გაჩერებულია, რის გამოც მან დაკარგა ერთი შემკვეთი, რადგან ვერ შეძლო დროულად შეესრულებინა დავალება. ახლა გაუქმების საფრთხე სხვა კონტრაქტებსაც ემუქრება.

# მოკლედ

**არაფატის** საკადრო პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, „ალ-აქსის მოწამეებმა“ დაიკავეს ქალაქ ჰან-იუნისის მერიის შენობა. „ბრიგადების“ ზემოქმედების გამო, პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, იძულებული გახდა მთელი ავტონომიის ეროვნული უშიშროების სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გადაეყენებინა თავისი ბიძაშვილი და მისთვის შეეთავაზებინა უფრო დაბალი თანამდებობა ეროვნული სპეცსამსახურების რიგებში. თუმცა, როგორც ჩანს, იასირ არაფატის მიერ გადადგმულმა ასეთმა ნაბიჯმა ვერ დააკმაყოფილა „ფათჰის“ მოძრაობის რადიკალები.

* * *

**ავღანეთის** უზბეკური თემის ლიდერმა, გენერალმა აბდულ რაშიდ დუსტუმმა განაცხადა, რომ აპირებს, იყაროს კენჭი ავღანეთის პრეზიდენტის პოსტზე. თავისი ასეთი გადაწყვეტილების შესახებ გე-



ნერალმა გამოაცხადა ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ მაზარი-შარიფში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე.

* * *

**ნიღბიანი** მოთარეშეები თავს დაესხნენ პოლიციის უბნის შენობას ღაზიდან შვიდ კილომეტრზე მდებარე ქალაქ ზვაიდაში. ისინი შეიჭრნენ პოლიციის უბანში, დალეწეს ავეჯი და ცეცხლი მოუკიდეს შენობას. ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ნაგებობა, აგრეთვე, დააზიანა პოლიციის უბნის მახლობლად მდებარე საქალაქო საბჭოს შენობა.

* * *

**ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მოსკოვს ემუქრება სანქციებით სუდანში „მიგ“-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების მიწოდების გამო. „ამ საქმეში, ჯერჯერობით, ბევრი რამ გასარკვევია“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია აპირებს ახსნა-განმარტება მოსთხოვოს რუსეთს.

* * *

**პაკისტანში** სემინარიის სტუდენტები აფეთქდნენ ბომბზე, ერთი მათგანი დაიღუპა. პოლიციას, ჯერჯერობით, ვერ დაუდგენია ტერორისტული აქტის განხორციელების მოტივები, განაცხადა სამართალდამცავი ორგანოების



ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა. დაშავებული სტუდენტები სწავლობდნენ პაკისტანის ერთ-ერთ უდიდეს სემინარიაში – „ჯამაა რაშიდის“ ისლამურ სასწავლებელში.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სტუდენტების დახვრეტა მექსიკაში გენოციდი“ იყო

**მექსიკაში ეგრეთ წოდებული „ბინძური ომის“ საქმის ორწლიანი გამოძიების შემდეგ პროკურორმა გადასცა მასალები მოსამართლეს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს წაუყენოს თუ არა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს ლუის ეჩევერიას და მისი მთავრობის რამდენიმე წევრს სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენის ბრალდებები.**

მექსიკის საგანგებო საქმეთა პროკურორმა იგნასიო კარილიომ გააჩაღა ნადირობა ყოფილ მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებზე, რომლებსაც იგი გენოციდში ადანაშაულებს.

პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ 1971 წელს სტუდენტების დახვრეტა, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, მექსიკის კანონების თანახმად, შეიძლება მიჩნეული იყოს გენოციდად.

კონკრეტული პირები კარილიოს არ დაუსახელებია, მაგრამ, ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, იგი აპირებს მიალწიოს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ლუის ეჩევერიასა და კიდევ სულ ცოტა ათი სხვა მაღალი თანამდებობის პირის დაპატიმრებას.



პროკურორის წინადადებას ახლა განიხილავს მოსამართლე. ეჩევერია შეიძლება გახდეს მექსიკის პირველი პრეზიდენტი, რომელსაც წაუყენებენ ბრალდებას სისხლის სამართლის საქმის გამო. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ექს-პრეზიდენტი უკვე 82 წლის არის, მას ალბათ, მხოლოდ შინაპატიმრობას მიუსჯიან.

„ბინძური ომი“ სამთავრობო ძალებსა და მემარცხენე ყაიდის პარტიზანულ მოძრაობას შორის მექსიკაში 1960-70-იან წლებში იყო გაჩაღებული.

იმ პერიოდში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულობათა შესახებ კარილიოს დასკვნებმა ძალზე აღაშფოთა საინსტიტუციო რევოლუციური პარტიის წარმომადგენლები, რომელიც მაშინ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში იყო.

ამავე დროს, მექსიკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა, როგორც იტყვიან, დააგროვა ქულები, როცა დართო პროკურატურას ამ საქმის გამოძიების ნება.

ადგილობრივი ანალიტიკოსების აზრით, გამოძიება გვიჩვენებს, რომ უმაღლესი თანამდებობის პირების დაუსჯელობას, რაც ტრადიციული მოვლენა იყო მექსიკისათვის, ბოლო მოეღება და კანონი ახლა ყველასთვის ერთნაირი იქნება.

# პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დეზერტირი არ ყოფილა

**პენტაგონმა იპოვა ჩანაწერები ბუშის სამხედრო სამსახურის შესახებ, რომელიც განადგურებულად ითვლებოდა. კერძოდ, ნაპოვნია 1972 წლის საგადასახადო უწყისი. იმ დროს ჯორჯ ბუში მუშაობდა მოხალისედ ალაბამის საარჩევნო შტაბში, სადაც იგი გადაიყვანეს ტეხასის საჰაერო გვარდიიდან.**



ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, თუ სად იმყოფებოდა ბუში ვიეტნამის ომის დროს, წინათ არ არსებობდა. ამიტომ, ზოგიერთი დემოკრატი აცხადებდა, რომ შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი მაშინ უბრალოდ დეზერტირობდა.

ის, რომ საგადასახადო უწყისები განადგურებული იყო, პენტაგონმა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტომ მოსთხოვა სამხედრო უწყებას ამ დოკუმენტების წარმოდგენა. მაშინ პენტაგონში განაცხადეს, რომ ქაღალდები ვერ იპოვეს და, როგორც ჩანს, ველარც იპოვნიდნენ. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ტეხასის არქივის თანამშრომლები სხვა ციფრებით მონიშნულ დოკუმენტებს ეძებდნენ. უახლოეს მომავალში საგადასახადო უწყისებს გამოაქვეყნებენ.

# ეგვიპტე არ გაგზავნის ჯარებს ერაყში

**მას შემდეგ, რაც ბაღდადში გაიტაცეს ეგვიპტელი დიპლომატი, დიპლომატიური მისიის ერთ-ერთი თანამშრომელი მაჰმუდ ქუთბი, კაირომ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ არ გაგზავნის ჯარებს ერაყში. ეს, კერძოდ, განაცხადა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ აბულ გეითმა.**

ასეთი კომენტარი მინისტრმა გააკეთა „ალაჰის ბრიგადის ლომების“ სახელით ცნობილი დაჯგუფების მიერ გავრცელებული განცხადების შემდეგ, რომლის წევრებიც აღნიშნავდნენ, რომ ეგვიპტის მოქალაქის გატაცება უნდა გახდეს გაფრთხილება ამ ქვეყნის ხელისუფლებისათვის, რადგან ეგვიპტე ამ ცოტა ხნის წინათ აცხადებდა, რომ მზად იყო გაეგზავნა ერაყში სპეციალისტები, რომლებიც ქვეყნის ახალ მთავრობას დაეხმარებოდნენ უშიშროების განმტკიცებაში.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ბაღდადში გაიტაცეს საელჩოს თანამშრომელი. არაბულმა ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გამოაქვეყნა გამტაცებლების მიერ გადაღებული ვიდეოფირი, რომელზეც დიპლომატი აღბეჭდილია ექვს ნიღბიან შეიარაღებულ პირთან ერთად.

როგორც „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, მძევალი აცხადებს, რომ მას კარგად ეპყრობიან და გამტაცებლებს, ჯერჯერობით, არანაირი კონკრეტული მოთხოვნები არ წაუყენებიათ.

ქუთბმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ეგვიპტის საელჩო ბაღდადში არ თანამშრომლობს ამერიკელებთან. იგი უბრალოდ ცდილობს შეუწყოს ხელი ერაყის აღდგენას.

GCF

ლაზიერი

6 (74)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

⊙ ფედერაციაში

# დაამტკიცეს გუნდების შემადგენლობა




**გუშინ გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომა, სადაც დამტკიცდა ჩვენი ქვეყნის ქალთა და ვაჟთა ოლიმპიური გუნდების შემადგენლობა, რომლებიც მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქტომბერში ესპანეთში იასპარეზებენ.**

ქალთა გუნდს სათავეში ჩაუდგება **მაია ჩიბურდანიძე,** მასთან ერთად ითამაშებენ **ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი** და **მაია ლომინეიშვილი.** გუნდის მწვრთნელია დიდოსტატი **ლაშა ჯანჯღავა,** გუნდის კაპიტნის ვინაობა სექტემბერში გაირკვევა.

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრებს უთავკაცებს **ზურაბ აზმაიფარაშვილი,** მას გარდა გუნდში არიან: **ბაადურ ჯობავა, გიგა ყაჭეიშვილი, ზვიად იზორია, მერაბ გაგუნაშვილი** და **თამაზ გელაშვილი.** კაპიტანია დიდოსტატი **თამაზ გიორგაძე,** მწვრთნელი – საერთაშორისო ოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი.**

⊙ ევროპის ასაკობრივი

# მრავალრიცხოვანი დელეგაციით

**ხვალ თბილისიდან კაბადოკიაში მიემგზავრება საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაცია. რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში.**

თურქეთში 38 ქართველი მოჭადრაკე მოსინჯავს ძალებს. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **გიორგი მაჭარაშვილმა** ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ დროულად გადაწყდა ყველა ორგანიზაციული საკითხი. მოჭადრაკეები საბრძოლოდ არიან განწყობილნი. შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ანალოგიურ ფორუმში ქართველმა მოჭადრაკეებმა ექვსი მედალი მოიპოვეს. საერთოდ, 1992 წლიდან ევროპის და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში ჩვენმა მოჭადრაკეებმა ასამდე სხვადასხვა სინჯის მედალი მიიღეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი ხალხმრავალი დელეგაცია ჩვენს ქვეყანას ევროპის ჩემპიონატზე არასოდეს გაუგზავნია.

ჩემპიონატი სტარტს 29 ივლისს აიღებს. „საქართველოს რესპუბლიკა“ სისტემატურად მოგაწვდით მასალებს ტურნირის მიმდინარეობის შესახებ. „ლაზიერის“ მომდევნო ნომერში კი ამ ჩემპიონატის შემაჯამებელ სტატიას შემოგთავაზებთ.

**გია დათეშიძე.**

⊙ იმედი

# წარმატება ჯაკარტაში



**ნორჩი თბილისელი მოჭადრაკე, 12-წლიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სოფიკო გურამიშვილი ინდონეზიის ჭადრაკის ფედერაციამ ჯაკარტაში ადგილობრივ მოჭადრაკე ირინე კარიშმა სუკანდართან მატჩში სათამაშოდ მიიწვია.**

სოფიკოს თანატოლი, ინდონეზიის ამომავალი ვარსკვლავი 4 კლასიკურ და 2 სწრაფ პარტიაში შეხვდა ჩვენს თანამემამულეს.

სოფიკომ „ვერ გაუმართლა“ იმედები მასპინძლებს: საკმაოდ იოლად – 4:2 დაამარცხა ინდონეზიელი და სოლიდური ფულადი პრიზიც დაიმსახურა.

ხვალ სოფიკო გურამიშვილი თანატოლებთან ერთად თურქეთში, კაბადოკიაში ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება.

**სურათზე: სოფიკო გურამიშვილი.**

⊙ „ბრძოლა, ტანჯვა... და მოთმინება“




# გზა, რომელიც კასიმჯანოვმა გაიარა

**მსოფლიო ჩემპიონატის 128 მონაწილეს შორის საჭადრაკო ექსპერტები ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე გამოყოფდნენ ორ დიდოსტატს: ვესელინ ტოპალოვსა და მაიკლ ადამსს. მათი აზრით, ტრიპოლში ან ერთი გაიმარჯვებდა, ან მეორე. იყო, ასე ვთქვათ, შორსმიმავალი პროგნოზებიც. რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონობის მოპოვების შემთხვევაში ტოპალოვი არ მოისურვებდა გარი კასპაროვთან შეხვედრას და თავის მეგობარ რუსლან პონომარიოვის გზას გაუყვებოდა.**

ადამსმა, პირიქით, შორიდანვე დაიჭირა თადარიგი: ცნობილი მილიარდერი ნათან როტშილდი, იმის მიუხედავად, რომ, რბილად რომ ვთქვათ, მუამარ კადაფი ებრაელებს მაინცდამაინც არა სწყალობს, ტრიპოლში პირადად ჩავიდა და განაცხადა, რომ სურს მსოფლიო პირველობის მატჩი ლონდონში გამართოს. გამართოს, ცხადია, ამ შემთხვევაში ყველა ხარჯის დაფარვას ნიშნავს.

ახლა კარგად ვიცით, რომ ექსპერტები შეცდნენ, მაგრამ დიდად არა. ყოველ შემთხვევაში ტოპალოვიც და ადამსიც დიდხანს წარმატებით თამაშობდნენ, ბულგარელმა ნახევარფინალამდე მიაღწია (ამ მომენტისათვის მან 10 პარტიაში 9,5 ქულა მოაგროვა), ინგლისელი კი ფინალშიც გავიდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად იყო, სანამ რუსტამ კასიმჯანოვს არ შეხვდნენ.

დიახ, მაგრამ, ცოტა უხერხული ქართული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს კასიმჯანოვი საიდან „გამოტყვრა?“ ამ ტურნირამდე მას მსოფლიოს მოჭადრაკეების პირველ ასეულში მხოლოდ 52-ე ადგილი ეკავა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წინასწარი „გაანგარიშებით“ შეეძლო საწყის ეტაპზე ერთი მეტოქე დაემარცხებინა. შეიძლება მეორეც. მორჩა და გათავდა! როგორ მწარედ მოტყუვდა ყველა, თვით უპირველესი სპეციალისტებიც კი. ანდა, როგორ არ მოტყუვდებოდნენ, როცა კასიმჯანოვს (დაიბადა ტაშკენტში, 1979 წლის 5 დეკემბერს) აქამდე თურმე სულ ერთი, ასე თუ ისე საყურადღებო ტურნირი მოუგია, ესენში 2001 წელს, სუპერტურნირში (ვეიკ-ან-ზეე, 2002) სიცოცხლეში სულ ერთხელ ითამაშა და იქაც ბოლოსწინა ადგილზე გავიდა. არც რეიტინგი ჰქონდა მაღალი – 2651 (მართალია, 2001 წელს უფრო მაღალ მაჩვენებელს – 2704-ს მიაღწია).

ტრიპოლში უზბეკმა მოჭადრაკემ, რომელიც ადგილობრივი გულშემატკივრების საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდა, პირველად ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა ევროპის მოქმედ ჩემპიონ ვასილი ივანჩუკს სძლია. ზოგმა ეს წარმატება უკრაინელის ზედმეტი იმპულსურობით და რისკიანი თამაშით ახსნა. აი, ასეთებზე იტყვიან ხოლმე: შეუძლია ნებისმიერს მოუგოს (კასპაროვი რომ კასპაროვია, ისიც არაერთგზის დაუმარცხებია) და ნებისმიერთან წააგოსო. კასიმჯანოვის მორიგ მიღწევად ჩაითვალა ჯერ ცნობილ უნგრელ დიდოსტატ ზოლტან ალმაშის დამარცხება, შემდეგ კი გათამაშებიდან ერთ-ერთი აღიარებული ფავორიტის ალექსანდრ გრიშჩუკის (რუსეთი) გამოთიშვა. დიახ, რაღაც ძალიან უცნაურ საქმეებს აკეთებდა ეს მოკრძალებული უზბეკი, რომელსაც, როგორც გამოირკვა, თუ ბავშვობის ასაკს არ ჩავთვლით, მწვრთნელიც კი არასოდეს ჰყოლია. არც თუ სხვა რამ უსწავლებიათ. ჭადრაკს რომ დიდ დროს ანდომებდა, ამდგარა და ამასთან ერთად რუსულის და ინგლისურის გარდა, ფრანგული და გერმანულიც შეუსწავლია. ვინ რა იცოდა, თურმე ნუ იტყვით, ჩუმ-ჩუმად დიდი ამბებისათვის ემზადებოდა.

და ამ დიდი ამბების დრო კი ნახევარფინალიდან დადგა, სადაც მეტოქეებს უკვე ორ-ორი კი არა, ოთხ-ოთხი პარტია უნდა ეთამაშათ. კასიმჯანოვი ტურნირის რეიტინგფავორიტ ტოპალოვს ხვდებოდა (და აბსოლუტურ აუტსაიდერად ითვლებოდა), რომელმაც უკვე გააკეთა განცხადება თავისი მომავალი გეგმების შესახებ, რახან გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მეორე ნახევარფინალში ადამსი თეიმურ რაჯაბოვს ეთამაშებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა კიდეც 2,5:1,5. კასიმჯანოვისა და ტოპალოვის მატჩის ანგარიში 4 ძირითადი პარტიის შემდეგ თანაბარი გახლდათ – 2:2. კომენტატორებმა დაწვრილებით გაარჩიეს ეს შეხვედრები და დაასკვნეს, რომ კასიმჯანოვს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მას „ძირითად დროშივე“ უნდა გაემარჯვა! მაგრამ, არა უშავს, რაც მანამდე ვერ გააკეთა, „დამატებით დროში“ მოახერხა – ორივე სწრაფი პარტია მოიგო!

ფინალური მატჩი უკვე 6 პარტიისაგან შედგებოდა. ადამსი თითქმის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ ესოდენ სახიფათო მეტოქეს ასცდა, როგორიც ტოპალოვია. თუმცა ჟურნალისტები, რომლებსაც არაფერი გამოეპარებათ, აღნიშნავდნენ, რომ ინგლისელი აშკარად შეშინდა, რახან კასიმჯანოვს ისე უმართლებდა, როგორც „პირველ პრიზიორს“ (ეს მოჭადრაკეების საყვარელი გამოთქმა გახლავთ).

ფინალური მატჩის 6 პარტიაში თანაბარი ანგარიში აღინიშნა – 3:3. ამასთან, თუკი ვინმეს ჰქონდა უპირატესობა, მხოლოდ კასიმჯანოვს. მეხუთე პარტიაში განთქმული ინგლისელი დიდოსტატი პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა: მის ფიგურებს, რომ იტყვიან, ქანცბადი გამოელიია. მეექვსე პარტია კი ტრაგიკომიკური გამოდგა. ჯერ იყო და რუსტამს დიდი უპირატესობა ჰქონდა, შემდეგ მოდუნდა (დიახ, ეს მოჭადრაკე, რომელსაც თითქოს ნერვებიც არა აქვსო, ათასში ერთხელ მოდუნდება ხოლმე), სრულიად მოულოდნელად ადამსს პარტიის (და მატჩის მოგების) საშუალებაც კი მიეცა, მაგრამ ისე დაითრგუნა თავისი ადრინდელი უიმედო პოზიციით, რომ საუკეთესო გაგრძელებას აუარა გვერდი და პარტიაც მუდმივი ქიშით დასრულდა. დამატებით პარტიებში, როგორც ყოველთვის, უზბეკი უკეთ თამაშობდა, ჯერ მოიგო, მეორე შეხვედრა ყაიმით დაასრულა და მატჩშიც გაიმარჯვა ანგარიშით 4,5:3,5.



ამრიგად, 24 წლის რუსტამ კასიმჯანოვი მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონია (მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატები ნოკაუტ-სისტემით თამაშდება, ანატოლი კარპოვის, ალექსანდრ ხალიფმანის, ვიშვანათან ანანდისა და რუსლან პონომარიოვის შემდეგ. მოულოდნელი, მაგრამ სრულიად დამსახურებული გამარჯვება! როცა ახალ ჩემპიონს შეეკითხნენ, რაში ხედავს იგი ჭადრაკის არსს, მან ასე საინტერესოდ უპასუხა: ჭადრაკი არის „ბრძოლა, გამოცდა, ტკივილი, ტანჯვა და მოთმინება“. ფრიად საგულისხმო სიტყვებია.

ტრიპოლში გამარჯვებისათვის ახალმა ჩემპიონმა მიიღო 100 ათასი დოლარი (არც ისე გულუხვი პრიზი, ვიდრე ადრინდელმა ჩემპიონებმა). უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა კასიმჯანოვი დააჯილდოვა „ამირ თემურის“ (თემურლენგის) ორდენით, ეს კი რესპუბლიკის უმაღლესი ორდენი გახლავთ. ამავე დროს, ტაშკენტი ითვლება კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩის მოწყობის ერთ-ერთ პრეტენდენტად. ეს ორთაბრძოლა, სავარაუდოდ, იანვარში უნდა გაიმართოს. მეტოქეები ერთმანეთს აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ, ოთხივე კასპაროვმა მოიგო. მართალია, მხოლოდ ერთი იყო ე. წ. კლასიკური კონტროლით, დანარჩენი სამი კი – სწრაფი პარტია. თვით კასიმჯანოვი გერმანიისაკენ გაემგზავრა, სადაც იგი უკვე კარგა ხანია ცხოვრობს ცოლთან და ორ შვილთან ერთად და სისტემატურად თამაშობს აქაურ ბუნდესლიგაში.

**გივი გამრეკელი.**

**⊙ კონკურსი**

# ანგელ ზლატონოვის აზრით

**ბულგარულმა საჭადრაკო ჟურნალმა „შახმატნა მისლ" შეაჯამა 2003 წელს გამოქვეყნებული ეტიუდების კონკურსი. ჟიურის ხელმძღვანელის ანგელ ზლატონოვის აზრით, კონკურსში საუკეთესო აღმოჩნდა ცნობილი თბილისელი ეტიუდისტის იური აკობიას ნაწარმოები.**

**გთავაზობთ პირველი პრიზით აღნიშნულ ეტიუდს.**

**ი. აკობია**



**თეთრები იგებენ.**

1.g7 □f7 2.g8□ □xg8 3.♖g6+ □f7 4.♖g7+ □xe8 5.□xe2 □f8 6.♖g4 □a7 7.♘d7+ □f7 8.□d2 □h7 9.♖a4 □g1 10.♖f4+ □e7 11.♘f6 □b1 12.♘g8+ □e8 13.♖f1

საინტერესო შესავალი თამაშის შემდეგ ვღებულობთ ძალთა თანაფარდობას – ეტლი და მხედარი ორი კუს წინააღმდეგ. თეთრები ზუსტი სვლებით ახერხებენ ორივე კუს „მოთვინიერებას".

**⊙ საკლუბო ტურნირი**

# „ნტნ"-ის ორი თასი

**„ნტნ"-ის საჭადრაკო კლუბში მრავალი საინტერესო ექსპონატი ინახება. ამ დღეებში მათი რიცხვი ორი თასით გაიზარდა. ეს თასები კლუბის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში მოიპოვეს. ქალთა გუნდის წევრებმა ნანა ძაგნიძემ, მაია ლომინეიშვილმა, სოფიკო გვეტაძემ და სალომე მელიამ გადამწყვეტ მატჩში ქუთაისის „მაია" დაამარცხეს 2,5:1,5.**

ვაჟთა ტურნირში ფავორიტად ქუთაისის კლუბი ითვლებოდა, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ცნობილი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ირიცხება. მათ პირველ დღეს სენაკის „ეგრისთან" მატჩი ფრედ – 3:3 დაამთავრეს, მეორე დღეს კი „ნტნ"-ის ახალგაზრდულ გუნდთან დამარცხდნენ – 2,5:3,5.

ტურნირის დასკვნით დღეს „ნტნ"-ის და „ეგრისის" მატჩშიც საყაიმო ანგარიში აღინიშნა. თასი „ნტნ"-ის გუნდს გადაეცა, რომლის შემადგენლობაშიც ასპარეზობდნენ გიორგი ბაღათუროვი, ლევან აროშიძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, ბეგლარ ჯობავა, თორნიკე სანიკიძე, გიორგი მარგველაშვილი, სათადარიგო – გიორგი ფარესიშვილი.

მეორე ადგილი სენაკელებმა დაიკავეს, რაც ამ გუნდის უდავო წარმატებაა.

„ნტნ"-ის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა ევროპის ვაჟთა და ქალთა საკლუბო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ასპარეზობა ოქტომბერში თურქეთის ქალაქ იზმირშია დაგეგმილი.

**სურათზე: „ნტნ"-ის ვაჟთა გუნდი.**



**⊙ კომპოზიცია**

# ჩანახატიდან შედევრამდე

**„სიახლეში ყველაზე უკეთესი არის ის, რაც ძველ სურვილს ეპასუხება"**

**პოლ ვალერი.**

**საეტიუდო ხელოვნებაში შამათის იდეის განხორციელება თანამედროვე ეტიუდისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ იდეის სხვადასხვა ტაქტიკური ხერხით გამოსახვა და განსხვავებულ ფიგურათა საშამათო ფინალების მრავალფეროვანი მოტივირება, ამ თემას მეტად მიმზიდველს ხდის.**

დღეს ჩვენ გავეცნობით რამდენიმე საინტერესო ეტიუდს, სადაც საშამათო ფინალში ორი თეთრი მხედარი მონაწილეობს. მხედარი ჭადრაკში ფრიად გამორჩეული ფიგურაა. მისი არსი და დანიშნულება მახვილგონივრულად დაახასიათა ფრანგმა დიდოსტატმა ს. ტარტაკოვერმა: „მთელი საჭადრაკო პარტია ეს არის ერთი შენიღბული სვლა მხედრით".

საეტიუდო ხელოვნებიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც მხედრის შესაძლებლობები ნათლადაა წარმოდგენილი.

**№ 1.** 1.♘f2+ □h4 2.♘c6 a2 3.♘d4 a1□ 4.♘f5#

შემდგომში ა. გურვიჩმა აღნიშნული იდეა გააღრმავა მეორე საშამათო ფინალით.

**№ 2.** 1.♘6c7 a1♘+ 2.□b2 ♘b3 3.□xb3 □c5 4.□h2 □g1 5.□f4 □e3 6.♘b6 □xf4 [6...□xb6 7.□d2#] 7.♘c4#

**№ 1. ა. გურვიჩი, 1925 წ.**



**თეთრები იგებენ.**

**№ 2 ა. გურვიჩი, 1930 წ.**



**თეთრები იგებენ.**

**გთავაზობთ ამ თემის კიდევ ერთ ტრანსფორმაციას.**

**№ 3.** 1.♘cb6 e1□ 2.□xe1 □f2 3.□c3 □d4 4.□a5 □c3 5.♘c7 □xa5 6.♘e6#

ამ ნაწარმოებში შამათის იდეას ერწყმის ჩასაფრების იდეა.

ზემოთაღნიშნულ იდეაზე ნამდვილი შედევრი შექმნა რუსმა ეტიუდისტმა პ. სობოლევსკიმ.

**№ 4.** 1.♘h8+ □g8 2.□xg2 □f4 3.♘g6 □h6 4.♘g5 □g7 5.♘e7+ □h8 6.♘f7+ □h7 7.□h4 □f6 8.♘g5+ □h6 9.♘g8+□h5 10.♘xf6+□xh4 11.♘f3#

ამ ნაწარმოებმა თავისი ყველა წინამორბედი დაჩრდილა დახვეწილი ფორმითა და ღრმა შინაარსიანი თამაშით. იგი შევიდა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში. აღსანიშნავია იდეის გამოსახვის მაღალტექნიკური შესრულება.

**ველიმირ კალანდაძე.**

**№ 3 ვ. კალანდაძე, 1970 წ.**



**თეთრები იგებენ.**

**№ 4 პ. სობოლევსკი, 1951 წ.**



**თეთრები იგებენ.**

**⊙ ისტორია**

# 8 წლის ვუნდერკინდი მე-19 საუკუნიდან



**ამ დღეებში საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა „ლაზიერის" რედაქციაში ჰოლანდიური ჭადრაკის ჟურნალის „ნიუ ჩესის" 1999 წლის № 7 ნომერი მოგვიტანა. მასში დაბეჭდილია 1886 წელს ქუთაისში 8 წლის ივერი მიქელაძის და ბაქრაძის ნათამაშევი პარტია. მასალა გადმობეჭდილია ფრანგული ჟურნალიდან „სტრატეჟი" 1886 წლის 15 ივლისის ნომერი.**

**ივერი მიქელაძე – ბაქრაძე**
**ქუთაისი, 1886 წ.**

1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.□c4 □c5 4.c3 ♘f6 5.d4 □b6 6.0—0 exd4 7.cxd4 ♘xe4 8.♖e1 d5 9.♖xe4+ dxe4 10.♘g5 0—0 11.□h5 h6 12.♘xf7 ♖xf7 13.□xf7+ □h8 14.□xh6

ცნობილი დიდოსტატის სამუელ როზენტალის კომენტარით, თეთრების პოზიცია ცუდია. [14.□g5-ს შავები უპასუხებდნენ 14...□e6 უკეთესი, მაინც იყო 14.♘c3] 14...□xd4



„შეცდომა, რომელიც უცებ აგებს პარტიას. შავები იგებდნენ [14...gxh6 15.□g6 □f8] შემდეგ" – როზენტალი.

პარტიაში თეთრებს ოთხ სვლაში გამოუცხადებიათ შამათი, ნაცვლად სამისა. 15.□xg7+ □xg7 16.□h5+ □h6 17.□xh6# ჰოლანდიური ჟურნალი აღნიშნავს, რომ ამ სახის ფინალით 1890 წელს ნიუ-იორკში სტეინიცმა დაამარცხა დევიდი.

ფრანგულ ჟურნალში ივერი რუს ვუნდერკინდად არის მონათლული. იქვე აღნიშნულია, რომ ის თავად მიქელაძის ვაჟია.

მაინც, ვინ იყო ივერი მიქელაძე. რა ვიცით მის შესახებ? „ლაზიერის" № 56-ში (27.03.2002 წელი) გამოქვეყნდა ქართული ჭადრაკის მემატიანის თენგიზ გიორგაძის სტატია „ერთი ფოტოს ისტორია".

ივერი ცნობილი ქართველი ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის დავით მიქელაძის (ფსევდონიმი „მეველე") ვაჟია. 6 წლის ივერი უკვე თამაშობდა ჭადრაკს. მას აკაკი წერეთელიც ჰყავს დამარცხებული. ახალგაზრდობაში ივერი უიმედოდ იყო შეყვარებული ტასო საფაროვაზე. უპასუხო სიყვარული თვითმკვლელობის მცდელობის საბაბი გახდა. თავმოყვარე ივერი თბილისიდან სასწავლებლად იალტაში გაემგზავრა. ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას გაიცნო და ცოლად შეირთო გამოჩენილი მხატვრის აივაზოვსკის შვილიშვილი.

1921 წელს ისინი ეგვიპტეში გადასახლდნენ, სადაც 1930 წელს გარდაიცვალა.

„ლაზიერის" რედაქცია შეეცდება დამატებითი მასალების მოძიებას.

**დავით გურგენიძე.**

# ორი მიხეილის უპირატესობით

**5 ივლისს თბილისში გაიმართა საქართველოს პირველობა საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. მასში რვა ამომხსნელმა მოსინჯა ძალა.**

პირველობის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა დავით გურგენიძემ მონაწილეებს 12 საჭადრაკო ამოცანა და ეტიუდი შესთავაზა ამოსახსნელად. მოსაფიქრებლად სამი საათი იყო გამოყოფილი.

ისევე როგორც ბოლო რამდენიმე პირველობაში, ამჯერადაც თავი ისახელეს რუსთაველმა მიხეილ ყოჩიაშვილმა და თბილისელმა მიხეილ გაბესკირიამ. მათ 60 შესაძლებლიდან 45-45 ქულა დააგროვეს და პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

მესამე ადგილზე გავიდა გიორგი ფარესიშვილი, – 25 ქულა. გამოცდილი საჭადრაკო კომპოზიტორი ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი) 18 ქულით მეოთხე ადგილზეა, ამდენივე ქულით მეხუთე ადგილი ხვდა ამირან გაბესკირიას.

GCF
დაზგერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), კახი ჩიგოგიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ნინო გურიელი, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

# სპორტი

## ◉ კრივი

### ფოთელების ტრიუმფი

ბუქარესტში დამთავრდა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 ქვეყნის 124 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა 22 წლის ფოთელმა მოკრივემ ნიკოლოზ იზორიამ (მწვრთნელი ზაურ ანთია), რომელმაც 51 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა. ფინალში ქართველმა მოკრივემ მოლდოვას სახელით მოასპარეზე, ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელი იგორ სამუტენკო დაამარცხა. ფოთელი სპორტსმენის ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან ელადის საგზური იზორიასაც აქვს, ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე კი არც ისე დიდი დრო დარჩა.

გამარჯვებით დაასრულა თავისი მე-15 ბრძოლა პროფესიულ რინგზე, ასევე, ფოთელმა მოკრივემ, 31 წლის კობა გოგოლაძემ (მსუბუქი წონა), რომელიც ხუთი წელიწადია, აშშ-ში ცხოვრობს. მისი მეტოქე გახლდათ ტყავის ხელთათმნის გამოცდილი ოსტატი ამერიკელი მელფი. ათივე რაუნდში ქართველის უპირატესობა აშკარა იყო, ამიტომაც არბიტრებმაც ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს.

**გარი ამირხანოვი.**

## ◉ კალათბურთი

### გუნდიც, რეზერვიც

მართალია, სამწლიანი პაუზის შემდეგ შეკრებილმა საქართველოს ნაკრებმა იტალიის ოთხთა საერთაშორისო ტურნირის მეორე მატჩი მასპინძლებთან 76:100 დათმო, მაგრამ მაინც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენ ეროვნული გუნდი ნამდვილად გვყავს!

ეს რომ ასეა, სტეფანია-ცქიტიშვილი-ნაცვლიშვილის გარეშე მოასპარეზე „ჯვაროსნებმა" სტარტზევე – რუსების ძლევით დაამტკიცეს, „სკუადრა აძურასთან" შეხვედრის უმეტეს ეპიზოდებში კი აღნიშნული შეხედულება კიდევ უფრო გაამყარეს. საილუსტრაციოდ პერიოდების ანგარიშებს გაეცანით: 26:16, 25:24, 25:18, 24:18. ჩვენი ნაკრების შედეგიანი მოთამაშეები: ფაჩულია – 21, ბოისა, უილიამსი – 17-17, სანიკიძე – 10, ცინცაძე – 8, კილაძე – 3 ქულა.

მოკლე რეზიუმე: ნაკლი – დაცვაში სუსტი თამაში; ღირსებები – ლეგიონერთა მაღალი კლასი, საჯარიმო ტყორცნების გამოყენებაში შესამჩნევი პროგრესი; რეზერვი – სტეფანია, ცქიტიშვილი, ნაცვლიშვილი, მარკოიშვილი და გუნდის შეთამაშება.

**გია პლატონიშვილი.**

## ◉ ყოველი მხრიდან

### ვინ იქნება თასის მფლობელი?

დღეს გერმანიაში ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე გაიმართება „ფორმულა-1" ავტორბოლის 55-ე მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 ეტაპი – „გერმანიის გრან-პრი".

პარასკევს, თავისუფალი ვარჯიშის დროს ერთხელ კიდევ ისახელა თავი



მიხაელ შუმახერმა. მართალია, პირველ საწვრთნელ საათზე ყველაზე სწრაფად „ბარის" მესამე პილოტმა ენტონი დევიდსონმა იასპარეზა, მაგრამ მეორე საათზე თითქმის ყველა მონაწილემ მოუმატა სიჩქარეს და პირველობა მაინც უფროსმა შუმახერმა დაისაკუთრა. მას მხოლოდ 0,044-ით ჩამორჩა კიმი რაიკონენი („მაკლარენ-მერსედესი"), რომელიც წინა ეტაპზე მეორე იყო ძირითად რბოლაში.

დღეს ჰოკენჰაიმრინგზე, შეიძლება, ერთ კითხვაზე გაეცეს საბოლოო პასუხი – ვინ იქნება პირველი „კონსტრუქტორთა თასზე?" ახლა „ფერარის" საჯინიბო უახლოეს მდევარს „რენოს" 95 ქულით უსწრებს, თუ დღეს ეს განსხვავება 108 ქულას მიაღწევს, თასის ბედი გადაწყვეტილი იქნება.

### ბრწყინვალე იერიშით

კიდევ ერთი ეტაპი მოიგო მძიმე სამთო რბოლის დროს „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებულმა, ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა. მე-17 ეტაპის ფინიშთან ბრწყინვალე



იერიშით მან გადაასწრო 2004 წლის გერმანიის ჩემპიონს ანდრეას კლოდენს.

ეს ამ პრესტიჟულ მრავალდღიან ველორბოლაზე ტეხასელის მეოთხე გამარჯვებაა, რითაც უფრო განიმტკიცა ლიდერობა და მეექვსე ჩემპიონობის შანსებიც.

* * *

ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციამ (UCI) გადაწყვიტა: ჩამოართვას 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონობა და ოქროს მედალი ბრიტანელ დევიდ მილარს, რისი მიზეზიც გახდა 27 წლის მრბოლის სისხლში აღმოჩენილი დოპინგი EPO.

## ◉ ჭადრაკი

### „გენერალური რეპეტიცია"

გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი და ვიშვანათან ანანდი იშვიათად ახერხებენ ერთ ტურნირში თავმოყრას. ახლაც, დორტმუნდის ტრადიციულ სუპერტურნირში არ თამაშობს კასპაროვი, რადგან რამდენიმე წლის წინათ გაებუტა გერმანელ ორგანიზატორებს და განაცხადა, რომ არასოდეს გამოჩნდებოდა ამ ქალაქში. სიტყვას ასრულებს კიდეც.

ამის მიუხედავად, შეჯიბრება მეტად საინტერესოა – სექტემბერში ხომ მატჩი იწყება მსოფლიო პირველობაზე კრამნიკსა და ახალგაზრდა უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის. ამდენად, ამ სუპერტურნირში მონაწილეობა მათთვის „გენერალური რეპეტიციაა", ერთმანეთიც უნდა დაზვერონ, თან ისე უნდა ითამაშონ, რომ მათი რეიტინგი არ დაეცეს.

პირველი პრიზის მთავარ პრეტენდენტად ანანდიც ითვლება. ფრიად წარმატებული შარშანდელი სეზონის შემდეგ მან წლეულსაც არანაკლებ ღირსეულად ითამაშა, ჯერ ვეიკან-ზეეში, შემდეგ კი მოსკოვში ტიგრან პეტროსიანის მემორიალზე.

ფავორიტებს სათანადო მეტოქეობას გაუწევენ დორტმუნდის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, მოლდოველი დიდოსტატი ვორელ ბოლოგანი, რუსეთის ოთხგზის ჩემპიონი პიოტრ სვიდლერი და სერგეი რუბლევსკი, რომელმაც „აეროფლოტის" ტურნირზე აჯობა ყველას. დორტმუნდში ორი ადგილი სრულიად ახალგაზრდა დიდოსტატებს – 14 წლის უკრაინელ სერგეი კარიაკინსა და ყოფილ რიგელს, ამჟამად გერმანიაში მცხოვრებ არკადი ნაიდიჩს დაეთმო.

**გივი თორელი.**

---

გაიმართა დორტმუნდის სუპერტურნირის პირველი ორი ტური. პირველი ტურის პარტიებმა ერთგვარად დაზვერვითი ხასიათი მიიღო, ორ თანაბარძალოვან ჯგუფებად დაყოფილი დიდოსტატები თითქოს ფრთხილობდნენ და ყველა პარტიის საბოლოო შედეგიც ყაიმი იყო.

„A" ჯგუფში ანანდი დაუზავდა ნაიდიჩს, ხოლო სვიდლერი – რუბლევსკის. „B" ჯგუფში კრამნიკი „მშვიდობიანად" დასცილდა კარიაკინს, ხოლო ლეკო – ბოლოგანს.

მეორე ტურის მხოლოდ ერთ პარტიაში „დაიღვარა სისხლი" – ანანდიმ დაძაბულ ბრძოლაში სძლია სვიდლერს – 1:0.

ორივე ჯგუფში დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ ნაიდიჩი – რუბლევსკი, კრამნიკი – ლეკო, კარიაკინი – ბოლოგინი.

* * *

შვეიცარიის ქალაქ ბილში მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის პროგრამაში ჩართულ ტრადიციულ ტურნირზე 3 ქულით ლიდერობს ალექსანდრე მოროზევიჩი, მეორე ადგილზეა რუსლან პონომარიოვი – 2,5 ქულა.

მე-80 სვლამდე გაიჭიმა ინდოელი კრიშნან შაშიკირინის და ინგლისელი ლიუკ მაკშეინის პარტია, რომელიც პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

## ◉ ფეხბურთი

### მეორე ვარიანტი

ახლახან გულშემატკივარს ოპერატიულად შევთავაზეთ ფეხბურთელთა XVI ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი. თურმე, არ უნდა გვეჩქარა და გაგვეთვალისწინებინა, რომ საქართველოში ყველაფერია მოსალოდნელი. ახლავე მოგახსენებთ, რას ვგულისხმობთ.

განვლილი ორი კვირის განმავლობაში ფინანსური პრობლემების გამო პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლესი დივიზიონიდან რუსთავისა და ქობულეთის გუნდები მოკვეთა, რამაც, ავტომატურად, მონაწილეთა ათამდე შემცირება და გათამაშების ახალი განრიგის შემუშავება გამოიწვია. ეტყობა, ქართული ფეხბურთის მამები არც სამომავლო სიურპრიზებს გამორიცხავენ, თორემ ოთხწრიანი მარათონის სრულ ვარიანტს „გამოაცხობდნენ". რადგან ასე არ მოხდა, ჩვენც მხოლოდ პირველი და მეორე წრეების კალენდარს დავჯერდეთ.



◎ სადაურსა სად წაიყვან...

# ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებსაც აღმოუჩენიათ

## Chao, Georgio Molaschchia

(პირველი გვერდიდან)

1972 წლის სექტემბერში, მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ყოფნისას, ნევროლოგიის ცნობილმა სპეციალისტმა, პროფესორმა იური მოლაშხიამ (ამჟამად მრავალი აკადემიის აკადემიკოსმა) „ნუევო ლეონის“ შენობათა კომპლექსის დათვალიერებისას ყურადღება მიაპყრო ფოტოატელიეს ლამაზად გაფორმებულ აბრაზე წარწერას: „ფოტოგრაფი მოლაშხია“.

უმჯობესია სიტყვა თვით აკადემიკოს იური მოლაშხიას დავუთმოთ:

„ცხადია, დავინტერესდი და გიდს ვთხოვე, შემყოლოდა ფოტოატელიეში. იქ მითხრეს, რომ ბატონი მოლაშხია ატელიეს მფლობელია, რომ ამ ფოტოატელიეს ფილიალები ნიუიორკსა და მონრეალშიც აქვს. საბედნიეროდ, იმჟამად მექსიკელი მოლაშხია მეხიკოში აღმოჩნდა. მას ჩვენი თხოვნით დაუკავშირდნენ ტელეფონით და მალე წარმოსადეგი გარეგნობის ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცს ვესაუბრებოდი.

— მე საბჭოთა კავშირიდან ვარ, — ვეუბნები. — მიკვირს, საიდან გაჩნდა ჩემი მოგვარე მექსიკაში?

— კავკასია თუ იცით? — მეკითხება.

— მე ხომ კავკასიელი ვარ, ქართველი...

— ჩვენ ნამდვილად ერთი სისხლისა ვყოფილვართ! — აღტაცებას ვერ ფარავს მექსიკელი. — ჩემი შორეული წინაპრები ქართველები იყვნენ. მათ შესახებ აი, რა გადმოცემაა ჩვენს ოჯახში: მთის სოფელში სამი ძმა მოლაშხია ცხოვრობდა. მათ ვიღაც დიდი ფეოდალი შემოაკვდათ, რომელსაც აუარებელი ქვეშევრდომი და ნათესაობა ჰყავდა. ძმების სოფელში დარჩენა არ შეიძლებოდა. გამოიქცნენ. მდევრებმა უფროსი ძმა დაჭრეს. ის შორეულ ნათესავებთან დაიმალა. ორი ძმა კი დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ესპანეთში — ბასკონიაში მოხვდა. ამის შემდეგ ჩვენი გვარის ისტორია დაწვრილებით ვიცი გენეალოგიური რუკიდან. ქრისტეფორე კოლუმბი მამაც და ჯანმრთელ ადამიანებს ეძებდა თავისი ექსპედიციისათვის. ძმები მოლაშხიები „სანტა მარიას“ (რომლის კაპიტანი თვით კოლუმბი იყო) ეკიპაჟში მოხვდნენ, კოლუმბთან ერთად ეძებდნენ ინდოეთის გზას დასავლეთისაკენ და ამერიკაში ამოყვეს თავი. უმცროსი ძმა აქვე დარჩა. მე მისი პირდაპირი შთამომავალი ვარ. შუათანა ძმა კი ბასკეთში დაბრუნდა და მისი შთამომავლობა დღესაც იქ ცხოვრობს. მამა-პაპისაგან მსმენია, რომ ჩვენი წინაპრების ქვეყანაში მოლაშხიები ბლომად არიან, — იმ დაჭრილი და სამშობლოში დარჩენილი მოლაშხიას შთამომავლები.





მექსიკელმა მოლაშხიამ ოჯახში მიმიწვია, მაგრამ დროის უქონლობა მოვიმიზეზე, რადგან მოგეხსენებათ კგბ-ს იმ დროს რანაირი კუდი შეეძლო გამოება თუნდაც ამგვარი ურთიერთობისათვის. შემდეგაც, ამ მიზეზით, არ ვაქტიურობდი მასალის გამოსაქვეყნებლად. როცა გადავწყვიტე მაშინაც ვერ ვიგრძენი დიდი ენთუზიაზმი პრესისაგან.

— რატომ არ დაიბეჭდა?! — ვკითხე ბატონ იურის.

— „კომუნისტის“ რედაქციაში ჩემს მიერ მიწოდებული მასალები თვით რედაქტორთან გიორგი ბედინეიშვილთან ინახებოდა. იგი მპირდებოდა, რომ აუცილებლად დაბეჭდავდა, მაგრამ ეს პროცესი რატომღაც გაჭიანურდა. ამასობაში იგი გარდაიცვალა და მასალებიც გაიბნა. ჩემი არაერთგზის თხოვნის შედეგად, მხოლოდ ახლახან აღმოაჩინეს...

ბატონ იურისთან საუბარში დავინტერესდი, თუ რა ერქვა ფოტოატელიების მფლობელ მექსიკელ მოლაშხიას.

— ცნობილია, ესპანელებს ბევრი სახელი ჰქვიათ. ჩემმა თანამოგვარემ სახელების ისეთი გრძელი რიგი წარმოსთქვა, რადგან არ ჩამიწერია, დამახსოვრება შეუძლებელი იყო. ოღონდ ეს არის, ამ სახელებში გიორგიც ერია...

— მეზღვაურ მოლაშხიასაც ხომ გიორგი ერქვა?

— დიახ. ეგ თქვენ უკვე იცით. ჩვენი საუბრის დასასრულს, მექსიკელმა მოლაშხიამ მოატანინა გაყვითლებული და გაცვეთილი საოჯახო წიგნი, სადაც ეს ისტორია იყო მოთხრობილი და რომელშიც ჩართული იყო კოლუმბის მეზღვაურთა სიაც, სადაც რიგში მეექვსედ ეწერა: chao, Georgio Molaschchia. სიის ეს მონაკვეთი მან ფოტოზე გადააღებინა და გადმომცა. ასე, რომ მექსიკელი მოლაშხია თავის სახელებში მეზღვაურ წინაპარსაც ასახელებდა უთუოდ.

ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ ქ. მეხიკოში ნანახი და მოსმენილი შუქსა ჰფენს დღემდე გამოუკვლეველ საკითხსაც, თუ რა გზით აღმოჩნდა პირველი ბასკი ამერიკაში. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი მწერალი ერსკინ კოლდუელი თავის წიგნში „ამერიკა სიგრძე-სიგანით“ (Erskin Caldwell – Around about America, New-York, 1964. გვ. 133-134) აღნიშნავს, რომ: „არ ვიცი, როგორ მოხვდა პირველი ბასკი ამერიკაში — შესაძლოა, ეს იყო ქრისტეფორე კოლუმბის ქარავნის მეზღვაური, რომელიც დარჩა იქ, გაამერიკელდა და გამდიდრდა“.

„სანტა მარიას“ ეკიპაჟის სიაში ინტერესს იწვევს მეზღვაურთა შორის თითქოსდა ქართული წარმომავლობის ლიპუსკუას გვარის დასახელებაც... (სიაში იგი მეოთხეა) თუმცა, დროა, შევეშვათ ვარაუდებს... მთავარი ისაა, რომ ეს სია, რომელიც ფოტოზეც არის აღბეჭდილი, ისტორიის ქარტეხილებს



არის გამოღწეული. როგორც ცნობილია, არსებობდა ქრ. კოლუმბის პირველი ექსპედიციის დღიური, რომლის ზუსტი ასლი გადააღებინა ესპანეთის მაშინდელმა დედოფალმა, მაგრამ ამ უძვირფასესი დოკუმენტის ორივე პირი 1550 წელს უკვალოდ დაიკარგა. ისტორიას შემორჩა მხოლოდ დედნის კონსპექტი, რომელიც კოლუმბის დღიურის გაცნობის საფუძველზე შეადგინა ესპანელმა ისტორიკოსმა ბართლომე ლას კასასმა (1474-1566). ამ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — ლას კასასის „ინდოეთის ისტორია“ ძვირფას რელიკვიად ჰქონდა მექსიკელ მოლაშხიას. მეზღვაურთა სია სწორედ იქიდან გახდა ცნობილი.

**ბატონი იურის მონათხრობს დავუმატებდით, რომ საუკუნეთა ჟამთა სვლის შემდეგ, წარმოუდგენლად ძნელია დადგენა იმისა, თუ რატომ არ წერია სიაში მეორე ძმა მოლაშხია, რომელთა შთამომავალნიც თურმე ბასკეთში ცხოვრობენ, მაგრამ თვით მთელი ეს ისტორია სარწმუნოც არის და ძალზე საინტერესოც. ცხადია, კარგი იქნება, თუ მოხერხდება ამ ისტორიის უფრო გამოწვლილვით შესწავლა, ძმები მოლაშხიების ნაკვალევზე შთამომავალთა ძიება, ამერიკელ, ბასკ და ქართველ მოლაშხიათა ურთიერთობის ხიდების გადება, მაგრამ ეს, ალბათ, უკეთეს დროთათვის უნდა გადაიდოს, ხოლო იმ დღეებამდე მეხსიერებამ უნდა შემოინახოს ამ საინტერესო მოვლენის ნათელი ხსოვნა.**

**თამაზ შოთაძე.**



◎ ყველაფერი ყველაფერზე

### ჯოისის გმირთა მარშრუტით

**ირლანდიის დედაქალაქის დუბლინის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ამას წინათ 10 ათასი უფასო საუზმე გააწყეს. საბაბი გახდა ჯეიმზ ჯოისის რომანში „ულისე“ აღწერილი ერთი დღის, „ბლუმის დღის“ მეასე წლისთავის ზეიმობა (რომანის პერსონაჟს ჰქვია ლეოპოლდ ბლუმი). მწერალმა ეს დღე ზუსტად დაათარიღა — 1904 წლის 16 ივნისი.**

ო-კონელ-სტრიტი — ასე ჰქვია დუბლინის იმ ცენტრალურ ქუჩას. ზეიმის დროს აქ მიმოდიოდნენ წიგნის პერსონაჟებად გამოწყობილი მსახიობები, საკვირაო საუზმის მენიუ კი რომანის გმირთა კულინარულ მიდრეკილებებს ასახავდა.

ჯოისის სიცოცხლეში მის შედევრს მწვავედ აკრიტიკებდნენ. ირლანდიაში ახლაც არიან ისეთები, ვინც წიგნს ამორალურად მიიჩნევს და მის პოპულარიზაციას აპროტესტებს. ლიტერატურათმცოდნე, ჯოისის შემოქმედების სპეციალისტი და დუბლინის ღონისძიებათა ორგანიზატორი ლაურა უელდონი კრიტიკოსებს არ ეთანხმება. „ეს საოცრად სასაცილო წიგნია, ყოველდღიურ ცხოვრებაზე მთხრობელი, — შენიშნავს ქალი, — რა ბედენაა, სად დაიბადეთ, ან რომელ ენაზე ლაპარაკობთ. ისეთი თემები, როგორიცაა დაბადება, სიკვდილი, სიყვარული და ქორწინება, ყველას ეხება და ამიტომაც რომანი ყველასათვის მისაწვდომია“.

სხვადასხვა ენის ხსენება მით უფრო აქტუალურია, რომ დუბლინში, „ბლუმის დღის“ მეასე წლისთავზე, ათასობით ტურისტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩავიდა. ლიტერატურული დღესასწაულის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ არ აპირებენ ხელოვნების კომერციალიზაციას და რომ ზეიმის ყოველწლიური პოპულარობა ჯოისის ქმნილებისადმი შეუნელებელ ინტერესს მოწმობს.

### ინდუსები ლესბოსური სიყვარულის წინააღმდეგ

**ლესბოსურ სიყვარულზე ინდოეთში შექმნილი ფილმი „მეგობარი ქალი“ იმდენად არ მოეწონათ ინდუს ფუნდამენტალისტებს, რომ აფიშების ჩამოხევას მიჰყვეს ხელი. უკმაყოფილონი არიან ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფთა წარმომადგენლებიც — მათი აზრით, ფილმი ლესბოსურ დამოკიდებულებათა „პორნოგრაფიულ ასახვად“ წარმოჩნდება. აიკრძალა „მეგობარი ქალის“ ჩვენება ბომბეიში და ბენარესში.**

რეჟისორი კარან რაზდანი ამბობს, რომ მისი სურათი იმ გოგონას ისტორიას გადმოსცემს, რომელიც ლესბიანელი გარემოებათა გამო ხდება. ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი ორგანიზაციების უმეტესობის აზრით კი ფილმი არ გამოირჩევა წამოჭრილი პრობლემის გაგების სიღრმით.

შარშან ერთ-ერთმა მათგანმა — „ფორუმი ქალთა შევიწროების წინააღმდეგ“, ბომბეიში პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი მოაწყო, რომელზეც სექსუალური ორიენტაციის თემაზე გადაღებული სურათები უჩვენეს. ამ ორგანიზაციის აქტივისტი ქალები ფიქრობენ, რომ კინორეჟისორები არ უნდა შეიზღუდონ თავიანთი ლენტებისათვის თემების არჩევაში, თუმცა ნამუშევრისათვის მორალური პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ.

◎ წიგნი

# კლინტონის „ჩემი ცხოვრებიდან" ამოშლილი ქალები, რომლებმაც ვერ გაუძლეს ჰილარის ცენზურას

**ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონის მემუარები „ჩემი ცხოვრება", დაახლოებით, ათას გვერდს მოიცავს. ამბობენ, რომ ორიგინალური ხელნაწერი სამჯერ უფრო დიდი იყო და რედაქტორებს საკმაო ოფლისღვრა დასჭირდათ საიმისოდ, რომ შეემცირებინათ იგი. მაგრამ ზოგი რამ ამოიღეს თვით კლინტონის მეუღლის — ჰილარის მითითებით. ეს რედაქტურაზე უფრო მეტად ცენზურა იყო.**



როგორც ცნობილია, კლინტონი ცდილობდა, ყველაფერში მიებაძა კენედისათვის. ერთხელ კენედიმ ხელი ჩამოართვა ჭაბუკ-ბოისკაუტ ბილს და მანაც ეს ხელის ჩამორთმევა ბედის მინიშნებად მიიჩნია. მას შემდეგ, განსაკუთრებით კი, რაც პრეზიდენტად აკურთხეს, კლინტონი ცდილობდა, ყველაფერში აეწყო ფეხი კენედისათვის და მუდამ უსვამდა პარალელებს თავისი და კენედის ცხოვრებას შორის. ხშირად ასეთი კერპთაყვანისმცემლობა სასაცილოც კი იყო. საწერი მაგიდა, რომლითაც კლინტონი სარგებლობდა, ოდესღაც კენედის ეკუთვნოდა და კლინტონიც ამის შესახებ უამბობდა ყველას, ვინც კი შეაბიჯებდა მის კაბინეტში („ამ მაგიდასთან განიხილავდნენ კუბის სარაკეტო კრიზისს..."). ზოგჯერ ბილი ამა თუ იმ პოზას მიიღებდა და ირგვლივ მყოფთ განუმარტავდა: „ზუსტად ასეთივე პოზაში ვნახე ახალგაზრდა კენედი ერთ-ერთ ფოტოსურათზე".

კლინტონი თავის კერპს, ბუნებრივია, მექალთანეობაშიც ბაძავდა, თუმცა, ამ სფეროში მას გაცილებით უფრო აინტერესებდა რაოდენობა, ვიდრე ხარისხი (საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ მონიკა ლევინსკი და მერილინ მონრო!). ამ „სფეროში" ორიგინალის მიბაძვას კომიკური, ზოგჯერ კი ტრაგიკული ხასიათიც ჰქონდა. პრეზიდენტ კენედის უყვარდა თეთრი სახლის საცურაო აუზში დედიშობილა ცურვა თავის გულისწორ ქალბატონებთან ერთად. წიგნში „კამელოტის ბნელი მხარე" სეიმურ ჰერში აღწერს ერთ ეპიზოდს, როცა კენედის ცოლმა ჟაკლინმა კინაღამ წაასწრო თავის ქმარს აუზში ორ მომხიბლავ მდივან-გოგონასთან ერთად, მხოლოდ საიდუმლო სამსახურის აგენტების სიფხიზლის წყალობით მოხერხდა მაშინ ოჯახური სკანდალის თავიდან აცილება.

ჰოდა, კლინტონმაც გადაწყვიტა არც ამაში ჩამორჩენოდა თავის წინამორბედს. ერთ მშვენიერ შუაღამეს კლინტონმა ბრძანა ჩაექროთ პროჟექტორები, რომლებიც თეთრი სახლის აუზს ანათებდნენ, და გადაეშვა წყალში მომხიბლავ ქერათმიან ქალთან ერთად. ერთი საათის განმავლობაში ეძლეოდნენ სასიყვარულო განცხრომას ბილი და ეს ქალბატონი. როცა მემუარების წერა დაიწყო, კლინტონმა გადაწყვიტა, შეეტანა თავის მოგონებებში ეს ეპიზოდი, რომელსაც ხუმრობით უწოდა „საწყლოსნო სპორტით" გატაცება. როგორც „ჩემი ცხოვრების" ერთ-ერთმა რედაქტორმა თქვა, „ბილი სიამაყით იხსენებდა ქერათმიან ლამაზმანთან აუზში გატარებულ წუთებს და აღნიშნავდა, რომ ეს ქალბატონი ნამდვილად დააკმაყოფილებდა კენედის გემოვნებას. იგი ამ ისტორიაში „ვერაფერს უხერხულს" ვერ ხედავდა და მიაჩნდა, რომ ყოველივე ეს დამატებით შტრიხს მატებდა კენედისაგან კოპირებულ მის იმიჯს". უფრო მეტიც, კლინტონმა სცადა გაეუმჯობესებინათ თავისი იდეალის „მიღწევები" და თეთრი სახლის ერთ-ერთ გაზონზე ააგო საუნა, რომელიც შვიდი ადამიანისთვის იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, კლინტონის პირადი მცველები ხუმრობით აღნიშნავდნენ, რომ „ბოსს უყვარს საუნის შვიდივე ადგილით სარგებლობა".

„საწყლოსნო სპორტით" ქმრის ასეთმა გატაცებამ განარისხა ჰილარი. მან მკაცრად მოსთხოვა ბილს, რომ ამოეღო ეს ეპიზოდი მემუარებიდან. ჰილარი უმტკიცებდა ქმარს, რომ „საწყლოსნო სპორტი" გვარიანად შეარყევდა მის ისედაც არამყარ რეპუტაციას და უარყოფით გავლენას მოახდენდა ბილის პოლიტიკურ კარიერაზე, ასე ვთქვათ, „ჩაძირავდა" მას. თავისი არგუმენტების განსამტკიცებლად ჰილარიმ დასახმარებლად უხმო „მოცურავის" ქალიშვილს ჩელსის. როგორც ამტკიცებენ, მამის გული მოლბა: კლინტონმა ტექსტიდან ამოიღო „წყლის როკ-ენდ როლი" და კალათში გადაუძახა იგი. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ჰილარის კატეგორიულად მოუთხოვია ბილისგან მემუარებში აღეწერა მხოლოდ ის სამიჯნური თავგადასავლები, რომელთა შესახებაც მთელმა ამერიკამ იცოდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ის სასიყვარულო ეპიზოდები, რომელთა არსებობაც მარტო ბილისთვის იყო ცნობილი.



ასეთმა „ოჯახურმა ცენზურამ" შეიწირა არა მარტო ჩვენთვის უცნობი ქერათმიანი ლამაზმანი, არამედ ვინმე მერილინ ჯო ჯენკისიც, რომელიც დღემდე ითვლება ბილის „ნამდვილ სიყვარულად". ამბობენ, რომ მერი ჯო ბილის ცხოვრებაში მოხვდა მაშინ, როცა იგი „აპირებდა ახალი ცხოვრების დაწყებას". ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1980-იანი წლების დამლევს, როცა კლინტონი არკანზასის შტატის გუბერნატორი იყო, მერი ჯო კი — ეს თავბრუდამხვევი სილამაზის ტანკენარი მანდილოსანი — სულ ცოტა ხნის წინათ გაეყარა ქმარს. მერი ჯოს გამო კლინტონს ჰილარის მიტოვებაც კი სურდა. აი, რას წერს ბილის ამ „საუკუნის რომანის" შესახებ ნაიჯელ ჰამილტონი თავის წიგნში „ბილ კლინტონი — ამერიკული მოგზაურობა", რომელიც კლინტონის მემუარების გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე დაიბეჭდა. თურმე, კლინტონი „განუწყვეტლივ დაქროდა" გუბერნატორის სასახლესა და მერი ჯოს ბინას შორის. ხოლო, როცა ვერ ახერხებდა გულისწორთან შეხვედრას, „საათობით ესაუბრებოდა მას ტელეფონით. იგი მერი ჯოს დღეში ზოგჯერ 19-ჯერაც კი ურეკავდა, რასაც მოწმობს გუბერნატორის ოფისში გაკეთებული სატელეფონო ჩანაწერები, ხშირად საათობით ელაპარაკებოდა, როცა ჰილარისთან სატელეფონო საუბარი იშვიათად თუ გრძელდებოდა სამ წუთზე მეტ ხანს".



წიგნის ავტორს მოჰყავს კლინტონის ერთ-ერთი პირადი მცველის სიტყვები: „გუბერნატორი მეუბნებოდა, რომ მერი ჯო მისთვის ერთადერთი ქალი იყო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. რომ იცოდე, რა ძნელია, როცა კაცს ერთდროულად გიყვარს საკუთარი ცოლიც და სხვა ქალიც, — ასე ამბობდა ხოლმე იგი". ავტორი წერს: „მერი ჯოსთან ყოფნის დროს ბილი გრძნობდა, რომ ქალს იგი უყვარდა არა მისი მომავალი კარიერის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი ასეთი იყო". 1989 წელს კლინტონმა მერი ჯოს განუცხადა, რომ ცოლად შეირთავდა და ეს ამბავი ჰილარისაც შეატყობინა. მაგრამ პოლიტიკამ მაინც თავისი გაიტანა. თეთრი სახლისათვის ბრძოლაში ჩართვის შემდეგ კლინტონს ჰილარი არ მიუტოვებია, თუმცა კვლავ გრძელდებოდა „სატელეფონო რომანი" მერი ჯოსა და მას შორის. ოთხჯერაც კი შეხვდა მას „გუბერნატორის სასახლის სარდაფში — 1992 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ და 1993 წლის დამდეგს — ინაუგურაციამდე".

ზოგიერთი წყაროს თანახმად, მემუარებზე მუშაობის დროს კლინტონში გაიღვიძა მიძინებულმა გრძნობებმა და მან სცადა, კვლავ „დაემყარებინა კონტაქტი" მერი ჯოსთან, ქალთან, რომელსაც ბილი დღესაც განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს. თუმცა, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი იმის თაობაზე, შედგა თუ არა ასეთი კონტაქტი. არც ის არის ცნობილი, შეძლო თუ ვერა ბილმა მერი ჯო ამოეღო თავისი ცხოვრებიდან, თუმცა თავისი მემუარებიდან მან ეს ქალბატონი ნამდვილად ამოიღო. თანაც, მარტო იგი არა. ბოლოს და ბოლოს, „ჩემი ცხოვრება" ხომ პოლიტიკური მოღვაწის და არა კაზანოვას მემუარებია.

**მელორ სტურუა,**
**მინეაპოლისი.**
**„მოსკოვსკი კომსომოლეცი".**

◎ ყველაფერი ყველაფერზე

## ბარდომ აღიარა, რომ ბალზაკი არ არის

**რასობრივი სიძულვილის გაღვივების ბრალდებით წარდგა ბრიჯიტ ბარდო ფრანგული სასამართლოს წინაშე. კინოვარსკვლავმა, რომელიც ახლა 69 წლისაა (თუმცა „ადეკვატური" ფოტოების მიხედვით ამდენს ნამდვილად ვერ მისცემ), დაწერა ბესტსელერად ქცეული წიგნი „ყვირილი სიჩუმეში".**

აქ მსახიობი და ცხოველთა დამცველი წერს, რომ გამოდის „საფრანგეთის ისლამიზაციის" წინააღმდეგ. სასამართლოში მან ბოდიში მოიხადა და თქვა: „არასოდეს მსურდა არავის წყენა შეგნებულად. ეს არ არის ჩემ ხასიათში". მიუხედავად ამისა, ბარდო შეიძლება დაჯარიმდეს ან სულაც საპატიმროში მოხვდეს ერთი წლით, თუ მას დამნაშავედ მიიჩნევენ. მსახიობის „ყვირილი სიჩუმეში" რთულ საკითხებს ეხება — რასების შერევა, იმიგრაცია, ქალების როლი პოლიტიკასა და ისლამში. ამასთან, ავტორმა აღიარა ნაშრომის ლიტერატურული ნაკლოვანებები. „მე, რასაკვირველია, ბალზაკი არა ვარ", — განაცხადა ბარდომ. იგი უკვე იყო მსჯავრდებული რასობრივ უთანხმოებათა გაღვივებისათვის, როცა პრესაში გააკრიტიკა ცხვრების დაკვლის მუსლიმური რიტუალური პრაქტიკა. მსახიობმა სასამართლოში ბოდიში კი მოიხადა, მაგრამ კვლავ აღნიშნა, რომ გამოდის რასების შერევის წინააღმდეგ და შეშფოთება გამოხატა საფრანგეთში ისლამ ექსტრემისტთა შეღწევის გამო. „მუსლიმებს შორის, ვფიქრობ, ძალიან კარგი ადამიანებიც არიან და ხულიგნებიც, როგორც ყველგან", — დაუმატა მან. კინოვარსკვლავს, ალბათ, სატუსაღოში არ დაამწყვდევენ, მაგრამ დიდი ჯარიმის გადახდა კი მოუწევს...



## ბუკერის პრემია — უსაზღვრებოდ

**ინგლისურენოვან სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული კონკურსი — ბუკერის პრემიის კონკურსია. მის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ ახალი ჯილდო დააწესონ მწერლის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.**

სახელგანთქმული ბუკერის პრემიით ყოველ წელს აჯილდოებენ შეერთებულ სამეფოში გამოცემული, ინგლისურ ენაზე დაწერილი საუკეთესო რომანისთვის. პრემიის გადაცემა კი ბრიტანეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში წლის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა. ექვსი მწერლის ფინალური სიიდან მიმდინარე წელს განსაკუთრებით გამორჩეულს ასახელებენ. ეს პატივი ხშირად ხვდება ინგლისურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებს, ოღონდ არა ბრიტანეთიდან. ერთადერთი გამონაკლისი აშშ-ის მწერლებია.

მომავალი წლიდან მენის (მენი — ეს ახალი სპონსორების სახელია) საერთაშორისო ბუკერის პრემიით (110 ათასი დოლარი) მწერლები დაჯილდოვდებიან მთელი კარიერის მიღწევებისთვის. ამასთან, კონკურსში მონაწილეობა ყველა ეროვნების ავტორებს შეეძლება იმ პირობით, რომ მათი წიგნები ინგლისურადაა დასტამბული.

## დემოგრაფია

**ახოვანი, ცისფერთვალება შვედები, მწითური ინგლისელები, რუსები, რომელთა გამორჩევა არ გაგიჭირდებათ სხვებისგან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი „პაჭუა რუსული ცხვირის“ წყალობით... მაგრამ ხშირად კი შევხვდებით ასეთებს ახლა? რომელიღაც ლაჟვარდოვან სანაპიროზე ჩასული ჩვენი ტურისტი პირველი, ვისაც გადააწყდება, იქნება არა ხუჭუჭთმიანი ფრანგი, არამედ შავკანიანი მიგრანტი აფრიკიდან. ნუთუ, ევროპული ერები გადაშენების პირას დგანან? ნუთუ, ყოველივე მათგანში აღრეულია მხოლოდ ახლო ნათესავების სისხლი? იქნებ, თავის გადარჩენისთვის, მათთვის აუცილებელია „ახალი სისხლის“ თუნდაც მცირეოდენი ულუფა?**

### დემოგრაფიული ვერსია

**მიმდინარე წლის დამდეგს ევროპის საბჭომ გამოაქვეყნა ყოველწლიური დემოგრაფიული ბიულეტენი, რომელიც 2003 წლის მონაცემებს აჯამებდა. ბიულეტენში არსებული მონაცემები მოსახლეობის შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინება-განქორწინებათა რაოდენობის შესახებ საკმაოდ დამაფიქრებელი იყო.**

ევროპაში ცხოვრობს დაახლოებით 814 მილიონი კაცი, მაგრამ „წმინდა ევროპული“ მოსახლეობის რიცხვი (მთელი ჩვენი პლანეტის მოსახლეობაში) მცირდება. ამის მიზეზია ის, რომ ცოტა ბავშვი ჩნდება. ყოველივე აქედან გამომდინარე, ევროპული მოსახლეობის შემცირების ტენდენცია, სამწუხაროდ, მომავალშიც გაგრძელდება.

ძველი კონტინენტის ყველა ქვეყანაში, თურქეთის გარდა, შობადობის დონე მოსახლეობის საერთო მატების მაჩვენებელზე დაბალია. დემოგრაფთა გაანგარიშებით, დასავლეთი ევროპის მრავალ ქვეყანაში „მოსახლეობის უარყოფითი ნამატი“ გამოწვეულია იმით, რომ უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. და ამის კომპენსაცია ხდება მხოლოდ იმიგრანტების ხარჯზე. ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვედეთსა და ესტონეთში ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 50 პროცენტს აღემატება: ევროპელებს აღარ სურთ ოჯახების შექმნა, რაც კიდევ ერთ დიდ პრობლემას ქმნის.

### ანთროპოლოგიური ვერსია

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ანთროპოლოგ ტატიანა ალექსეევას მიაჩნია, რომ თუ საქმე ეხება „ტიპურ ევროპელებს“, აქ ყველაფერი ასე ერთმნიშვნელოვნად არ არის. ევროპოიდი — აი, ზუსტი ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს რასას, ხოლო „შვედი“, „ნორვეგიელი“, ან „იტალიელი“ — ეს უფრო მოქალაქეობაა და არა — ეროვნება.**

ხალხების მიგრაცია დაიწყო უძველესი დროიდან. ამიტომ იმავე პოლონელში ან დანიელში, შესაძლოა, ჩქეფდეს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა სისხლი. პრინციპში, ძნელია, ერთმანეთისგან გავარჩიოთ გერმანელი და ტვერიის გუბერნიის მკვიდრი რუსი — ორივე ტანმაღალი, ცისფერთვალებაა. როცა ყალიბდება რასა, პირველი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილმდებარეობასთან, კლიმატთან ადაპტაცია. მეორე ფაქტორია — მეტისაცია, მონღოლური და ევროპული რასების შერევა კაცობრიობის განსახლების კვალობაზე — ურალური, ეთიოპური (ნეგროიდები და ევროპოიდები), და ბოლოს, მესამე ფაქტორი — იზოლაცია. თუ გეოგრაფიული, კულტურული ან ენობრივი მიზეზების გამო, რომელიმე ჯგუფი, ასე ვთქვათ, „იკეტება თავის თავში“, მაშინ იქმნებიან სწორედ ასეთი „ტიპური ინგლისელები“ ან ვინმე სხვა. ამ შემთხვევაში ვიწროვდება საქორწინო კავშირების წრე, მათში ნელ-ნელა ვლინდება „რეგრესიული ნიშნები“ — ღია ფერის თმები, ცისფერი თვალები და ა. შ. მაგალითად, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ინგლისელი ან ირლანდიელი მწითური უნდა იყოს — ეს საკმაოდ იშვიათი რეგრესიული ნიშანია. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი დამახასიათებელია



# ევროპა სულს ლევს?

ამ ეროვნების ადამიანებისათვის. უბრალოდ, ინგლისსა და ირლანდიაში ქალთმიანები უფრო ხშირად გვხვდებიან.

### გენეტიკური ვერსია

**ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ოლგა კურბატოვას აზრით (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტი), მასობრივი შეგნებისათვის ტიპური ევროპელი ხალხების წარმომადგენლების — შვედების, გერმანელების, ჰოლანდიელების, ესპანელების, ფრანგების გაქრობის პროცესი ბუნებრივია.**

წინათ ქალი იმდენ ბავშვს აჩენდა, რამდენსაც ღმერთი გამოუგზავნიდა. მეფის რუსეთში, მაგალითად, როგორც აზნაურებს, ისე გლეხებს, 5-10 შვილი ჰყავდათ (ამავე დროს, ეროვნებათშორისი ქორწინებები მხოლოდ 5 პროცენტს თუ შეადგენდა). 100 წლის წინათ არც ერთი რასის წარმომადგენელი არ ზღუდავდა თავის „ნაყოფიერებას“. მაგალითად გუტერიტების სექტამ ამერიკასა და კანადაში დაამხო შობადობის ყველა რეკორდი: ყოველ ოჯახში 10-10 ბავშვი ჰყავდათ. როცა კანადას ითვისებდნენ, ფრანგულენოვან და ინგლისურენოვან ჩამოსახლებულებს შორის ატყდა ეგრეთ წოდებული „აკვნების ომი“, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო თავიანთი ერის წარმომადგენლებით დაესახლებინათ რაც შეიძლება ვრცელი ტერიტორია. ევროპაში კი ახლა დადგა ერთშვილიან, ხშირად კი — საერთოდ უშვილო ოჯახებზე დემოგრაფიული გადასვლის პერიოდი. აქ, რა თქმა უნდა, იჩენს თავს დასავლეთის ინდივიდუალიზმი: განვითარებულ ქვეყნებში ადამიანებს „განაწყობენ“ რაც შეიძლება მეტი სიამოვნების მიღებისათვის, იმისთვის, რომ მან მეტი დრო დაუთმოს საკუთარ თავს, გართობას, ფიტნესს. ყოველივე ამას ემატება კონტრაცეფციაც და გამოდის, რომ ქერათმიანი და ცისფერთვალება ერების წარმომადგენლები ხელოვნურად ამუხრუჭებენ თავიანთი ზრდის პროცესს. თავის როლს ამ საქმეში სარწმუნოებაც ასრულებს: მატერიკის ჩრდილოეთ და ევროპულ ნაწილებში ძირითადად ცხოვრობენ ქრისტიანი ხალხები, შობადობის მხრივ „ნაყოფიერი“ ქვეყნები კი, როგორც წესი, მუსლიმანური და ბუდისტური სახელმწიფოებია: იქ, ისევე, როგორც 2-3 საუკუნის წინათ, იბადება იმდენი ბავშვი, რამდენსაც ღმერთი მოავლენს.

ყოველ პოპულაციაში ცვალებადობა ძალზე დიდია. თუ ავიღებთ იმავე რუსებს, რომლებიც უზარმაზარ ტერიტორიაზე სახლობენ, უამრავ ქვეტიპს შევხვდებით და არა მარტო ძირითად ტიპებს, ისეთებს, როგორიც, მაგალითად, არის ვალდაური (ტანმაღალი, ქერათმიანი ადამიანები) ან — რიაზანული (შედარებით ტანდაბალი, მუქთმიანი და შავგვრემანი). მრავლად არიან რუსები, რომლებსაც შერეული აქვთ თათრული, მორდვული, და სხვა გენები (ისინი ყველა საგრძნობლად გამოირჩევიან თავიანთი გარეგნობით). სწორედ ეს არის „ერის გადაგვარების“ მაგალითი... დემოგრაფიული პროცესი მიმდინარეობს ყველგან. საფრანგეთი სულ უფრო მეტად ხდება „მუსლიმანური“ ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩასული მიგრანტების ხარჯზე. გერმანია უხვად არის „გაჯერებული“ თურქებით, რუსეთიდან მიდიან გერმანელები და ებრაელები. ბოლოს და ბოლოს, ასეთი პროცესები ხომ უკვე იყო ჩვენი პლანეტის ისტორიაში, და, შესაძლოა, ასე ორი-სამი ასეული წლის შემდეგ „ჩრდილოეთის“ ხალხების კულტურასა და შემეცნებაში რაღაც შეიცვალოს და კვლავ გაბატონდეს ქერათმიანი ტიპი. დედამიწისათვის მთავარია, რომ არ გადაშენდეს „შრომითი რესურსები“, ხოლო იმას, თუ რა ფერის იქნება მათი კანი, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება.

### ეზოთერიკული ვერსია

**ასტროლოგ ალექსანდრე ზარაევის აზრით, ამა თუ იმ ერის „აღზევება“ და „დაცემა“ შემთხვევითი არ გახლავთ. ამ პროცესებს შეისწავლის ასტროლოგიის სპეციალური განყოფილება, რომელიც დედამიწას განიხილავს, როგორც რაღაც ერთიან ორგანიზმს.**

ხალხებიც, ამ მეცნიერების თანახმად, განიხილება, როგორც ცოცხალი ორგანიზმის შინაგანი ორგანოები: ღვიძლი, კუჭი, ტვინი და ა. შ. ყოველი ასეთი „ორგანო“ მუშაობს თავისი სიხშირით, რათა არ დაირღვეს პლანეტის აურა. ქვეყნები დედამიწის სულს განამტკიცებენ თავიანთი ვიბრაციით და რაც უფრო მაღალი და სულიერია ეს ვიბრაცია, მით უფრო მეტ ენერგიას იღებს პლანეტა ამ ხალხებისაგან. როგორც კი სახელმწიფო იწყებს „დამიწებას“ — საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას — პლანეტასაც წარმოექმნება პრობლემები. ეს ძალზე წააგავს ანთებით პროცესს ამა თუ იმ ორგანოში. ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის საფრანგეთი, ინგლისი, უკვე მიაღწიეს სრულ მატერიალურ კეთილდღეობას, ნაკლებად „მუშაობენ თავით“, არ გამოიმუშავებენ და არ იღებენ ენერგიას. რატომ ვითარდება ასე აქტიურად ჩინეთი, არაბული სამყარო? ჩინეთი თავისი კონფუცისეული ფილოსოფიით, რომელიც ეფუძნება იერარქიის პრინციპს (უმცროსი ემორჩილება უფროსებს, სახელმწიფოში დაცული უნდა იყოს კანონები, თუ იმპერატორის სასახლის კარზე წესრიგია, მაშასადამე, ქვეყანაშიც წესრიგი სუფევს და ა. შ.) ეხმარება დედამიწას ენერგიის მიღებასა და გაცემაში. ისლამი, ყველაზე ახალგაზრდა რელიგია, კვლავ იზიდავს ახალ-ახალ მომხრეებს და, როგორც იტყვიან, „მუშაობს ახალგაზრდობასთან“, რასაც ვერ ვიტყვით „ძველ“ კონფესიებზე. მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმში მოდიან უკვე ხანდაზმული ადამიანები, რადგან ახალგაზრდებს უჭირთ მატერიალურ სამყაროში თავიანთი საქმიანობა შეუთავსონ ეკლესიაში სიარულს. საეკლესიო ცხოვრება მათში ძირითადად „სიკვდილშემდგომია“. მუსლიმანობა კი უფრო კოლექტიური, საერო ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული რელიგიაა.

„ძველმა სამყარომ მიაღწია გარკვეულ სულიერ პიკს, მაგრამ მწვერვალზე დიდხანს გაჩერება ვერავინ შეძლო, — მიაჩნია ზარაევს. — „დაღმართი“ კი გაცილებით უფრო ციცაბოა, ვიდრე „აღმართი“, და ყოველი ადამიანი, რომელიც დიდხანს ცოცხლობს ამ ქვეყანაზე, ნელ-ნელა იწყებს იმის შეგნებას, რომ ლოგიკის გარდა, არსებობს კიდევ რაღაც კოსმოსური კანონი. მისი სიტყვებით გამოხატვა ძალზე რთულია, მაგრამ იგი მოქმედებს და უცვლის სახეს მთელ სამყაროს“.

**ელენე სემიონოვა.**
**„არგუმენტი ი ფაქტი“.**

## ყველაფერი ყველაფერზე



# ჰოლანდიელებს ჰიტლერის ნაყიდი სურათები დაუბრუნდებათ

**უკრაინა დათანხმდა ჰოლანდიისთვის ფრანც კენიგსის სახელგანთქმული კოლექციის დაბრუნებაზე. ახლახან კიევში მოეწყო აქედან შერჩეული ნამუშევრების ექსპოზიცია. გამოფენაზე წარმოადგინეს 139 ნახატი და 3 ოფორტი, მათ რიცხვში, ალბრეჰტ ალდორფერის „ჩვილთა გალახვა“, აგრეთვე ლუკას კრანახ უფროსის „ადამ და ევა სამოთხეში“. ექსპოზიციის გახსნაში მონაწილეობდა უკრაინის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი იან პეტერ ბალბანკენენდე.**

ეს უნიკალური კოლექცია თავის დროზე გერმანელ ფინანსისტსა და მეწარმეს ფრანც კენიგსს ეკუთვნოდა. 1930-იანი წლების დასაწყისში კოლექცია მოითვლიდა ძველი ოსტატების 2671 ნახატსა და 47 სურათს. აქ თავმოყრილი იყო რემბრანდტის, ალბრეჰტ დიურერის, ჰანს ჰოლბეინისა და შუა საუკუნეებისა და რენესანსის სხვა დიდი მხატვრების ნამუშევრები.

1920-იან წლებში კენიგსი ჰოლანდიაში გადაბარგდა, გერმანიაში მაშინ აგორებული ანტისემიტიზმის ტალღით შეშინებული. იქ კენიგსს ფინანსურმა კრიზისმა უწია, რის შედეგადაც კოლექცია ჰოლანდიის თვალსაჩინო მეწარმის დანიელ ვან ბეინინგენის ხელში გადავიდა. მისი შემდგომი ბედი, ისევე როგორ თვით კენიგსის ბედი, ტრაგიკული გამოდგა. კოლექციონერი 1941 წელს დაიღუპა გაურკვეველ გარემოებაში. გავიდა ორი წელი და ვან ბეინინგენმა კოლექცია ადოლფ ჰიტლერს მიჰყიდა, რომელმაც ლინცში მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნა ჩაიფიქრა...

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს კოლექცია ლინციდან მოსკოვში გაიტანეს. კრებულის უმეტესი ნაწილი ახლა პუშკინის მუზეუმში დევს. მოლაპარაკებები მისი დაბრუნების შესახებ რამდენიმე წელი გრძელდებოდა. კენიგსის სიმდიდრის კიევური ნაწილი მუზეუმის სათავსებში თითქმის 60 წელი ინახებოდა და საჯაროდ პირველად გამოფინეს. საკითხის ფინანსურ მხარეზე არაფერს ლაპარაკობენ — სურათების ღირებულების შეფასებები ერთობ მიახლოებულია.



◉ დრონი მეფობენ...

**როგორ ცხოვრობენ ახლა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ყოფილი კომუნისტური ლიდერების ოჯახები? მათი ბედი, უმეტეს შემთხვევაში, შესაშური არ ყოფილა — ჩაუშესკუს ვაჟი ალკოჰოლიზმის მსხვერპლი გახდა, ჰონეკერის შვილიშვილი განარკომანდა, ბედმა გაუღიმა მხოლოდ ჟივკოვის შვილიშვილს, რომელმაც შეძლო, გაეკეთებინა კარიერა მოდის სამყაროში.**

# ღმერთების დაისი

### 60 დოლარი ნაჯიბულას ცოლისთვის

**შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთის პროსაბჭოურად განწყობილი პრეზიდენტის ნაჯიბულას ოჯახს გაუმართლა. მოჯაჰედების მიერ ქაბულის აღებამდე მცირე ხნით ადრე პრეზიდენტმა მოასწრო ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად ბოლო თვითმფრინავით გაეგზავნა დელიში თავისი ცოლი — ფაიტან ჰაილანი, სამი ქალიშვილი და სიდედრი. თვით ნაჯიბულამ გაქცევა ველარ მოახერხა: თავი შეაფარა ქაბულში გაეროს მისიას, სადაც ოთხი წელი დაჰყო. 1992 წლის სექტემბერში, თალიბების მიერ ავღანეთის დედაქალაქის აღების შემდეგ, ნაჯიბულას ცემით ამოხადეს სული, მისი სხეული კი ქალაქის მთავარ მოედანზე გამოჰკიდეს. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიაბარეს მიწას სასტიკად ნაწამები ექს-პრეზიდენტის ცხედარი.**

... ნაჯიბულას ოჯახის სახლს დელის ლუტიენის უბანში უზარმაზარი გალავანი აქვს შემორტყმული. ყველგან დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტის ცოლი და ქალიშვილები სარგებლობენ „Z+" კატეგორიის დაცვით — ასეთი მხოლოდ პრემიერ-მინისტრს თუ აქვს: სახლს, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ორმოცდაათამდე კაცი იცავს.

ეს ამ ოჯახის უკვე მესამე სახლია. ისინი გამუდმებით იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. მანამდე დელის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, თუმცა ახლა გადაწყვიტეს, უფრო უსაფრთხო უბანში გადასახლებულიყვნენ, სადაც, ძირითადად, ინდოელი მინისტრებისა და მაღალი თანამდებობის სამხედროების ბინებია.

— ისინი, თითქოს ალყაშემორტყმულ სახლში ცხოვრობდნენ, — იხსენებს მადამ ნაჯიბულას ყოფილი მეზობელი სამხრეთ დელიში, მუჰამედ აჰმერი — უფრთხოდნენ თავდასხმებს — პირველი ორი წლის განმავლობაში, საერთოდ, არ გამოდიოდნენ ქუჩაში, საკვები მათთვის შინ მიჰქონდათ. ამის შემდეგაც ცდილობდნენ, არ მიეპყროთ ზედმეტი ყურადღება, გვიან საღამოს თუ გამოვიდოდნენ ერთი-ორჯერ სახლიდან. მოგვიანებით ბავშვებმა კოლეჯში დაიწყეს სიარული, თუმცა, სხვაგან არსად დადიოდნენ. ეტყობოდა, რომ უჭირდათ, რადგან თუ რაიმეს ყიდვას დააპირებდნენ, უკანასკნელ რუპიამდე ევაჭრებოდნენ გამყიდველს.

ინდოეთის მთავრობა ნაჯიბულას ოჯახის ყოველ წევრს დახმარების სახით თვეში 60 დოლარს უხდის. ბინა და დაცვა, აგრეთვე ბავშვების სწავლა უფასოა. ნაჯიბულას ერთ-ერთი ქალიშვილი შინ მუშაობს ინტერნეტ-პროექტებზე — ქმნის საიტებს, მეორე კი აქტიურად სწავლობს ინგლისურ ენას და სურს მუშაობის დაწყება... ამერიკის არმიაში.

— ნაჯიბულას ცოლს ავღანეთში დაბრუნება სწადია. თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ მან სამშობლოში ჩასვლის ნება ითხოვა ავღანეთის საელჩოში, მაგრამ იქ განუცხადეს, რომ ქაბულის აეროპორტში ჩასვლისთანავე მოკლავდნენ, რადგან მის ქმარს ავღანეთში ძალზე ბევრი მოსისხლე მტერი ჰყავს, — გვითხრეს გაზეთ „დელი ექსპრესის" რედაქციაში, — ეს ქალბატონი ძალზე განაწყენებულია რუსეთზე იმის გამო, რომ მათთვის არ მიუციათ თავშესაფარი მოსკოვში და არანაირი მატერიალური დახმარება არ გამოუყვიათ მაშინ, როცა მისი შვილები წლების განმავლობაში ძველმანებში დადიოდნენ და ხორციანი სადილი მხოლოდ დღესასწაულებზე თუ ჰქონდათ.



ანასტასია ფილატოვა-ცედენბალი.



პოლ პოტას ქალიშვილი და ცოლი. სურათი გადაღებულია 1998 წელს, როცა ისინი ჩაბარდნენ მთავრობის ჯარებს.

### პოლ პოტას ქალიშვილი დამლაგებლად მუშაობდა

**„ეს მგზნებარე რევოლუციონერია ილიჩის თვალებით. იგი კამბოჯას სოციალისტურ რევოლუციამდე მიიყვანს, თავის ხალხს კი — თავისუფლებამდე!" — სწორედ ასე წერდა გაზეთი „პრავდა" 1958 წელს პოლ პოტას შესახებ.**

მომავალმა ტირანმა რევოლუციური ბრძოლის წარმოებისათვის სსრ კავშირიდან მიიღო ასი ათასობით დოლარი, შექმნა თანამებრძოლთა რაზმები — „წითელი ქმერები". მაგრამ მოგვიანებით გადაწყვიტა, რომ მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ფულს მაოსგან მიიღებდა. 1975 წელს იგი ხელისუფლების სათავეში მოვიდა და ოთხი წლის განმავლობაში გაანადგურა ქვეყნის მოსახლეობის მესამედი. მისი რეჟიმი ვიეტნამის ჯარებმა დაამხეს, თუმცა პოლ პოტამ ჯუნგლებს შეაფარა თავი, საიდანაც თითქმის 12 წლის განმავლობაში განაგრძობდა ბრძოლას. ერთი ვერსიის მიხედვით, იგი 1998 წელს გარდაიცვალა კიბოთი, მეორე ვერსიით კი — პოლ პოტა დაახრჩო მისმა ერთ-ერთმა თანამებრძოლმა. სისხლისმსმელი დიქტატორის ბოლო ცოლს მეა სონსა და მათ 14 წლის ქალიშვილს, რომელიც ჯუნგლებში დაიბადა, ხელისუფლებამ ქვეყანაში ცხოვრებისა და თავისუფლად გადაადგილების ნება დართო. გოგონას თავდაპირველად ლაპარაკი არ შეეძლო, დამფრთხალი ნადირივით უყურებდა ადამიანებს, საწოლის ქვეშ იმალებოდა მატარებლის ხმაზე და თვითმფრინავის დანახვისას ისტერიკაში ვარდებოდა — ჯუნგლებში მას ასეთი რამ არასდროს ენახა. ყოველივე ამის გამო, გოგონას დედას მოუწია ეყიდა პატარა სახლი ტაილანდის საზღვრის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში, რათა ბავშვს მისთვის ჩვეულ ატმოსფეროში ეცხოვრა. მაგრამ იქაც მრავალი პრობლემა წარმოექმნათ — პოლ პოტას მმართველობის წლებში კამბოჯაში არ დარჩენილა თუნდაც ერთი ოჯახი, რომელთაც არ დაეკარგა ახლობელი. მეზობლები ხშირად ემუქრებოდნენ მოკვლით მეა სონს — მან გაყიდა სახლი და სხვა მიყრუებულ ადგილზე გადასახლდა. აქაც მუქარით აღსავსე ბარათი მიიღო. მეა სონმა დახმარებისათვის მთავრობას მიმართა. მას გამოუყვეს ბინა დედაქალაქში, მაგრამ პენსიის გადახდაზე უარი განუცხადეს. დედა-შვილი თითქმის შიმშილობდა — ზოგჯერ თავი იმით გაჰქონდათ, რომ ვახშმად ხოჭოებს ჭამდნენ.

როცა სიტი წამოიზარდა, სცადა სამუშაო ეშოვნა, მაგრამ ყველგან უარით გამოისტუმრეს — არავის სურდა მიეცა სამუშაო ადგილი სისხლისმსმელი ტირანის ქალიშვილისთვის.

გოგონა ძალზე მოხარული იყო, როცა მუშაობა დაიწყო დამლაგებლად და თვეში 8 დოლარს იღებდა, თუმცა, მალე აქედანაც დაითხოვეს. მაშინ სიტმა ბანკიდან აიღო სესხი და დედასთან ერთად გახსნა პატარა ტურისტული სააგენტო. კამბოჯაში ტურისტული ბუმის გამო პოლ გოტას მემკვიდრის ბიზნესი წარმატებული გამოდგა — ახლა იგი ფიქრობს სააგენტოების მთელი ქსელის გახსნაზე.



იზაბელ ალიენდე.

### ალიენდეს ოჯახი კვლავ ხელისუფლებაშია

**1973 წლის 11 სექტემბერს პინოჩეტის მიერ განხორციელებული პუტჩისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის ფავორიტის — ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს დაღუპვის შემდეგ, რომელიც ავტომატით იცავდა თავის კაბინეტს, მისი ოჯახის წევრებს — ცოლსა და ორ ქალიშვილს — ცეცხლმოდებული სასახლიდან გამოსვლის ნება დართეს.**

პინოჩეტი განრისხებული იყო თავისი ჯარისკაცების დაღუპვის გამო და სურდა, რომ ქალები ალიენდესთან ერთად ამოეხოცათ. საწამ ისინი შინაპატიმრობაში ჰყავდათ, პირადი მცველები ერთობოდნენ იმით, რომ, როგორც ალიენდეს ერთ-ერთი ქალიშვილი ბეატრისი აღნიშნავს, სახეში აფურთხებდნენ გოგონებს. ერთი წლის განმავლობაში მოკლული პრეზიდენტის ყველა ნათესავი გაასახლეს ქვეყნიდან. ნაწილი — კუბაში, ნაწილიც — ვენესუელაში. ალიენდეს დევნილი ცოლი შეურიგდა პრეზიდენტის საყვარელს მირიამ კონტრერასს: ისინი საუკეთესო მეგობრები გახდნენ, ერთად დადიოდნენ პლაჟზე და ეკლესიაში. ალიენდეს საყვარელი, საერთოდ, საკმაოდ ექსპანსიური ადამიანი იყო — იგი გაანაწყენა იმან, რომ სსრ კავშირის ხელისუფლებას არ გამოუთქვამს მისთვის სამძიმარი პრეზიდენტის დაღუპვის გამო, და გულმოსულმა მირიამმა დიდი სკანდალი მოაწყო საბჭოთა კავშირის ჰავანის საელჩოში, უკანასკნელი სიტყვებით აგინა ელჩს. ალიენდეს ოჯახმა უარი თქვა სსრ კავშირში ან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრებაზე — კუბის კლიმატი მათთვის უფრო შესაფერისი გამოდგა. და, მართალია, ფიდელ კასტრო სტუმრებს მეფურ პირობებში ამყოფებდა, ალიენდეს ქალიშვილებს მაინც დაეუფლათ დეპრესია და რომს მიეძალნენ. ბოლოს, ბეატრისმა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ნარკოტიკებსაც მოიხმარდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იზაბელი საცხოვრებლად გადავიდა ესპანეთში, სადაც სურათებს ხატავდა, 1990 წლის შემდეგ კი დაბრუნდა ჩილეში და დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა სოციალისტური პარტიის რიგებში. მიაღწია იმას, რომ მამამისს დაუდგეს ძეგლი. 2003 წელს იზაბელი აირჩიეს ჩილეს პარლამენტის თავმჯდომარედ, ბოროტი ენები კი ხუმრობდნენ, რომ წესით, ახლა იგი უნდა დაამხოს პინოჩეტის ქალიშვილმა ლუიზამ.

**გიორგი ზოტოვი.**
**„არგუმენტი ი ფაქტი".**

## სხვათა შორის

**ეთიოპიის პრეზიდენტი, ეთიოპიის ყოფილი დიქტატორი, პოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი, რომელსაც თავის დროზე გულში იკრავდნენ კრემლში როგორც ბრეჟნევი, ისე გორბაჩოვიც, 1991 წლის შემდეგ ოჯახთან ერთად გაიქცა ზიმბაბვეში, სადაც ეთიოპიიდან გატაცებული მილიონებით ფუფუნებაში ცხოვრობს.**

**ეროვნებით რუსი ანასტასია ფილატოვა — იგი მარშალ ცედენბალის ცოლი იყო, რომელიც მონღოლეთს 44 წლის განმავლობაში მართავდა, გარდაიცვალა მოსკოვში 2001 წელს, მას მიზერული პენსია ჰქონდა და ლუკმა-პურის საშოვნელად იძულებული იყო, სახლიდან გაეყიდა ნივთები. ცედენბალის ვაჟი — ვიაჩესლავი მოსკოვში ცხოვრობს. მის შესახებ უკანასკნელად წერდნენ რუსეთში არსებული კრიზისის დროს, როცა ვიაჩესლავმა დაკარგა სამუშაო. მეორე ვაჟი კი თავის ბურიატ ცოლთან ერთად მონღოლეთში დაბრუნდა.**

**მოსკოვში ცხოვრობს ასევე ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტის ბაბრაქ ქარმალის ოჯახი. მისმა ვაჟმა დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტი და ბიზნესს მიჰყო ხელი.**

**ლეგენდარული პარტიზანის ერნესტო ჩე გევარას ქალიშვილი — ალეიდა გევარა კუბაში ცხოვრობს, სადაც ხელმძღვანელობს ბავშვთა პოლიკლინიკას და კურირებს „ჩერნობილის ბავშვების დახმარების პროგრამას".**



კუბელი რევოლუციონერის ქალიშვილი ალეიდა გევარა.

◉ ამერიკული სალდო

# რა ჯდება ცხოვრება ოკეანესგაღმა?

**რას მოიმოქმედებს თითოეული ჩვენგანი, თუ მეზობელი, ვთქვათ, ერთი მეტრით გადმოწევს ღობეს, თანაც გადმოწევს დაუკითხავად და თავხედურად? რა თქმა უნდა, ამას არ შევარჩენთ და იქნებ სახეც კი დავულილაოთ, თუ შეგვეძლება. არ შევარჩენთ იმიტომ, რომ ვიცით: ვერც სასამართლოში, ვერც მილიციაში ვერ მივაღწევთ სამართალს.**

როგორ იქცევა ასეთ შემთხვევაში ამერიკელი? იგი მეზობელს სასამართლოში უჩივლებს და სწორადაც მოიქცევა, რადგან იცის, რომ თავხედთან თუ მუშტი-კრივით ეცდება საქმის მოგვარებას, ამისთვის მკაცრად მოთხოვენ პასუხს, სასამართლოში კი საქმის მოგების ყველა შანსი ექნება. მის საქმეს გაარჩევს მცირე სარჩელების სასამართლო, რომელიც არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში დანიშნავს მოსმენას.

ასეთ სასამართლოებზე ადვოკატს დასწრების უფლება არა აქვს და ესეც, ჩემი აზრით, სწორია, რადგან ყველას როდი აქვს ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა, სამაგიეროდ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია უფასოდ მიიღოს კონსულტაცია სასამართლო იურისკონსულტისაგან. მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელსაც იგი იმავე დღეს იღებს, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ჩვენში, ალბათ, მრავალ თვალდალილავებულს შეშურდება ამერიკელების. თუმცა, თუ კარგად ჩავწვდებით საქმეს, მივხვდებით, რომ ამერიკელები თვითნებობისა და ძალადობისაგან დაცული კი არიან, მაგრამ აბსოლუტურად დაუცველი არიან დავაქრობისა და მოდავეებისაგან, რომელმაც პირდაპირ წალეკეს მთელი ქვეყანა. იმან, რომ სამართლებრივი დაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომია, წარმოქმნა მეორე სერიოზული პრობლემა: ამერიკელები ერთმანეთს უჩივიან სასამართლოში ყოველი წვრილმანის გამო. მაგრამ, როგორც იტყვიან, ნეტა ჩვენ გვქონდეს მათი პრობლემები.

ექიმები! ამ მხრივ, ამერიკაში თითქოს ყველაფერი მოგვარებულია: იყიდით სადაზღვევო პოლისს (ახალგაზრდები 150 დოლარად, მოხუცები კი ორჯერ უფრო ძვირად) და ავად თუ გახდებით, ამ სადაზღვევო ფურცლით იმკურნალებთ. თუ ავად არ გახდით – ჩათვალეთ, რომ ჭირი მოგჭამათ თქვენმა ფულმა, მაგრამ არც ეს არის დიდი ტრაგედია. მომუშავე ამერიკელთა უმრავლესობისათვის, მათი ოჯახებისთვის სამედიცინო დახმარება, მართალია, ძვირი ჯდება, მაგრამ იმდენი არა, რომ ამას ვერ გასწვდეს მათი ბიუჯეტი. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ხარჯებს ან მათ ნაწილს მაინც გაიღებს დამსაქმებელი. პენსიონერის მკურნალობა კი, საერთოდ, სოციალურ პაკეტში შედის. ახლა რაც შეეხება იმათ, ვინც იღებს დახმარებას სიღარიბის გამო და არ მუშაობს – მათ ნაცვლად სამედიცინო დაზღვევის ფულს სახელმწიფო გაიღებს. თუმცა ცუდია, როცა ამერიკაში მუშაობ, მაგრამ ბევრს არ იღებ – მაგალითად, ასე 1500 დოლარს თვეში. ამ შემთხვევაში ადამიანი, როგორც იტყვიან, ამოვარდნილია სოციალური დაცვის უჯრედიდან. დაზღვევა მისთვის ხელმიუწვდომელი ფუფუნებაა, სახელმწიფო დახმარება კი არ ეკუთვნის, რადგან მუშაობს. ამ შემთხვევაში მარტო იმის გაფიქრებაც კი მოჰგვრის ასეთ ადამიანს შიშს, რომ სადაზღვევო პოლისის გარეშე ექიმთან ვიზიტი დაახლოებით 100 დოლარი დაჯდება. არადა, მთელი ამერიკის მასშტაბით ასეთი თითქმის 30 მილიონი კაცია. თუმცა დანარჩენები – 260 მილიონი – მართალია, ბოლომდე მაინც არ არიან ბედით კმაყოფილი, მაგრამ ყოველივე იმას, რაც მედიცინისგან სჭირდებათ, იღებენ.

საქმე არსად გაიქცევა, მაგრამ ამერიკელებისათვის უმთავრესი საზრუნავი მაინც სამუშაოა. კარგი განათლების მქონე ადამიანებისათვის სამუშაოს პოვნა ძნელი არ არის. ჩვეულებრივ, ხელფასი თვეში საშუალოდ 3000–6000 დოლარია. გაცილებით უფრო უჭირთ იმათ, ვისაც არა აქვს უმაღლესი განათლება, ყოველწლიურად შრომის ბაზარი ასეთი პირებისათვის სულ უფრო მცირდება. დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები იშვიათად თუ შეძლებენ თვეში



2500 დოლარზე მეტის გამომუშავებას. იმ პირებს კი, რომლებსაც ვერ უშოვიათ სამუშაო, შეიძლება ჰქონდეთ სოციალური პაკეტის იმედი – 600 დოლარი, მუნიციპალური საცხოვრებელი, უფასო სამედიცინო მომსახურება. ერთი შეხედვით, საქმე ცუდად არ უნდა იყოს, მაგრამ მთელი უბედურებაა ის, რომ ასეთმა სოციალურმა დაცულობამ წარმოქმნა უკვე მეორე და მესამე თაობის პროფესიონალი უსაქმურების ნამდვილი კლასი. ბავშვი ხედავს, თუ როგორ ცხოვრობენ მისი მშობლები, ბებია, ბაბუა, მეზობლები. და ფიქრობს, რომ არც მან მოიკლას თავი მუშაობით.

მათი სახლი. თუ აქვს სამუშაო და არ უჩივის ჯანმრთელობას, არც სასამართლო მოხელეები აწუხებენ, ნორმალური ამერიკელი, რა თქმა უნდა, ოცნებობს საკუთარ სახლზე. ნუ იქნება სახლი, იყოს მხოლოდ ბინა, მაგრამ, აუცილებლად – საკუთარი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი ბინის ქირის გადახდას. ამერიკელთა უმრავლესობისათვის ამ ოცნების ასრულება შესაძლებელია, რისთვისაც ყოველთვიურად იხდის ფულს ბანკი, რომელიც ასეთი გზით აბრუნებს უკან საიპოთეკო კრედიტს. ბოლო წლების განმავლობაში ეს თანხა, შეიძლება ითქვას, სასაცილო იყო – წლიური შემოსავლის მხოლოდ 4-5 პროცენტი. პატარ-პატარა ქალაქებში, სადაც ბინები ძვირი არ ღირს, ასეთმა გადასახადმა, შესაძლოა 500 დოლარი შეადგინოს, მდიდრულ სან-ფრანცისკოში კი კრედიტის მიხედვით ყოველთვიური გადასახადი 1500 დოლარს აღემატება, თანაც ეს მხოლოდ საკმაოდ მოკრძალებული ბინისთვის თუ იკმარებს. ბევრია ეს თუ ცოტა? თავად განსაჯეთ: საბინაო საკითხი ამერიკაში ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ გადაწყვიტეს.

**ჯამში.** ვისაც ახსოვს არითმეტიკა, ადვილად შეკრებს ამ ციფრებს, დაუმატებს მათ ყოველთვიურ 300 დოლარს, რომელიც აუცილებელია ბავშვის განათლებისათვის, სასურველია, კიდევ ამდენივე გადაიდოს მომავალი პენსიისთვის, გარდა ამისა, 200-300 დოლარი ავტომობილის შესაძენად გამოყოფილი კრედიტის დასაფარავად. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს გადასახადი ხელფასის 20-40 პროცენტის ფარგლებში.

ახლა, რაც შეეხება შემოსავალს: ხელფასის გარდა, ეს შეიძლება იყოს დივიდენდები აქციებისგან, რომელთა მფლობელები საკმაოდ ხელმოკლე ადამიანებიც კი არიან. გარდა ამისა, ამას ემატება მცირე ბიზნესი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ოჯახის საშუალო წლიური შემოსავალი 42 ათასი დოლარია.

შინ ჯდომისას ამერიკელები ყოველთვის პოულობენ რაღაც ნაკლს თავიანთ ცხოვრებაში. მაგრამ, თუ მოხვდებიან საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, რომელთა ცხოვრების დონე პორტუგალიაზე დაბალია, შინ დიდი კმაყოფილების გრძნობით ბრუნდებიან. რა ბედნიერები ვართ, რომ ვცხოვრობთ ამერიკაში და არა სადღაც სხვაგან.

**მიხეილ ტარატუტა.**
**„ოგონიოკი“,**
**2004 წლის 5-11 ივლისი.**

◉ ყველაფერი ყველაფერზე

# გუდინის გამოაშკარავება

ვისკონსინის შტატის ქალაქ ეპლტონის მუზეუმი აპირებს დიდი ჰარი გუდინის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ტრიუკის, „მეტამორფოზების“, საიდუმლოს გამჟღავნებას. ამ შოუს მსვლელობისას ბორკილებით შებოჭილი, ტომარაში მოთავსებული და ხის ყუთში ჩაკეტილი ილუზიონისტი რაღაცნაირად უცვლიდა ადგილს არენაზე დაყენებული ყუთის გვერდით მდგომ ასისტენტ ქალს.

მუზეუმის გადაწყვეტილებამ ზოგიერთი მეფოკუსე გააააფთრა. უკმაყოფილოთა რიცხვში არიან მსოფლიო მასშტაბის ისეთი ვარსკვლავები, როგორიც დევიდ კოპერფილდი და დუეტად მომუშავე პენი და ტელერია. მუზეუმის კურატორს კიმბერლი ლუჯის კი თავისი არგუმენტები აქვს: „არა მგონია, თითქოს რაიმეს გამხელა გამოგვდიოდეს, იმიტომ, რომ ასეთი ინფორმაციის მოძებნა ისედაც შეიძლება, როცა ადამიანებს ვუამბობთ იმაზე, თუ როგორ კეთდება ტრიუკები, ამით მათ უფრო ღრმად გავაგებინებთ, გუდინი ვინც იყო“.

დიდი ილუზიონისტი კი იყო ის, ვინც მთელი სიცოცხლე ფიზიკური ვარჯიშებით სიქას აცლიდა საკუთარ სხეულს, ისეთი ვარჯიშებით, რომელთა შესრულება, ალბათ, მხოლოდ იოგებს ემარჯვებოდათ. გუდინი დღეებს ალამებდა ათასგვარი კვანძის შეკვრასა თუ გახსნაში, ისეთი საკეტების გაღებაში, როგორიც ბანკის სეიფებსაც შეშურდებოდა...

## ორშაბათი
### 26 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 15.20 სერიალი "**რვაფეხა**" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.05 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 17.25 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**ხუმრობა იქით იყოს**" 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**სოლედადი**" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "**ფხიზელი ძილი**"

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი "**ეშმაკუნა**" (U) 21.00 დოკ. ფილმი "მითიური რაინდები" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი "**უსაფრთხოების ზომები**" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05 კურიერი 12.20 დისკავერი 13.20 მხ. ფილმი "**პიკის საათი-2**" (U) 15.25 სერიალი "**სასწრაფო**" 16.30 სერიალი "**მაშველები**" 17.25 პერეკრესტოკი 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**უკვდავი**" 23.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**". 00.00 მხ. ფილმი "**მეოცნებენი**".

18.00 მინისერიალი "**პედიატრები**" 1-ლი ს. 19.50 დოკ. ფილმი 21.00 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი "**ვანდომის მოედანი**" (15)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 17.20, 01.40 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი "**რელიკვიების მაძიებელი**" 10.10 თათმაში "უდაბნოს სამჭედლოები" 11.25, 01.10 ტვ-მარკეტი 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.15 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი**" 15.15 მხ. ფილმი "**24 საათი ქალის ცხოვრებიდან**" (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.50 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 19.35 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება**" 21.30 "ვაკაჭინიუსი" 23.00 სპ. პროგრამა "გოლი" 23.30 მხ. ფილმი "**ლამაზმანი მოსახვევში**"

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.10, 20.50 მინისერიალი "**მძინარე ველდაბლობის ლეგენდა**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "**კონან დოილის ქრონიკები**" 13.10 მხ. ფილმი "**თოჯინა**" 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.10 სერიალი "**ფიფქია**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 22.45 "მზერა დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**ტყუპების ეფექტი**"

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი "**მილედი**" 20-21 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო"

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**რობინ ჰუდი**" (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**მე სამებას მეძახიან**" (ტერენს ჰილი) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "**საჭირო ხალხი**" 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "**ჰონკონგის ლეგენდები**"

08.30, 01.35 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 მულტფილმი "ტექს-ავერი" 10.10 მუსიკა 10.30 სათავგადასავლო ფილმი "**უცხოპლანეტელი**" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია "**პლუტო ნეში**" 14.20 მუსიკა 14.25 თრილერი "**ლეონი**" 16.45 მულტფილმი "ლილო და სტიჩი" 18.20, 03.55 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 კომედია "**თავდავიწყებული სიყვარული**" 21.00 მხ. ფილმი "**უფროხილდი ავტომობილს**" 23.00 მხ. ფილმი "**ინგლისელი პაციენტი**" 02.00 ფილმი-ფანტასტიკა "**მთიელი**" 04.15 თრილერი "**პირადი მცველი ქალიშვილისთვის**"

## სამშაბათი
### 27 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი "**რვაფეხა**" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 "ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**ხუმრობა იქით იყოს**" 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**სოლედადი**" 22.00 სერიალი "**ფსიქფაქტორი**" (12) 22.25 "მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "**ხელი არ ახლო თეთრ ქალს**" (15)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი "**ეშმაკუნა**"(U) 21.00 "პალიტრა" 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი "**სახიფათო პროფესია**" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 სერიალი "**უკვდავი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი "**შინაბერა**" (U) 15.25 სერიალი "**სასწრაფო**" 16.30 სერიალი "**ალფი**" 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**". 00.00 მხ. ფილმი "**მტერი ჩემი**".

18.00 მინისერიალი "**პედიატრები**" მე-2ს. 19.30 ველორბოლა 20.20 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი "**ჰუსარი სახურავზე**" (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 16.45, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი "**რელიკვიების მაძიებელი**" 10.10 სერიალი "**ტყუპები**" 11.30 სპ. პროგრამა "გოლი" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30, 01.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება**" 15.15 მხ. ფილმი "**ლამაზმანი მოსახვევში**" (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 19.35 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება**" 21.30 ლარის მახე 23.00 "ერთხელ ჰოლივუდში" 23.30 მხ. ფილმი "**გლობალური მუქარა**"

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 მინისერიალი "**მძინარე ველდაბლობის ლეგენდა**" 12.10 დეტ. სერიალი "**კონან დოილის ქრონიკები**" 13.10 მხ. ფილმი "**პარკში ფეხშიშველი**" 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "**ფიფქია**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.50 მინისერიალი "**მოგზაურობა დედამიწის გულში**" 21.45 დეტ. სერიალი "**მკაცრი დროება**" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**ლაურელის კანიონი**"

13.00 მუსიკა 16.00 "საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "**მილედი**" 21-22 ს. 19.20, 21.00 სპექტრი

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო"

10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**საჭირო ხალხი**" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**გულები ატლანტიდაში**" (ე. ჰოპკინსი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "**აის ვენტურა**" 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "**საათები**"

08.30, 01.15 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 მულტფილმი "ჯონის დიდი იდეები" 10.25 სათავგადასავლო ფილმი "**ადამიანი რკინის ნიღაბით**" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია "**არ გაუშვა მხედველობიდან**" 14.20 ისტორიული ფილმი "**პირველი რაინდი**" 16.45 მულტფილმი ჰერკულესი 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 კომედია "**გურუ**" 21.00 თრილერი "**მაგარი ბიჭები**" 23.00 მხ. ფილმი "**ფავორიტი**" 01.35 თრილერი "**სიმპატიკო**" 03.20, 05.35 მუსიკა 03.50 ფილმი-ფანტასტიკა "**შესაძლებელია**"

## ოთხშაბათი
### 28 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობანი"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "პოპ-არტი და კომპანი" 15.20 სერიალი **"რვაფეხა"** 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.30 "მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"ხუმრობა იქით იყოს"** 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი **"შავი წერტილი"**

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"** 21.00 დოკ. ფილმი "ზამთრის ფანტაზიები" 22.00 მხ. ფილმები **"ინსპექტორი ლავარდენი"**

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"მოუხელთებელი შურისმაძიებლები"** (U) 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 სერიალი **"საპარას საიდუმლო"** 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ არა?"**

18.00 მინისერიალი **"პედიატრები"** მე-3ს. 19.50 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი **"ექსტრაორდინალური ისტორიები"**

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი"** 10.10 სერიალი **"ტყუპები"** 11.05 "X-კლუზივი" 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.25, 01.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება"** 15.15 მხ. ფილმი **"გლობალური მუქარა"** (U) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი **"ტყუპები"** 19.35 სერიალი **"კლონი"** 20.30 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება"** 21.30 "პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი **"ბეოვულფი"**

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი **"მოგზაურობა დედამიწის გულში"** 12.10, 21.45 დეტ. სერიალი **"მკაცრი დროება"** 13.10 მხ. ფილმი **"მზის ცრემლები"** (U) (ბრუს უილისი) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი **"მარტორქის მოგზაურობა"** 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"ძმა"**

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი **"მილედი"** 22-23 ს. 19.20, 21.00 სპექტრი

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"ეის ვენტურა"** (U) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი **"როგორ გახდე პრინცესა"** (ჯული ჰ ენდრიუსი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გან.) 20.00 მხ. ფილმი **"სიყვარულის ისტორია"** (ჟან რენო) (U) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "0"

08.30, 01.15 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 მულტფილმი "პრინცი ჰოგონი და პრინცესა რანრანი" 10.15 ფანტასტიკა **"მეათე სამეფო"** 11.40 მუსიკა 11.50 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია **"თავქარიანები"** 14.05, 03.50 მუსიკა 14.30 დრამა **"გიგლი"** 16.45 მულტსერიალი 17.00 მელოდრამა **"გზაჯვარედინები"** 18.30 საინფორმაიო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 თრილერი **"გოთიკა"** 21.00 კომედია **"ცის კარიბჭემდე მიღწევა"** 23.00 დრამა **"სასტიკი რომანსი"** 01.35 ვესთერნი **"ომი ველურ დასავლეთში"** 04.05 კომედია **"ადაპტაცია"**

## ხუთშაბათი
### 29 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობანი"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "ბოტერო" 15.20 სერიალი **"რვაფეხა"** 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 17.30 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"ხუმრობა იქით იყოს"** 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 სერიალი **"ფსიქფაქტორი"** (12) 22.25 "მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი **"ათასი მილიარდი დოლარი"**

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"** 21.00 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" 22.00 მხ. ფილმი **"რემბო-3"**

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 სერიალი **"საპარის საიდუმლო"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"საით მივ-ყავართ ოცნებებს"** (U) 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 სერიალი **"საპარას საიდუმლო"** 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"დაიცავი სიცოცხლე"**.

18.00 მინისერიალი **"პედიატრები"** 19.50 დოკ. ფილმი 21.20 მხ. ფილმი **"მგლების საქმე"**

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 01.30 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი"** 10.10 სერიალი **"ტყუპები"** 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.25, 01.00 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება"** 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.40 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი **"ბეოვულფი"** 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი **"ტყუპები"** 19.35 "მულამები" 20.00 **ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი)-"ბატე"(ბორისოვი). შესვენებისას "ქრონიკა". 23.00 მხ. ფილმი **"მძიმე ფული"**

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი **"მოგზაურობა დედამიწის გულში"** 12.10, 21.45 დეტ. სერიალი **"მკაცრი დროება"** 13.10 მხ. ფილმი **"შანჰაის რაინდები"** (ჯეკი ჩანი) (U) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი **"მარტორქის მოგზაურობა"** 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"უკუსვლა"**

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი **"მილედი"** 23-24 ს. 19.20, 21.00 სპექტრი

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"სიყვარულის ისტორია"** (U) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი **"მისტერ ბინი"** (რ. ატკინსონი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გან.) 20.00 მხ. ფილმი **"მანიტუს მოკასინები"** (U) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 22.45 ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი **"შიში და სიძულვილი ლას – ვეგასში"**

08.30, 01.20 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 მულტფილმი 10.15 ფანტასტიკა **"მეათე სამეფო-2"** 11.40 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია **"თავქარიანები"** 14.05 მუსიკა 14.15 ვესთერნი **"ომი ველურ დასავლეთში"** 16.45 მულტფილმი "მილიონერი ძაღლები" 18.05 დოკუმენტური ფილმი 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 მისტიკური თრილერი **"წინასწარმეტყველება"** 21.00 კომედია **"გაანალიზე ის!"** 23.00 "ექსკლუზივი" 23.40 დრამა **"ქარაფშუტობა"** 01.45 კომედია **"ტკბილ-მწარე სიყვარული"** 03.30, 05.45 მუსიკა 04.00 თრილერი **"მეექვსე გრძნობა"**

**◎ კინოკოლორიტები**

# გურამი

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა ჩემი ახალი ლიტერატურული ნაწარმოები – „მგლებიც ტირიან". მეოთხე ნაწილში – „მოპარული სიზმარი", კოლორიტული პერსონაჟი შემოდის – სოფლის უბნის ინსპექტორი თარიმანა.

როგორი კაცია თარიმანა ინსპექტორი?

თვალებს ვხუჭავ, და როგორც დამულამებული წესი, ტიპაჟს სახიერად ფიქრებში წარმოვიდგენ, პროტოტიპს ჩემს ახლობლებში ვეძებ. როცა მივაგნებ, გმირის ხასიათიც იხვეწება.

თარიმანა ინსპექტორის პროტოტიპი ჩემი მეგობარი გურამ სარაჯიშვილი ბრძანდება.

გურამი ტელეფილმების სტუდიის ყოფილი კინოოპერატორია.

„ყოფილი რათა"? – თვალებს მიბრიალებს გურამი.

ვეუბნები:

„ყოფილი ხარ, მაშ რა ხარ, და შენი სტუდიაც ყოფილია. ფილმებს აღარ იღებთ, წარმოება აღარ მუშაობს, ესე იგი, აღარ არსებობს და, ოპერატორი ვის რაში სჭირდება?"

„შენზე თქვი რამე, შენ ხომ სჭირდები ვინმეს?!"

„მეც ყოფილი ვარ, ჩემო გურამ, მეც აღარავის ვჭირდები. „ქართული ფილმის" საშტატო ერთეულში კი ვირიცხები, მაგრამ ვის უნდა, თხუთმეტი წელიწადია ჩვენი სტუდიებიანად არც ერთ მთავრობასა და ხელისუფლებას არ გავხსენებივართ, ჯერ ჩვენთვის ვერავინ მოიცალა".

ჩემი თარიმანა ინსპექტორი გურამივით მსხვილი, გულიანი კაცია, ღვინისგან შეფაკლული ღაწვები ერთთავად ლალისფრად ულაქლაქებს.

თარიმანა ინსპექტორი იღლიაში ამოჩრილი საქაღალდეთი და საბარგულიანი სამთვლიანი მოტოციკლეტით დადის აღმა და დაღმა, ამ ატრიბუტების გარეშე ვერც ერთ ეპიზოდში ვერ წარმოვიდგენ.

გურამ სარაჯიშვილი კი – განუყრელი კინოკამერით უნდა წარმოიდგინოთ, თუმცა რამდენჯერმე კადრშიც მოაყოლეს, ხშირად ღვინის სმის მოყვარულ ჯიუტ, კეთილ კახელ კაცს თამაშობდა, და რაღა თუმცა, ორჯერ მთავარ როლშიც კი გადაიღეს.

„რეჟისორმა გივი ვეფხვაძემ გადამიღო ფილმში „კეთილი კაცი", – ამაყად ამბობს გურამი და სხვასაც დასძენს: – ჩემი მეგობარი რეზო გამცემლიძე ორსერიან ფილმს იღებდა, „მეწისქვილე" ერქვა ამ ფილმს. მთავარი როლი მომცა. გულიანი კაცი იყო რეზო გამცემლიძე, კარგი ფილმიც გამოდიოდა, მაგრამ სტუდიაში სხვანაირად დატრიალდა ამ ფილმის საქმე, ახლა ნურაფერს მკითხავ, დაწვრილებით სხვა დროს მოგიყვები, – მეუბნება გურამი და პაუზის შემდეგ სიტყვას აგრძელებს: – რეჟისორმა გივი ვეფხვაძემ გადამიღო ფილმში „კეთილი კაცი". შენა ლამაზი შუბლი გაქვსო, დამახურა კახური ქუდი, ხელში სახრე დამაჭერინა და გადამიღო".

„თან ფილმს იღებდით, თან კახურ ღვინოს წრუპავდით, არა?!"

„საძრახისია, კახელ კაცს ღვინო მიყვარდეს?" – ჯიუტად მემიზეზება გურამი.

„მე ეგ არ მითქვამს. გურამ. სარაჯიშვილი კი უნდა სვამდეს ღვინოს, მაგრამ კარგ ღვინოს".

„უნდა მღეროდეს კიდეც".

„რასაკვირველია, უნდა მღეროდეს".

„კარგ სიმღერას უნდა მღეროდეს".

„კარგ „სუფრულს" უნდა მღეროდეს".

„კარგი ღვინო მაქვს".

„არა. ვერ დავლევ".

„რას ვერ დავლევო"...

„ღვინოს".

„შენმა მზემ, ისე უარობ, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყო, სასმელი გემოთი არ გაგისინჯავს".

„გურამ, ახლა ნაღდად ვერ დავლევ, შეუძლოდ ვარ".

„მაგას უარზე გატყობ".

„სხვა დროს იყოს, რა?!"

„კაცო, რომელ სხვა დროზე მელაპარაკები, მუდამ ჩემთან ხომ არ აპირებ ყოფნას? მოსულხარ, მაშ ცოლ-შვილი არ ვადღეგრძელოთ, მშობლები არ მოვიგონოთ?"

„გაიგე, ადამიანო, ვერ დავლევ-მეთქი".

„შენა დალაგებული ხომ არა ხარ, განა ეგეთ ღვინოს სხვასთანაც დალევ?!"

ღიმილი მერევა და გურამს სიტყვაზე ავღევ:

„დალაგებული რომ ვიყო, აქ კი არ ვიქნებოდი?"

„სად იქნებოდი, ნეტა?"

„პარლამენტში, ჩემო ბატონო, პარლამენტში".

„ჰოდა, მეც მანდ არა ვარ, შე აშენებულო, შენა?! პარლამენტში მერხებზე ყვინთვას, ჩემთან ღვინის სმა არ გირჩევნია?!"

„კი, მირჩევნია, მაგრამა..."

„რაღა მაგრამა, გირჩევნია და, სულნათელ დედაჩემს თითო ჭიქა გადავუქციოთ".

„კარგი, თითქო ჭიქას ჯანიც გავარდეს".

გურამს დედა ორი წლის წინათ გარდაეცვალა.

ასაკოვანი კეთილი ქალბატონი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მშვიდად განელტვო იმ გრძელ ქვეყანაში.

და გურამიც, სამოცს გადაცილებული ჭაღარა კაცი, ბავშვივით ტიროდა მაშინ, ცხოვრებაში პირველად, ალბათ.

„მე უკვე თხუთმეტი წელია დედა აღარა მაქვს", – ვეუბნები გურამს.

„მერე, დედის სიკვდილს როგორ შეხვდი, ადვილი იყო?"

„ჩვეულებრივ".

„როგორ თუ ჩვეულებრივ?"

„ისე, როგორც მამზადებდა".

„გადამრევს ეს კაცი, განა?! როგორ თუ გამზადებდა?"

„ეგრე. გუშინდელმა დღემ ორთქლმავალივით ჩაგვიქროლა, დღევანდელი დღეც სიზმარივით მიიპარება, არავინ ვიცით – ხვალინდელი დღე რას გვიბოძებს, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. მე თუ მოვკვდი და თან ჩამომყევი, შენს ცოლ-შვილს ვინღა მიხედავსო?" – ავადმყოფობა რომ გაუუარესდა, ხშირად მეუბნებოდა ამას.

„რისთვის უნდა იყოო მზად?"



„გარდუვალისთვის, და ყველაფრისთვის..."

„მხედველობაში რა ჰქონდა-მეთქი?"

„სიკვდილი".

„სიკვდილი?"

„ჰო, სიკვდილი. რათ გაიკვირვე?"

„არა... არ გავიკვირვე. კიდევ რას გეუბნებოდა?"

„მარიგებდა, ღრუბლებზე ფრენას შეეშვი, დროზე დაეშვი ხმელეთზე, თორემ ერთხელაც იქნება, ისე დაენარცხები ამ დედამიწას, ფეხზე ადგომა გაგჭირდება. ცხოვრებას თვალებში უყურე და ისე იცხოვრე, თორემ ისეთი დროება მოდის, ლუკმას პირიდან გამოგაცლიან, და არჩინე მერე ოჯახიო. ეგრეც წამივიდა საქმე".

„ჭკვიანი დედა გყოლია".

„ყველა დედა ჭკვიანია და შვილებისთვის კეთილგონიერი".

„მანდ რაებს იწერ?"

„ჩემთვის ვინიშნავ".

„ბიჭო, გაზეთში არ გამწერო, ვეღარც გადამირჩები".

„მემუქრები?"

„მუქარა ცოტა იქნება, ქვევრში ჩაგაღრჩობ".

„მომერევი?"

„გგონია გამექცევი!"

„არ მითხრა, დაგეწევიო".

„ვნახავთ, თუ ვერა".

გურამმა კარადიდან ფოტოსურათებით სავსე პარკი გამოიღო, მაგიდაზე წამოცალა.

ფოტოებს ერთად ვათვალიერებთ.

სურათებში ათწლეულების მანძილზე განვლილი მთელი ცხოვრებაა ჩარჩენილი.

ვათვალიერებ, ვსაუბროთ, ვიხსენებთ.

რამდენი საერთო მეგობარი გვყოლია თურმე.

საათს ვუყურებ:

ექვსი შესრულებულა უკვე.

გურამს ვემშვიდობები.

სახლამდე ერთსაათიანი გზა მაქვს გასავლელი.

ერთი ქალაქის თავში ვცხოვრობთ, მეორე – ბოლოში.

არავინ მკითხოს, ახლა, რომელია თავი და რომელი კიდევ ბოლოო.

გააჩნია, ამას რომელი ამბობს, გურამ სარაჯიშვილი თუ მე...

**რომან ამირეჯიბი.**

# განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 1 ივნისს გაცემული № 2-33 სააღსრულებო ფურცელი.

აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი ერეკლე ღვინიანიძე 2004 წლის 2 აგვისტოს დღის 12 საათზე ვაცხადებ იძულებით აუქციონს მოვალის შპს დედათა და ბავშვთა სანატორიუმ „დილას" (გარდაბნის რ-ნი, დაბა კოჯორი) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში, ერისთავის ქ. № 3-ში.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება მოვალის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 4718 კვ.მ. რომელზეც განლაგებულია ძირითადი კორპუსი და დამხმარე ნაგებობები საერთო ფართით 1678,64 კვ.მ. კორპუსი შედგება 3 სართულისაგან და მასში არსებული საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა არის 48.

უძრავი ქონების საწყისი ფასია 85000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.

იძულებითი აუქციონი ჩატარდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 68-76-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ყველა სხვა პირი, რომელთაც გააჩნიათ უფლებები უძრავ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

საჯარო ვაჭრობა გაიმართება ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქ. № 14-ში.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მურთაზ პოპიაშვილი ჯარში გაცილების დროს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად.
1969 წელი. წითელწყაროს რაიონი, სოფელი გამარჯვება.

მოგვაწოდა თამრიკო ოზაშვილმა.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ნამდვილი სულელი ხარ, ჩერჩეტი, — ეჩხუბება ერთი გოგო მეორეს.

— მე კი არა, შენ ხარ სულელი და ხეპრე!

— ნუ ჩხუბობთ, გოგოებო, ორივენი მართალი ხართ, — „აშველებს“ გვერდით მჯდომი მიხო.

* * *

— ნეტავ რას ნიშნავს გამოთქმა: მგლებიც მაძღრები არიან და ცხვრებიც საღსალამათნი?

— რას და, იმას, რომ მგლებს მეცხვარე და ძაღლი შეუჭამიათ...

* * *

— ესე იგი, ჩემს ქალიშვილზე აპირებთ დაქორწინებას? — ეკითხება სასიმამრო სასიძოს. — როგორი მატერიალური მდგომარეობა გაქვთ?

— სამასი ათასი ევრო მაქვს.

— არც ისე ცუდია. მით უფრო, რომ ამას ჩემი ქალიშვილის მზითევის სახით კიდევ სამასი ათასი დაემატება.

— მაპატიეთ, მაგრამ ეს თანხა უკვე იგულისხმება ჩემს ქონებაში.

* * *

განცხადება: ვარ ახალგაზრდა, ლამაზი, ქერათმიანი ქალიშვილი. გაუნათლებელი. ვეძებ სამუშაოს ჩემი პროფესიით.

## კალენდარი

# ამ დღეს დაიბადნენ

### 26 ივლისი

**სიმონ ჯანაშია** (1900-1947) — ისტორიკოსი.

**ალექსანდრე კიკნაძე** (1943) — არქიტექტორი.

**მარლენ გორდეზიანი** (1938) — ბიოქიმიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**თამარ ჯიბლაძე** (1948) — არქიტექტორი.

### 27 ივლისი

**ოთარ თაქთაქიშვილი** (1924-1989) — კომპოზიტორი.

**ილია ბარათაშვილი** (1933) — მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

### 28 ივლისი

**გრიგოლ გიორგაძე** (1927) — ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**თამაზ ვარვარიძე** (1945) — მხატვარი.

**თამაზ იმნაიშვილი** (1954) — სპორტსმენი, მშვილდოსანი.

**ბიძინა კვერნაძე** (1928) — კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### 29 ივლისი

**ვახტანგ ჯავახაძე** (1932) — პოეტი.

### 30 ივლისი

**ანდრია რაზმაძე** (1889-1929) — ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი.

**ვიქტორ დოლიძე** (1890-1933) — ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი.

**ალექსანდრე გვახარია** (1929) — ლიტერატურათმცოდნე, ირანისტი.

**პარმენ ლორია** (1896-1978) — მწერალი.

**გივი სანაძე** (1929) — ბიოლოგი.

### 31 ივლისი

**რობერტ სტურუა** (1939) — რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

### 1 აგვისტო

**ლეილა აბაშიძე** (1929) — კინომსახიობი.

**გრიგოლ აბაშიძე** (1914-1995) — მწერალი, პოეტი.

## მოდა

# ჩვენი ოლიმპიელებისთვის ქართველმა დიზაინერმა იზრუნა

**მაღალი მოდის სამყაროში უკვე აღიარებული ქართველი დიზაინერის ავთო ცქვიტინიძის შემოქმედება, ყველასათვის ცნობილია, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ მისი უზადო ფანტაზიის, ორიგინალური, დახვეწილი გემოვნების და, რაც მთავარია, უდიდესი შრომისმოყვარეობის შედეგია.**

**ვინც ქართული მოდის განვითარებას თვალს ადევნებს, დამეთანხმება, რომ ავთო ცქვიტინიძის შემოქმედება გამორჩეულად მრავალფეროვანია და მხოლოდ ერთი მიმართულების დაყრდნობით არ ქმნის მოდელებს. ამჯერადაც, იგი სრულიად განსხვავებული კოსტიუმების ავტორად გვევლინება.**

შეგახსენებთ, რომ გასული ოლიმპიადისას ჩვენი ნაკრების ჩაცმულობაზე უცხოელმა დიზაინერმა პიერ ბალმანმა იზრუნა. ახლა კი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთით, 65 ქართველი ოლიმპიელისთვის სპეციალური კოსტიუმები ჩვენმა თანამემამულემ ავთო ცქვიტინიძემ შექმნა. მან, უპირველესად, უპირატესობა კლასიკურ ფერებს მიანიჭა და შავთან ერთად, ქართული დროშის ფერებიც — წითელი და თეთრი გამოიყენა, რითაც ჩვენი სიმბოლიკა ხაზგასმით დაიცვა. ათენის ცხელი დღეების გათვალისწინებით, კოსტიუმების მასალად გრილი ქსოვილი — ტილო შეარჩია. წითლით გაწყობილი თეთრი მაისურები და შარვლები კი, სილუეტის დასავიწროვებლად და დასახვეწად, შავი სპორტული პიჯაკებით დაამშვენა, რომლებიც ელვით იკვრება. შარვალი, რომელიც უხვად შეიცავს სპორტულ ელემენტებს, განიერი და თავისუფალი სტილისაა.

— ამ შემთხვევაში უნდა გამეთვალისწინებინა, რომ სპორტსმენებს გამორჩეული ძლიერი, მამაკაცური იერ-სახე ახასიათებთ, არ უყვართ „გაპრანჭვა“ და სწორედ ამიტომ მათი შემოსვლისას არანაირი ზედმეტი დეტალი, ნიუანსი არ უნდა გამომეყენებინა, — ამბობს დიზაინერი.

აღსანიშნავია, რომ თავშეკავებული ფერთა გამა აქსესუარებზეც ვრცელდება — ქართველი სპორტსმენების ფეხსაცმელების დიზაინიც სადა, კლასიკურ-სპორტული სტილისაა.

ნაკრების წევრებს პიჯაკზე დაბნეული ემბლემების მოხსნისას, ეროვნული ოლიმპიური კოსტიუმებით თბილისის ქუჩებშიც შეუძლიათ თავი მოიწონონ.

ასე რომ, ჩვენი ოლიმპიელებისთვის განკუთვნილი კოსტიუმები კლასიკური და სპორტული სტილის სინთეზს წარმოადგენს, რაც, ბუნებრივია, პრესტიჟულ „სპორტულ პოდიუმზე“ უდიდეს ეფექტს გამოიწვევს და ქართველებს განსაკუთრებული მომხიბვლელობით წარმოაჩენს.

**ლელა დონაძე.**





**სურათებზე:** ავთო ცქვიტინიძის კოსტიუმები ქართველი ოლიმპიელებისთვის.

ხავარ ლომაძის ფოტო.

შვილები თენგიზ, ლადო კობახიძეები, რძლები რუსუდანი, მარინა, შვილიშვილები ქეთი, ეთერ, ნინო, გიორგი, ნატა კობახიძეები, დები თამარ, ოლია მახათაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დისწულები, მულიშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუნუ ვლადიმერის ასული მახათაძე

პანაშვიდი 25, 26 VII, 17 სთ. დაკრძალვა 27 VII, 14 სთ. მისამართი: ქ. ზესტაფონი, თამარის ქ. № 90.

დედა ელენე, შვილები რუსუდანი, ზაზა, ირინა, შვილიშვილები ლევან ღლონტი, მარიკა დადიანი, ძმა ოთარ ნატროშვილი, და თინა ნასყიდაშვილი, ცოლისდა მედიკო გოგრიჭიანი, ქვისლი იურა ელიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით სიმონის ძე ნატროშვილი

პანაშვიდი 25, 26 VII, 17 სთ. გამოსვენება 27 VII, 15 სთ. ზაჰესი, კეცხოველის ქუჩა, 12ა.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## გახსენება

### თენგიზ კორძაძე



ვერ ვეგუებით აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ ხარ, **თენგიზ!**

უმძიმესია განცდა, რომ ყოველდღიურად ვეღარ ვხედავთ შენს მშვიდ, კეთილ სახეს, აღარ გვესმის შენი სითბოთი და სიყვარულით სავსე გულისძგერა, უკვე დაგვაკლდა შენი გამუდმებული, დაუზარელი ზრუნვა ჩვენზე, რითაც ასე გვანებივრებდი თითოეულ ჩვენგანს...

ჩვენს მძიმე ყოფაში ძნელია, თითქმის შეუძლებელი, მოიძებნოს შენნაირი ადამიანი, ვინც ყველას, უკლებლივ ყველას ასე უყვარდი და ასე ეძვირფასებოდი. ნებისმიერი გასაჭირის დროს ყველა შენკენ მოვეშურებოდით, იმედად გვეგულებოდი, რადგან ვიცოდით, რა გულუხვად და უშურველად გასცემდი სიკეთეს, რა სათუთად და ფაქიზად შეგეძლო სხვისი განსაცდელის გაზიარება.

ჩვენო შეუცვლელო თენგიზ, შენი სახით ინსტიტუტს ერთ-ერთი ბურჯი გამოეცალა. შენ ხომ ინსტიტუტის ყოველდღიურ რთულ, დაძაბულ სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას ბრწყინვალედ ართმევდი თავს, არც მეცნიერულ საქმიანობას ღალატობდი და შენებური რუდუნებით აგრძელებდი მასაც.

მჯერა, რომ შენ ყველას, უკლებლივ ყველას, ერთნაირად დაგვაკლდი და შენ მიერ დატოვებულ სიცარიელეს ამოვსება არასოდეს არ უწერია.

მუდამ გაწონასწორებული, მშვიდი, აუღელვებელი, მაღალზნეობრივი, ინტელიგენტი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, საქმისადმი ერთგული და უღალატო კაცი, უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის მქონე, მცირე თუ დიდ საქმეთა უხმაუროდ მკეთებელი, უპრეტენზიო, ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის განმმუხტველი, დამთმობი და მიმტევებელი, ჭირთამთმენი, ყველას დარდისა და სიხარულის გულწრფელი თანამოზიარე — აი, ასეთი გვემახსოვრები მუდამ, ჩვენო თენგიზ.

შენი წასვლით გამოწვეულმა ტკივილმა ისეთი ღრმა ჭრილობა დაგვიტოვა, რომელიც არასოდეს შეხორცდება და მარად სისხლმდინარე დარჩება.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის თანამშრომლები, ინსტიტუტის თანაკურსელები.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი
**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**